

მ. გ. ჯანაშვილი

შოთა რუსთაველი

(მე-XII საუკუნე)

შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი,
შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი.
შოთა.

წიგნში სამი სახეა: შოთასი, თამარ დედოფლისა და
ტბეთის ეპისკოპოსის წმ. იოანესი და ორი ნახატი: „რუს-
თველის სურათზე“ და „თამარ დედოფალი ციხის ძირს“.

გამოცემა

გაბ. ჯ – შვილისა.

ტფილისი

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკოლ. ქუჩა, № 21.

Типог. М. Шарадзе и К-о ник. Ул., № 21.

1896

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го февраля 1896

შოთა რუსთაველი.

წინასიტყვაობის მაგიერად (გვ. I-IV).

განყოფილება პირველი

ა) შოთა რუსთაველი:

რუსთაველის წინა დროის მწერლობა (გვ. 8 – 15). –

ცნობანი რუსთაველის ცხოვრების შესახებ (15 – 25). – როგორ უყურებდნენ რუსთაველის ქმნილებას ძველი დროის მწერლები (22 – 27). – რუსთაველის ლექსთა წყობა (28). – როგორ ესმისთ შაირობა რუსთაველსა და მის დროის მწერლებს (28 – 29). – რუსთაველის გმირები, მისი რომანი, რუსთაველის გულკეთილობა და დიდბუნებოვანება (29 – 42). – ვეფხის-ტყაოსნის ბეჭდვისა და მეცნიერულად შესწავლის ისტორია (მეფე არჩილი (გვ. 23 – 24), მეფე ვახტანგ VI (26, 46). – დავით ჩუბინაშვილი (27. 47). – ილია ჭავჭავაძე (35, 38 – 41). – ბარონ სუტნერი (30 – 38, 58 – 60, 93). – მარი ბროსე (49). – დიმ. ბაქრაძე (50). – აკაკი წერეთელი (51, 116-117). – მურავიოვი (51). – ნ. გულაკი (52). – ალ. ხახანაშვილი (54). – ვაჟაფშაველა (55). – ნიკო მარრი (56). – ნიკო ნიკოლაძე (60 – 64). – ალ. ნანეიშვილი (64 – 66). – დიმ. ყიფიანი (66). – ჩვენი მოსაზრება (66 – 93). – გრ. ორბელიანი (80 – 81) – გიორგი წერეთელი (94 – 98). – ვახტ. ორბელიანი (98 – 101). – პლატ. იოსელიანი 102 – 114). – ალ. ცაგარელი (19). –

II

ნ. დ., ეგ. იოსელიანი (68), ლეისტი, ბარტდინსკი, პოლონსკი, მურიე, სტალინსკი, რენანი, უორდროპი (გვ. 44).

ბ) რუსთაველის სურათზე (გვ. 116-117).

განყოფილება მეორე.

ვეფხის-ტყაოსნის თხრობა (გვ. 118 – 155)

განყოფილება მესამე.

ცხოვრება და ბუნება რუსთაველის შეხედულობით:

ა) ღმერთი (გვ. 15(156), თამარ დედოფალი (157), გ) რუსთაველის ლოცვა (158), დ) სიმუხთლე სოფლისა (161), ე) სიკვდილი (161), ვ) კაცო, ძალსა ნუ იქადი (162), ზ) ქორწილი (163), ლ) რუსთაველის იგავ-არაკნი (165). თ) შაირობა და მგოსნობა (167), ი) რუსთაველის სიბრძნენი და თქმულობანი (168 – 183).

წინასიტყვაობის მაგიერად.

შვიდმა საუკუნემ განვლო და გმირნი ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონ და დობილნი ნესტან-დარეჯან და

თინათინ დღესაც ცოცხალ არიან. ამ გმირების სამ-
შობლო მარადის ღელავდა, და ამ შვიდის საუკუნის გან-
მავლობაში, როგორც მშვენიერად ამბობს თვით რუსთა-
ველი, ბედმან სასტიკმან „სიმრგვლე ცისა ჩვენთვის რი-
სხვით წამოჰგრაგნა,“ მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქარ-
თველმა „ვეფხის ტყაოსანი“ არ დაივიწყა, და არათუ
გულიდამ, უბიდანაც არ განიშორა, ქართველისა და
უბედურების დროსაცკი ქრთველი კაცი სწავლობდა „ვეფ-
ხის-ტყაოსანს“, მას იზეპირებდა, მის გმირებს ჰბამავ-
და, ავთანდილისავით ლოცულობდა და ამბობდა: „ღმერ-
თო, ღმერთო, მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე;
მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე განმარი-
დე; თულა დავრჩე, გმსახურებდე, შენდა მსხვერპლსა
შევსწირვიდე.“

დღეს ცა დაგვიწყნარდა, მაგრამ ვეფხის-ტყაოსანს
მაინც არ ვიშორებთ და არა თუ არ ვიშორებთ, არამედ
უფრო გულდადებით ვწავლობთ მას, უფრო ვიყვარებთ.
რათ?

გულდადებით წაიკითხეთ „ვეფხის-ტყაოსანი“, დაა-
კვირდით რუსთველის სიბრძნეთა და თქმულობათ და

II

ცხადად დაინახავთ, რომ შოთას ქმნილება უკვდავია,
რომ შოთას მოძღვრებანი უხრწნელნია, რომ შოთას
სწავლა-ქადაგებას მსოფლიო და საკაცობრიო მნიშვნე-
ლობა აქვს. რას უქადაგებს რუსთაველი? – გვარ-
ტომობის დაცვას, თავისუფალს ცხოვრებას, მძურს სი-
ყვარულს, მამაკაცთა და დედაკაცთა თანასწორობას, ღვ-
თის სიყვარულს, ფიცის მტკიცედ და წმინდად შენახვას,
გლახაკთა, ობოლთა და დავრდომილთ შებრალება-შეწ-
ყალებას, ხიდებისა და უსახლკართათვის თავსაფართა
აგებას, მეფეთა მორჩილებასა და სიყვარულს, მართლ-
მსაჯულობის მოყვარებას, ყოვლის უკეთურებისაგან
კრძალვით ყოფნას, მოყვასთათვის თანანადების მიტევე-
ბას, სისხლის უბრალოდ დაქცევის უკანონობას, სიბრ-
ძნის მოყვარებას, საქმიანობას და მხოლოდ საქმიანო-
ბას, ვინაიდგან თქმულა: „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი,
შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი.“

აი, რათ და რისთვის ვეთაყვანებით „ვეფხის ტყაო-
სანს“, აი, რათ და რისთვის ამ ქმნილებას არ მოელის
დაბერება. ამ დიდებულ აზრებითა და მოძღვრებით ცოც-
ხალ არს „ვეფხის-ტყაოსანი,“ ეს უკვდავი ქმნილება,
ერთნაირად სანუკარი ყოველი გვარ-ტომისათვის, ვინა-
იდგან რუსთველის მოძღვრების განხორციელება ცხოვ-
რებაში უმეტნაკლებოდ სანატრელია ქართველისთვისაც,
სომხისთვისაც, ფრანგისთვისაც და ყველა სჯულისა და
მოდგმისთვისაც; ხოლო ჩვენთვის, ქართველთათვის,

„ვეფხის-ტყაოსანი“ მით უფრო უძვირფასესია, რომ მისი დამწერი საქართველოს შვილია, ქართველი დედის

III

ძუძუთი გამოზრდილია, ქართველი ქალის „ნანინას“ ღვთიური ხმები ჩასწვეთებია სულ-გულში, ქართული ქნარი და წინწილი აუკვნესებია, ქართული სიტყვა და ენა გამოუხურვებია და გამოუდვინა თავის ნათელ-მოსილსა და ცხოველს გონებაში.

და ვინ იტყვის, რომ ამისთანა საუნჯის არ შესწავლა შეუძლებელი ცოდვა არ არისო!

ხოლო უკვდავის ფილოსოფოსის და უდიდებულეს მგოსნის შესწავლა ადვილი არ არის, მეტადრე მოსწავლე ყრმათათვის.

რაც დღემდის თქმულა და ანუ დაწერილა – ქართულსა თუ უცხო ენებზედ – შესახებ რუსთველის ცხოვრებისა, ვეფხის-ტყაოსნისა და რუსთველის წინა დროის მწერლობისა და სხ., ყოველივე ეს განზნეულია სხვადასხვა გამოცემებში, რომელთაგან უმეტესი ნაწილი ხელმიუწდომელია მკითხველთა და მოსწავლე ყრმათა უმრავლესობისათვის.

ამ გარემოებამ გაგვაბედვინა გამოგვეცა ეს სახელმძღვანელოსებური წიგნი, რომელიც შესდგება სამის განყოფილებისაგან. პირველს განყოფილებაში შევიტანეთ ყველა ის მასალა, რომელიც შეეხება რუსთველის წინა დროის მწერლობას, რუსთველის ცხოვრების აღწერას და მის ქმნილების ბეჭდვისა და მეცნიერულად შესწავლის ისტორიას, მეორე განყოფილებაში მოვაქციეთ ვეფხის-ტყაოსნის თხრობა და მესამეში – პოეტის ისეთი წერილები და თქმულობანი, რომელნიც გამოგვიხატავენ ცხოვრებასა და ბუნებას რუსთველის შეხედუ-

IV

ლობით. რაც ძალი და ღონე შეგვწევდა, არ დავიშურეთ ჩვენი მეცადინეობა, რათა ყოველი მასალა ისე დაგვეწყო და დაგველაგებინა, რომ დიდებული პოეტის შესწავლა ცოტათი მაინც გაადვილებულიყო. რაოდენად კეთილად შევასრულეთ ეს მნელი საქმე და ანუ რაოდენად საკეთილო იქმნება ესრეთი ჩვენი ცდა, განსაჯონ თვით მკითხველთა.

მ. ჯანაშვილი.

განყოფილება პირველი.

ა) შოთა რუსთაველი.

კურთხეულ არს მწერალი.
ქებულ არს მკითხველი, მად-
ლი მსმენელთა.

თორნიკე.

ჩვენს წიგნაკში „მოსე ხონელი და მისი ამირან-
დარეჯანიანი“ შევნიშნეთ, რომ შოთა რუსთაველი,
ჩვენს გონებითი განვითარების ისტორიაში, ციდამ
მოწყვეტილი ცისნატეხი არ არისო, რომ მას ჰყვან-
და თავისი წინამორბედნიო, რომ რუსთველზე ბევ-
რით ადრე გამოჩნდნენ დიდებულნი მწერალნი, რო-
მელთაც განაბრწყინვეს სამშობლო ენაო, განანათ-
ლეს ერის გონება და გემოვნებაო, და შეჰქმნეს მთე-
ლი კრებული ანუ ციკლი კლასიკურ თხზულებათა,
რომელთა გვირგვინი არის უკვდავი „ვეფხის-ტყაო-
სანიო“. იქვე ვამბობდით, რომ რუსთველის ქმნილე-
ბის გაგება შეგვეძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც
რიგიანად შევისწავლით მის წინადროის მწერლების
ნაწერებს და აგრეთვე მის დროის საქართველოს
ისტორიასო.

– 8 –

მართლაცა და, როგორ შეიძლება შევისწავლოთ
რუსთაველი, როგორ შეგვიძლია დავაფასოთ და გა-
ვიგოთ „ვეფხის-ტყაოსანი“, თუ ერთსაცა და მეო-
რესაც გვერდს არ ამოვუყენებთ იმ მწერლებს, რო-
მელთა ქმნილებანი რუსთველზე ადრე ამშვენებდნენ
არა თუ მარტო სამშობლო მწერლობას, არამედ
უცხოელთა მწერლობასაც. ერი, რომლის ენიდამ
ქართველისაგანვე ნათარგმნი „ბალავარი“ შეიქმნა
მშვენიერად საშუალო საუკუნოების ევროპიის ერთა
მწერლობისა ¹⁾, ერი, რომლის ენიდამ წმ. ექვთიმემ
(†1028 წ.) გადილო ბერძნულს ენაზედ „აბიკურა“
და რაოდენიმე სხვა წიგნი ²⁾, ვიმეორებთ, ყო-
ველივე ამის მომქმედი ერი, სჩანს, მოძრაობდა,
მუშაობდა, შემოქმედებით ძალას იჩენდა... იმ ქვე-
ყანაში, საცა დიდებული მამულისშვილი და ბი-
ზანტიის ტახტის მხსნელი იოანე, თორნიკ ყოფილი,
სწერდა (978 წელს) ამ გვარს საგულისხმო სიტყვებს:
„კურთხეულ არს მწერალი, ქებულ არს მკითხველი
და მადლი მსმენელთაო ³⁾, – ეს განა იმას არ გვე-
უბნება, რომ საქართველოში პატივს სცემდნენ არა-
თუ მარტო კალმის კაცს, არამედ მისს მკითხველსაც

¹⁾ იხ. Средние вѣка лиტერესი. და Записки Вос-
точ. отд. Имп. Рус. Арх. Общества, т. I, გამოც. I და II
გვ. 166 – 174. „ივერია“ 1888 წ. № 4 და 7.

²⁾ იხ. ჩვენი წერილები „ივერიაში“: 1888 (№№-ები 4 და 7, 249 და 251), 1889 წ. (№ 48).

³⁾ ცაგარელი – Свѣдѣнія, გამოც, I, გვ. 5.

– 9 –

და მსმენელსაც. დიდებულნი კაცნი და შორს მხედველნი მწერალნი დრტვინვენ და ჰგოდებენ, როდესაც ჰხედავენ უკან ჩამორჩენას ჩვენის ერისას, სიტყვით და საქმით სცდილობენ გამოაფხიზლონ იგი, თვალი აუხილონ მას, შეაყვარონ ხელოვნება, სწავლა-განათლება და სხ. ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა აღვნიშნოთ კრიტიკული განხილვა ჩვენის ცხოვრებისა მე-VII – IX საუკუნის მწერლისაგან. წმიდა ნინოს მატთანეთა შემკრებელი, სხვათა შორის, სწერს:

„რომელნიმე ერნი ღბილ და დედალ არიან, ფრიად მოსწრაფე ენა-მჭევრობისა და ფილოსოფოსობისათვის; გულ-მოდგინებითა და ტრფიალებით გამოუძიებიათ საქმენი ღვთისანი, კაცობრივნი და ყოველთა ქმნილებათანი, და სილაღითა გონებისათა მძლეობენ ყოველთა ზედა, ვინაიდგან, ზეშთა ქმნილნი, მინდობილობენ ენა-მჭევრობათა და სიბრძნეთა თვისთა. და ესრეთნი არიან ელინნი გინა ბერძენნი. ხოლო სხვანი ერნი არიან სადაგნი და მარტივნი, გონებით წრფელნი. და ესე ვითარნი არიან ქართველნი, რამეთუ არარად ჰქონებია ჩვეულებაჲ ფილოსოფოსებისაჲ და სწავლულებისა, ენათა მჭევრობაჲ და გამოძიება სამეცნიეროთა და საფილოსოფოთა საქმეთაჲ, ხელოვნებათა მინდობათაჲ. ბრძენთა ერთა შორის წესად მიჩნეულია, რომ რადცა რადმე უცხოჲ და საკვირველი საქმე საცნაურ იქმნეს, მყისვე, მასვე ჟამსა შინა, აღსწერენ და ესრედ სიმტკიცედ და სახსენებ-

– 10 –

ლად მამულთა ნათესავთათვის ძეგლად წარუწყმედელად დაუტეობენ“. ხოლო ჩვენში კი ეს ასრე არ არისო, სჩივის და გოდებს ჩვენი უუძველესი დროისა და ჭირველი კრიტიკოსი.

ეს სამართლიანი დრტვი-
ნვა და მხილება მისწვდა
ნიჭიერ ერის სულსა და
გულს. მალე დროში გაბრ-
წყინდნენ გონებრივი სა-
უნჯის შემომკრებელნი სა-
ვანენი და მათთან დაარსე-
ბულნი სკოლანი-ზოგან
პირველ დაწყებითი და
ზოგან უმაღლესნი. ასრეთნი
სავანენი იყვნენ: შატბერ-
დი – დიდებული ლავრა
კლარჯეთსა შინა, ხანძოე-
თი (აჭარაშია), ტბეთი (იქ-
ვე), მარტვილი, გრემი, იყა-
ლთო, მცხეთა, აწყური,
გელათი, ვარძია, ცხუმი,
ხოზი, ათონი, იერუსალი-
მისა და სინას ქართველ-
თა ლავრანი ¹⁾ და სხ.
გამ რავლდენ მატთანეთა მწე-
რალნი (ლეონტი მრო-



ტბეთის ეპისკოპოსი იოანე.

1) ცაგარელი, იქვე.

ველი, ბერად, ჯუჯანშერ ჯუჯანშერიანი, სუმბატი,
ბაგრატი III და სხ.), საგალობელთა უზარმაზარ
წიგნის შემადგენელნი (მიქელი ¹⁾, იოანე მტბევალი ²⁾
და სხ.), წმ. წიგნთა მთარგმნელნი (იოანე, ექვ-
თიმე, გიორგი, საბა და სხ.), წმი წიგნთა გამმარტე-
ბელნი (დაჩი), მამათა ცხოვრების აღმწერელნი, ფი-
ლოსოფოსნი და რიტორნი (პეტრიწი, არსენი და სხ.),
ძეგლების მწერალნი (დავით აღმაშენებელი და სხი),
ქორონიკონების მკლევარნი (941 – 965 წწ. სინა-
ის ქართველთა მონასტრის წიგნი და იოანე შავ-
თელის ტრაქტატი) ³⁾, სჯულის კანონების შემა-

1) იგი სწერს „მე გლახაკმან მიქელ მოდრეკილმან
ვიღვაწე და უზესთაეს უძღურისა ძალისა ჩემისა შრომად ვა-
ჩვენე და შევკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი,
რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაითა: მეხურნი, ბერძულნი
და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა წესისაებრ საე-
კლესიოდას. ძლიერად და სიწმიდით და სიმართლით, სისწო-
რითა კილოდასათა და უცთომელობითა ნიშნისადათა“ („საუნ-

ჯე“ მე-X საუკუნისა).

2) აშოტ ერისთავთა ერისთავმან, ძემან გურგენ კურატ-პალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, ადამენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა და დასვა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე – უწყებითა სულისა წმიდისადათა – და გარდაიცვალა ესე აშოტ კუხი ქორონიკონსა რლჴ († 918 წელს)(იხ. სუმბატის ქრონიკა მე-XI საუკუნისა). ამავე საუკუნეში ტბეთის ეპისკოპოსად იყო წმ. იოანე, რომლის სურათი ჩართულია ზემორე ხსენებულს „საგალობელში“ და აწერია: „მომიტევე მე კადნიერებად არა ღირსსა“ (იხ. „საუნჯე“. გვ. 18).

3) დ. ბაქრაძის შენიშვნა ვახუშტის ისტორიაში, გვ. 50.

– 12 –

დგენელნი ანუ მთარგმნელნი (ექვთიმე) ¹⁾, საღვთო წიგნთა თარგმანების განმხილველნი და შემმოწმებელნი (სტეფანე მტბევარი) ²⁾; ფულის მჭრელნი მეფენი (ვახტ. გორგასალი, სტეფანოზი II, ჯუანშერი და სხ.), სასულიერო პოეტნი (გიორგი მთაწმიდელი) ³⁾, ქართულ წიგნების უცხოელთა ენაზე მთარგმნელნი (ექვთიმე), უცხოელთა საერო წიგნების ქართულს ენაზე მთარგმნელნი (ქილილა და დამანა, ვისრამიანი), მხატვარნი, ხუროთ მოძღვარნი, რომელთა ხელო-

¹⁾ იქვე, გვ. 142.

²⁾ შატბერდის კრებულის (მე-X საუკ.) ერთი ავტორთაგანი, სახელდობრ დაჩი, მთარგმნელი ფსალმუნთა, სტეფანე მტბევარს უგზავნის თავის თარგმანს და თანაც სწერს: „ღირსო მამო, წმიდაო ეპისკოპოს სტეფანე, ქრისტეს გამორჩეულო მამფალო, კურთხეულარს ღმერთი, რომელმან გამოგაჩინა შენ კეთილად მწყემსად ჩვენდა და მკურნალად, სულიერად აღმაშენებლად ჩვენდა. მრავალგზის მიინდა ხილვად შენი კურნებისათვის საღმობათა სულისა ჩემისათა, არამედ სიშორისაგან და რუდუნებისაგან უცალოვებისა ჩემისა ვერ ღირს ვიქმენ თავყვანისცემად შენდა. აწ შენდობა იყავნ ჩემდა ამისთვის, რომელ წიგნითა მოგიძღუნებ განსაკითხავსა ამას ჩემსა – თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა ს ა ფ ს ა ლ მ უ ნ თ ა ს ა... მე მსგავსად ძალისა ჩემისა მცირედნი ესე ასერგასისთა (ას-ერგასი, ე. ი. 150 ფსალმუნი) მათგან შენ მოგიძღვანენ. უკეთუ ჯერ არს განსრულებად სიწმიდემან შენმან განასრულენ... თუ რამე არა ჯერ იყოს ზემო მოხსენებულსა მისებრ დაწვით, და მე შენდობად მომბადღეთ“. (იხ. სამი ქრონ., თაყაიშვილისა).

³⁾ ამის ლექსი თარგმნილია ევროპიელთა ენებზე და რუსულადაც ინგლისურიდამ. იგია შესანიშნავი „Вечерний звонъ, вечер-

– 13 –

ვნებას დღესაც აღტაცებაში მოჰყავს მეცნიერები ¹⁾, მეწესენი, და სხ. და სხ. ²⁾. ყველა ამას მოჰყვამა შეკავშირება ერისა, მისი პოლიტიკური ძლევამოსილება და ამ გვარმა ძლევამოსილებამ კი – პოლიტიკურმა და გონებრივმა – წარმოშობა უკვდავი კაცები: მოსე ხონელი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე და შოთა რუსთაველი. მათგან პირველმა წარმოგვიდგინა დიდებული ეპოპეა ამირანისა-დარ ქართველებისა აურაცხელ მტრებთან, ხო-

ლო სხვათ შუაშე თამარი, ვითარცა უზენაესი გვირგვინი ქართველთა გონებრივისა და პოლიტიკურის ძლევა-მოსილობისა და დიდებისა.

განა ამასვე არ ამტკიცებს გიორგი მთაწმინდელის († 1066 წ.) ცხოვრების აღმწერელი და მისივე თანამედროვე, რომელიც გვეუბნება:

„არა დააცადა მოწყალებამან ღვთისამან ჟამითი-ჟამად გამოჩინებად და გამობრწყინებად ღირსთა კაცთა, რომელთაც ნუგეშინის სცეს ქართველს ერს, განაძლიერეს იგი, განანათლეს. მათს ღირსეულს მაგალითს დღეს ვბაძავთ ჩვენ, რათა ღამესა ამას შინა ცხოვრებისასა, ვითარცა დღესა შინა, მშვენიერად

ний звонъ, какъ много думъ наводитъ онъ“. (იხ. „ივერია“ 1886 წ., № 137, 1895 წ., № 105, „მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი“, გვ. 56 – 57).

- 1) კონდაკოვი – Древ. арх. Грузии.
- 2) ცაგარელს, იქვე: „საუნჯე მე-X საუკუნისას“; ჩვენი წერილი Знаменат. эпоха Груз. царства (ნოვ. ობოზრენიე, № №-ები 2727, 3730, 4735, 3744).

– 14 –

ვიდოდეთ და ყოველსავე ბნელსა ჩვენთაგან განვიოტებდეთ.. უმეცრებისა საშურველი მოეძარცვა გონებასა ჩვენსა, ნისლი უგულისხმოებისა განეხადა სულსა ჩვენსა ნაკლულევანება ენისა ჩვენისა შევსებულ იქმნა, ვინაიდგან ეს ენა მოღვაწე კაცებმა გონებასა თვისსა გამოადვენეს და გამოახურვნეს ¹⁾, და ამის გამო ელენთა მიერ ბარბაროზად წოდებულნი ქართველნი – უსწავლელობისათვის და უმეცრებისა ჩვენისა – ღმერთმან მათთანავე აღუურაცხამის მიერ მოცემულთა სიბრძნითა“.

დიახ, ვიმეორებთ, რუსთაველი ჩვენს გრძელს ცხოვრებაში ის ოლე არ არის, რომელიც უხეოტყეო მინდორზე მარტოდ-მარტო დგას, არამედ მისს წინაშე ჩვენ ვხედავთ მრავალს სხვა მოღვაწეს, მრავალს ოლეს, რომელთა შეკავშირებულ ჯგუფმა, რუს-

¹⁾ დაშთენილა ცნობა, რომ ქართული გრამატიკა პირველად შეადგინა პეტრიწი ფილოსოფოსმაო. მაგრამ ამაზედაც ადრე რომ ქართულის ენის გრამატიკულ კანონების გამოსარკვევად უფიქრია წმ. ექვთიმეს, ეს სჩანს ამ მოღვაწის მიერ თარგმნილ იოანე ოქროპირის წიგნის მინაწერიდამ, საცა იგი მეტყველობს: „ბერძნულს ენას კეთილად მოუვალს ართრონი, ხოლო ქართულს ენაზედ არ მოვა“. ამ ართრონის შესახებ სულხან საბა შენიშნავს: „ართრონი არიან ასოები, რომელნიმე წინა მოეზავებთან სიტყვათა და რომელნიმე უკანა და გვარიან ჰყოფენ და დაატკობენ, არამედ ლათინთა და ელენთა ენათა შინა უმრავლესს და ერთ რიგზედ განყოფილარიან, ხოლო ქართულში „წინა-უკმო“. ამისთვის ღრამატიკას შინა დამიწერიაო.

თველთან ერთად, განამშვენეს საქართველო, გაამ-
ჭევრმეტყველეს ენა ქართული, განანათლეს გონება
ბნელი, განაძლიერეს ქვეყანა და შარავანდედით შე-
მოსეს იგი.

* * *

*

რუსთაველის შესახებ ჩვენს მატიანეს არავითარი
ცნობა არ შეუნახავს, ისიც კი არ ვიცით, თუ რუს-
თველი, ასრე წოდებული დაბის რუსთავის გამო,
რომელ გვარს ეკუთვნოდა, ვინ იყო მისი მამა, დე-
და, მასწავლებელი, რომელ წელიწადს დაიბადა, რამ-
დენი წლისა გარდაიცვალა. ამ შემთხვევაში რუსთა-
ველის ხვედრი ჩვენ მოგვაგონებს ბედს ღვთის კა-
ცის მელქისედექისას, რომლის ჩამომავლობა უწყის
მხოლოდ ღმერთმან. მაგრამ ნუ გაგვიკვირდება, რომ
ეს ასრე მოჰხდა და მატიანემ არ გადმოგვცა უკვდა-
ვი პოეტის ბიოგრაფია. ჩვენში ცოტა არ არის არა-
თუ სახელოვანნი კაცნი, არამედ სახელოვანნი ძეგლ-
ნიც, რომელთა შესახებ ჩვენი აწინდელი მატიანე
დადუმებულია და არას ამბობს, და მათ აგვიწერენ
მხოლოდ უცხოელთა მწერალნი. აწინდელი მატია-
ნე იმიტომ ვამბობთ, რომ შეიძლება იყოს და
აღმოჩნდეს ძველი მატიანე, უფრო სრული და უფ-
რო სავსე, ვიდრე ის მატიანე, რომელიც წარსული
საუკუნის დასაწყისსა და ამ მიმავალ საუკუნის დამ-
დეგს შეუკრებიათ მეცნიერ კაცებს და აღუბეჭდიათ
ორ დიდ ტომად. ხოლო შეიძლება აღმოჩნ-

დეს იმიტომ ვამბობთ, რომ ამ შესაძლებლობის
მაგალითები უკვე თვალწინა გვაქვს. სულ ხუთიოდე
წელიწადია, რაც აღმოჩნდა უუმველესი დროის (მე-X
საუკ.) მატიანე – მოქცევაჲ ქართლისაჲ – ბერაის მიერ
შეტანილი შატბერდის დიდს ქრისტომატიაში¹⁾; აღ-
მოჩნდნენ აგრეთვე: დიდი ისტორიული საგალობელი,
შეკრებილი და შედგენილი მე-X საუკუნის გასულს
მიქელის-მიერ²⁾, ბაგრატიონთა ისტორია, შედგენი-
ლი სუმბატის-მიერ მე-XI საუკუნეში³⁾; მესხური და-
ვითნი⁴⁾, რომელიც შეიცავს ისტორიულს ცნობებს
შესახებ საქართველოსა საზოგადოდ და სამცხისა
კერძოდ, ბაგრატ მე-IV სიგელი, სიგელი დავით
აღმაშენებლისა, ბარათაანთ გუჯარი⁵⁾ და სხ. სა-
ქართველოს ისტორიულნი ძეგლნი ჯერ საკმაოდ
ცნობილნი არ არიან, საქართველოს ისტორიის შე-

სწავლის საქმე, ჩვენდა სამწუხაროდ, მხოლოდ ამ ბოლო დროს შეიქმნა საერთო მოთხოვნილებად;

1) ბერად, შემკრებელი საქართველოს მატთანეთა, შენიშნავს: „წიგნი ქართლის მოქცევისაჲ... ვითარცა ტალანტი, წინამძღუართაგან დაფარული, შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ.“

2) იხ. „საუნჯე“.

3) „სამი ისტორიული ქრონიკა“ ე. თაყაიშვილისა.

4) იქვე.

5) იხ. ჟორდანიასი – Завѣщаніе царя Давида Возобновителя, თაყაიშვილის – Сигель Баграта IV და მისივე – Еще одинъ изъ источниковъ Вахушта.

– 17 –

ჩვენმა ერმა უკვე გამოიღვიძა და აკვირდება თვის ნაჭირნახულევ მამა-პაპათა ცხოვრებას... ამ საერთო მოძრაობის გამო საჭირო ხდება შეკრება და აღნუსხვა ყველა იმისა, რაც შეუქმნიათ ჩვენს წინაპრებს, რაც მოუღვაწნიათ ჩვენს მამა-პაპებს. ამიტომაც იმედი და სასოება უნდა ვიქონიოთ, რომ დრო და ჟამი აღმოაჩენს არათუ ცნობებს შესახებ რუსთაველისა, არამედ მრავალთა სხვათა დიდბუნებოვან კაცთა ისტორიასაც. ხოლო ჯერჯერობით საკმაოა დაკვამყოფილდეთ იმ ცნობებით, რომელიც დაუცავს რუსთველის შესახებ ზეპირ გადმოცემას და ერის მეხსიერებას. „ვეფხისტყაოსანი“ თავის-თავადაც ისეთი დიადი ქმნილებაა და ისეთი სივრცე უჭერია ჩვენს გონებრივს ცხოვრებაში, რომ უბიოგრაფიოდაც იგი ამშვენებს მისს ავტორს...

ზეპირ-სიტყვაობის მიხედვით, რუსთაველი ყოფილა სამცხიდგან, იმ ქვეყნიდგან, რომელიც ძველადგანვე იყო სწავლა-მეცნიერებით განთქმული, რომლის მკვიდრნი გაბრძმედებულ-გადარბაისლებულნი იყვნენ და რომლის შესახებ ხალხური გადმოცემა ამბობს: „პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისა“. როგორც ვიცით, მესხი ჰქვიან სამესხეთოს ანუ სამცხის მკვიდრს. თვით რუსთველიც ასრე აღნიშნავს თავის ვინაობას „ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა“. მხოლოდ პლა-

– 18 –

ტონ იოსელიანი ჰფიქრობს და ამტკიცებს ¹⁾, რომ ეს რუსთავი სამცხის დაბა კი არ არისო, არამედ ქალაქი რუსთავი, გაშენებული ყარაიას, მტკვრის პირას, ტფილისის ქვემოთ. ამ ქალაქის ეპისკოპოსნი რუსთველებად იწოდებოდნენო. ეს რუსთავი დიდებული ქალაქი იყო და იქ მეფეებს ჰქონდათ საზამთრო სასახლეებიო. აი ამ ქალაქში ცხოვრებისა გა-

მო ჩვენს პოეტს, ჩამომავლობით მესხს, დაერქვა რუს-
თველიო. აქ იგი ამკობდა თამარსო, აქ უგალობდა
დიდებულს დედოფალსო.

გადმოცემავე გვეუბნება, რომ გრემისა და იყალ-
თოს აკადემიებში სწავლის დამთავრების შემდეგ რუს-
თაველი გაემგზავრა საბერძნეთს და იქ, ათინას, შე-
ისწავლა ბერძენთა ფილოსოფოსების ნაწერები, ხო-
ლო იქიდგან რომ დაბრუნდა, მიჰყო ხელი ლექსე-
ბის წერას და ამ ლექსებით მიიქცია თამარ დედოფ-
ლის ყურადღება. თამარმა იგი განაწესა თავის მო-
ლარედ. ამ დროს მან დასწერა „ვეფხისტყაოსანი“,
რომელიც დიდის მოწიწებით მართო ბრწყინვალე
დედოფალს, ხოლო თვისი სიცოცხლის უკანასკნელი
დღეები დალია არა სამშობლოში, რომელიც მას უყ-
ვარდა და რომელსაც იგი ადიდებდა, არამედ იერუსა-
ლიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში, საცა იგი, ბე-
რად შემოსილი, კარგა ხანს მოღვაწეობდა. ალ. ცაგა-

¹⁾ Шота Руставели, პლ. იოსელიანისა, გვ. 4.

რელი სწერს *): მე XII საუკ. გასულსა თუ მე-XIII-ის
დასაწყისს შოთა რუსთაველმა დაახატვინა ჯვრის



მონასტრის საკრებულო ტაძარი ანუ თავის საფასით
ანუ თამარ დედოფლისა. პოეტის სურათი გამოხა-
ტულია შესავალ კარების მარჯვნივ მეორე სვეტზედ.

^{*}) об. Памятники груз. старины, гв. 50, 94 და 244.

იგი დაჩოქილია წმ. მაქსიმესი და წმ. იოანე დამასკელის შორის, ხელები მაღლა აღპყრობილი აქვს, ხოლო უყურებს ი. დამასკელს. სურათის ზემო შემდეგი, წარწერაა: „ამის დამხატველს შოთას შეუნდოს ღმერთმან. ამინ. რუსთაველი.“

ბერად შედგომის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ, ვითომ, რუსთველს აღპროდეს სიყვარული იმისი, რომელსაც იგი ადიდებდა, მასთან სიახლოვე სწავდა მასო და ამიტომ გაშორდა სამშობლოსო.

ამგვარი აზრი რუსთველის ბერად შედგომის შესახებ, უეჭველია დაჰბადა „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობამ. რუსთველი ამბობს:

თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლდათხეული.

ვის ჰშვენის ლომსა ხმარება შუბისა, ფარშიმშერისა, მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბალახშ, თმა-გიშერისა, მას არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა ხშირისა, მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ჰხამს მართ მშიერისა.

მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული, ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

ჩემმა ხელქმნელმან დამმართოს, ლალმან და ლამაზმან, ნები თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა, აჰა, გული გამიჯურდა, მიხდომია ველთა რბენა.

ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია, იგია ჩემი სიცოცხლე უწყალო, ვითა ჯიქია.

მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა, ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე კბილისა... გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

აქედგან ის დასკვნა გამოდისო, ამბობენ ზოგიერთნი მკლევარნი, რომ რუსთველს შეჰყვარებია თვისი მბრძანებელიო და ამ მიუწდომელ სიყვარულის საგანს განშორებია და მონასტრისთვის მიუმართავსო. ხოლო პლ. იოსელიანი კი რუსთაველის ბერად შედგომას და იერუსალიმს გამგზავრებას სულ სხვა ნაირად ხსნის. იგი ამბობს: პოეტი ვერ ეტევა ამ მსოფლიოშიო, იგი მიელტვის უმაღლეს სივრცისაკენ, უსაზღროისაკენ. ასრეთია მოთხოვნილება ადამიანის სულისა, განუსაზღვრელისა ადგილ-მდებარეობითა და დრო-ჟამით. რუსთველმა არ იკმარა მისწრაფება ქვეყნიერ სიმშვენიერისადმი, რომელსაც იგი დაჰგალობდა, და იწყო ქება-დიდება ციურ მშვენიერებისა, ქვეყნიურ სიყვარულის მისწრაფებას მან მიაღვენა ზენაარი სიყვარული, ქვეყნიურმა ჭემმარიტებამ მისს გონებას წინ გადუშალა ციური ჭემმარიტება... პოე-

ტი მთლად შთანთქა სარწმუნოებამ. რუსთველი და-
ცურავდა მსოფლიოთა ოკეანეზედ, რომელსაც არა
ჰქონდა ნავთსაყუდელი, ხოლო ბოლოს ესრეთი ნავთ-
საყუდელი – თვის ფიქრთა და გრძნობათა – ჰპოვა
ჯვრის კვარცხლბეკს ქვეშეო (Шота Руставели).

რომ რუსთველის უკანასკნელი დღეები ტკბილი
არ ყოფილა, ამას გვიმტკიცებს მისივე სიტყვები:
„ერთხელ მქონდა დარი მზითა, ცა რისხვითა არ მიქუხ-
და“¹⁾, და აგრეთვე ერთი ტაეპი მისის პოემისა, საცა იგი

¹⁾ „არჩილიანი“. გვ. 19.

– 22 –

ბარათაშვილისებურ კილოზედ – „გამტყორცა ბედმან
სასტიკმან“ – აღმოიკვნეს:

ვაჟ სოფელო, რას შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,
სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა,
მაგრამ დმერთი არ განსწირავს კაცსა შენგან განაწირსა!

იერუსალიმის მწირს, ბედისაგან შორს განტყორ-
ცილს რაღა დარჩენოდა იმის მეტი, რომ დღე-მუ-
დამ არ გაემეორა ეს უკვდავი სიტყვები საოხად თვი-
სის ტანჯულის სულისა!

* * *

*

რუსთველის პოემა უუძველეს დროიდგანვე შე-
ქმნილა საგნად შესწავლისა, გამოძიებისა, განმარტე-
ბისა და მიზამდისა. რუსთველის შემოქმედობის ზედ-
გავლენა უფრო თვალსაჩინოდ დაეტყო მე-XVII-
XVIII საუკუნის მწერლობას. ამ დროს დაიბადნენ
მრავალნი მწერალნი, რომელნიც ბეჯითად სწავლობ-
დნენ „ვეფხისტყაოსანს“ და ჰზამავდნენ რუსთველის
ლექსს. ამგვარნი პირნი იყვნენ ნანუჩა ციციშვილი,
მეფე თეიმურაზ I († 1663 წ.), მეფე არჩილი († 1712
წ.), ვახტანგ VI († 1737) და სხვანი. აი, მაგ., რასა
სწერს მეფე არჩილი რუსთველის შესახებ¹⁾:

შოთა ზის სიბრძნის ეტლზედა, თავსა მით ათინათინებს,
ბატონი ჩარხავს სიტყვასა, ავს კარგ თქმად ათინათინებს.
ენას ხმარულობს, მუსიკობს, ყურნი შეუძნდენ სმენასა.

¹⁾ „არჩილიანი“, იქვე.

– 23 –

მეც მსურსო, დასძენს მეფე მწერალი, რუსთველი-
სებრ ლექსების წერას შევუდგე, რომ საქებელი შე-
ვიქნეო.

ამ არჩილისა და თეიმურაზ მეფის დროს რუს-

თველის განსჯა და ჩხრეკა-ძიება უმეტესად გაცხოველდა. ჯერ თვით რუსთველის დროსვე, როგორც გადმოგვცემს ზეპირ-თქმულობა, ჩვენს სამღვდელოებს უარუყვია „ვეფხის-ტყაოსანი“: ეკლესიის წინააღმდეგობა დაუწამებიათ რუსთველისთვის. არჩილისა და თეიმურაზის კრიტიკა უფრო შორს მიდის. ესენი რუსთველს რიცხვენ დიდად განათლებულ კაცად, ხოლო უწუნებენ ლექსს, ლექსის ენას და პოემის დედააზრს, რომელიც ეკლესიის წინააღმდეგად მიაჩნიათ. აი არჩილ მეფე როგორ აკამათებს რუსთველსა და თეიმურაზ მეფეს.

რუსთველი. მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზედ შენობენ. ჩემი ლექსი საამოა. ვთქვი ჩემზე უწინ ართქმული, არც შემდგომთა მოსაპოვარი. ხელოსანი იმას ჰქვიან, უნახავად შეჰქმნა რამე. ჩემი თქმული სახედ გაქვთ. ათინას ვარ გაზრდილი. რა დააჰკნობს ჩემს ზამზახს, რომელსაც მარადის რწყავს ნამი ცრემლთა ჩემთა, ნამი ცრემლთა მიჯნურისა, რომლის გული დაუჭრია ლახვარს შავთა წარბ-წამწამთა რაზმისას; აქანამდის არვის უთქვამს, შოთას ლექსსა შევუდარებო. თუმცა ჩემს ლექსსა და ენას სჩხრეკენ, მაგრამ მასში ვერსად ჰპოებენ ნაყიშს (ნაკლს), თქვენს ლექსებში – კი შემორეულია სპარსუ-

– 24 –

ლი და თათრული სიტყვები. ჩემი ენა წმინდა ქართულია.

თეიმურაზი. რუსთველო, ყური მომაპყარ, გვადრიან მე და შენა, ზოგი შენ გაქებს, მე მეტყვის: „შოთამ გაჯობა შენაო.“ მე კი ჩემი ჯობნა მგონია. შენ ერთი ამბავი იწყე და მისი ბოლო სხვებმა შეათავეს; რაცა სთქვი, იძულებით სთქვი: თამარ მეფემ გიბრძანა და გაიძულა. მე-კი ჩემის ნებითა და ნდომით გამოვსთქვი ლექსი. ტყუილად ჩემულობ პირველობას, შენზე უწინ ლექსაობა ჩახრუხადემ იწყო, რას ერჩი ამ რიტორს, მისსა მას რად არ ანებებ? „ვეფხის ტყაოსანში“ ყოველი არსი შეგიყრია. დაბალიცა და მაღალიცა, რაც ენაა, ყველა გიხმარია, სომხური და თათრულიცა, შემოგიღია ჯავახური ენა, საღვთო სწავლით არ ხარ გაბრძნობილი, საერო მოგინახავს, არა გჯერა, რომ ქალწულს ქალწულობით ძე ეშობოს.

რუსთაველი. მას ვადიდებ, ვინც ქვეყანა დაამყარა, შეჰქმნა. თუ ავად ვსთქვი, მამ თამარ დედოფალმა საჯილდოო რისთვის მომცა!

სულ სხვა თვალთ შეჰხედა „ვეფხის-ტყაოსანს“ ვახტანგ სჯულმდებელმა, რომელმაც ამ მოთხრობაში არა თუ ზნეობის საწინააღმდეგო რამ ჰპოვა,

არამედ იგი სცნო ფრიად სასარგებლო ქმნილებად და რუსთველის თქმულობანი განმარტა საღვთო თქმულობათა მიხედვით. აი როგორ განმარტავს ამ ქმნილების მნიშვნელობას მეფე მწერალი. „ვეფხის-

– 25 –

ტყაოსანი“ არისო, ამბობს ვახტანგი, უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა დასათმენო, საღვთო და საერო, – ვისაცა აქვს სმენა გულსა; უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა“¹⁾.

მაგრამ ანტონი კათალიკოზი, მიტროპოლიტი ტიმოთე და სხ. არ დაერწმუნნენ მეფე ვახტანგს და სასტიკი კრიტიკა აღმართეს რუსთაველის წინააღმდეგ. რუსთველიო, ამბობს ანტონი I, „ამაოდ დაშვრა, საწუხ-არს ესეო“, ხოლო ტიმოთე შენიშნავს, რომ რუსთველმა „ქართველ დედაკაცებს ასწავლა სიწმიდისა წილ სიბოროტე და სიბილწებაჲ.“

რომ „ვეფხის-ტყაოსანში“ არავითარი სიბილწებაჲ არ არის და რომ რუსთველი ამაოდ არ დამშვრალა, ეს დღეს ნათელია ყველასთვის, და ამასვე მოწმობენ გამოჩენილნი კაცნი, რომელთაგან ბროსე ამბობს: „საკვირველი არ არის, რომ სამღვდელოთა შეურაცხყონ სამიჯნურო ზღაპარი, მაგრამ ესეც სათქმელია, რომ სრულიად უმიზეზოდ იგინი ამას სწერენ რუსთველის შესახებ“²⁾. მეფე ვახტანგიც შენიშნავს „რუსთველის დროს საქართველოში ქალი ბატონობდა, ორი ქათალიკოსი, მრავალი წმიდა და ღირსნი კაცნი და მეუღაბნოენი იყენენ. რუსთველს კიდევ რომ მოენდომებინა, მაინც ვერ გაბედავდა

¹⁾ ვახტანგის მიერ გამოცემულ „ვეფხის-ტყაოსნის“ ბოლოსიტყვაობა.

²⁾ ბროსეს გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობა.

– 26 –

დაეწერა რამე სამეძაო მოთხრობა. ჯერ დღესაც, როდესაც საქართველო ღარიბია იმგვარ დიდებულ კაცებით, როგორნიც იყვნენ თამარის დროს, სამეძაო წიგნის დამწერს კეთილს არ დააყრიან და დაწერილს დაუხევენ; თუ ესრეა ეხლა, მაშინ ხომ რუსთველის ნათქვამს დაუხეველს არ გაუშვებდნენ“¹⁾. მაგრამ ეს რომ ასრეც არ ყოფილიყო, მაინც თვით პოეტი გვიხატავს თვის მისწრაფებათა სისპეტაკეს. იგი ჰკითხულობს: „ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“? და თვითონვე პასუხს იძლევა და ამბობს, რომ „მით ვისწავლებით: მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობრისაო“.

ვახტანგ სჯულმდებელის წინა დროს სცხოვრობდა ვინმე ნანუჩა ციციშვილი, კაცი ფრიად განათლებული და ამასთან კარგი მოლექსე. ამ ნანუჩამ ბევრი დრო მოახმარა „ვეფხის-ტყაოსნის“ შესწავლას და ბოლოს იქამდის მივიდა, რომ ეს უკვდავი ქმნილება დაუსრულებელად დასახა და ამისგამო თვითონვე განაგრძო იგი და დაუმატა 1500 ლექსი. ვახტანგ მეფეს არ ესიამოვნებოდა, რომ რუსთველის ნაწერს რყვინდნენ სხვადასხვა მწერალნი; და ამისგამო მან, გახსნა-რა სტამბა ტფილისში (1709 წელს), ეს უკვდავი ქმნილება შეადარა ძველს ხელნაწერებს და აღბეჭდა (1710 წ.). მისი დაბეჭდილის „ვეფხის-ტყაოსანი“ შეიცავს 1587 ტაეპს. ჯერ აქამდისაც „ვე-

1) ვახტანგის იგივე შრომა.

ფხის-ტყაოსანი“ ფრიად გავრცელებული იყო საქართველოში და ამის შემდეგ ხომ უფრო მეტად გავრცელდა, რადგან მისი შექმნა გაადვილდა. „ვეფხის-ტყაოსანი“, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დიდი ქმნილებაა და იგი ქართველთათვის შეიქმნა მეორე სახარებად. მხედარნი და სპასალარნი მასში ჰპოებდნენ მაგალითებს გმიროსნობისას, დედანი – ცოლქმრობის სიმტკიცე-სიწმინდისას, მეფეთა ქვეშევრდომნი – ტახტის ერთგულებისას, მწერალნი – სიმშვენიერეს სურათებისას, ლექსთა კეთილობისას, და საზოგადოდ ყველანი – მამულისა და სარწმუნოებისათვის თავდადებისას. იმდენად პატივსაცემი შეიქმნა რუსთაველი, რომ მისს ქმნილებას მამანი მზითვად ატანდნენ თავიანთ ქალიშვილებს. მაგ. მზითვის სიას ანუკა ბატონიშვილისას, რომელიც 1712 წელს მისთხოვდა ვახუშტ აბაშიძეს, სხვათა წიგნთა შორის, ამშვენიერად აგრეთვე „ვეფხის-ტყაოსანი“.

დ. ჩუბინაშვილი ამბობს ¹⁾: „ვეფხის-ტყაოსანი“ სახალხო პოემად შეიქმნა. მისს თქმულებათაგან მრავალი ანდაზებად გარდაიქცა. იგი ასიამოვნებ-ატკბობს რაოდენიმე თაობას მთელის შვიდი საუკუნის განმავლობაში. შემდეგი დროის მწერალნი „ვეფხის-ტყაოსნისაგან“, როგორც ერთად ერთ და სამაგალითო თხზულებიდან, სესხულობდნენ აზრსაცა და თქმულობასაც.

¹⁾ ჩუბინაშვილი – О грузинской поэме Вепхис-ткао сани.

რუსთველის ლექსიო, განაგრძნობს იგივე მწერა-
ლი, დაწერილია შაირად, რომლის ზომა არის ასე-
თი: uu uu – uu uu – uu uu, მაგ.

ა ა - ა ა - ა ა ა ა - ა ა - ა ა

რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა

ა ა - ა ა - ა ა ა ა - ა ა - ა ა

ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა ზეცით მონაზერითა

ა ა - ა ა - ა ა ა ა ა ა - ა ა

ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა

ა ა - ა ა ა ა ა ა ა - ა ა - ა ა

მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

აი, ესრეთი ლექსთა წყობა შეიქმნა მისაბაძავ
საგნად. რუსთველის ხელმა და კალამმაო, ამბობს
პლ. იოსელიანი, „შეჰქმნა სიტყვა ძლიერი და ძლე-
ვამოსილი, ხოლო სიტყვის ამგვარმა ძლიერებამ
ჰქმნა ის, რომ ქართულს ლიტერატურაში რუსთვე-
ლი პოეტის სახელი კი არ არის, არამედ პოეზიისა“.

უადგილო არ იქმნება აქვე აღვნიშნოთ, თუ რო-
გორ ესმოდა პოეზიის მნიშვნელობა რუსთველსა და
მის დროის პოეტს ჩახრუხამეს.

ჩახრუხამე ამბობს: „ყოველთა გვიჯობს ღვთის-
მიდევნება, მოშაირობა ცუდი თქმა არი" (ტაეპი 64).

რუსთაველი სწერს და განმარტავს:

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,

კვლავ აქაცა იამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი,
გძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი.

ცხენს გამოსცდის შარა გრძელიო, მოზურთალს
მოედანი ¹⁾, მართლად ცემა, მარჯვეთ ქნევა, ხოლო,
მელექსეს გრძელთა ლექსთა თქმა:

არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა.
ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა...

მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.
მოშაირე არა ჰქვიან იმასო, თუ სადმე სთქვა ერთი,
ორი

განაღა სთქვას ერთი ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს, ვითა ჯორი.
მოშაირედ არ ვარგა იმისთანა მელექსეო, რომელსაც

არ ძალუქს სრულქმნა სიტყვათა გულისა გა-
საგმირეთა.

გრძელი შაირი კარგიაო, მაგრამ ამასთანავე სა-

ჭიროაო, რომ მოშაირემ გზას არ გადაუხვიოს, ცუ-
დად სიტყვა არ აბრკვიოს, არამედ

ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს.
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს.
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს.

* *

*

უმთავრეს გმირებად რუსთველს თავის ქმნი-
ლებაში გამოჰყავს თინათინი, ნესტან-დარეჯანი,

1) შეადარე ანდაზა: „ეს ბურთი და ეს მოედანი“.

– 30 –

ავთანდილი და ტარიელი ვიდრე მოვიყვანდეთ ცნო-
ბებს ამ გმირების შესახებ, უადგილო არ იქმნება,
თვალი გადავავლოთ ჩვენი პოეტის თანამედროვე
ევროპიის მწერლობას და ამ მწერლობის წარმომა-
დგენელ პოეტების ნაწერს.

„რუსთველის დროსო, – ამბობს ბარონ სუტნე-
რი ¹⁾, – ევროპა ვერ დაიკვებებდა პოეტებით. საფ-
რანგეთში ამ დროს ჩასციებოდნენ „შანსონ დე-
ჟესტს“, სიმღერას როლანისას, სხვა ქვეყნებში – ნი-
ბელუნგებს, ინგლისურ-საქსონურს „ბევულფს“,
ესპანურ რომანსს „ბალი კამპედორი“, რუსულს –
„სიტყვა შესახებ იგორის ლაშქრისა“. მაგრამ ყველა
ეს ლექსნი და სიმღერანი წარმოადგენდნენ საერ-
თო ნაწარმოებს მესტვირეებისას (ტრუბადურებისას)
ხალხისას, გვირგვინოსნებისას, ასე რომ სახელი და
დიდება მათის შედგენისა არავის არ ეკუთვნის კერ-
ძოდ. ამ დროის დამოუკიდებელ პოეტთაგან შეგვი-
ძლიან დავასახელოთ მხოლოდ ორი პოეტი, რო-
მელთა ქებამ ჩვენს დრომდე მოაღწია. ესენი არიან
ლირიკოსი ვალტერ-ფონ-დერ ვოგელვეიდე და ეპი-
კური პოეტი ვოლფრამ ფონ-ემენზახ. რუსთველის
ალაგი ამ ორთა თანა არს და ეს ალაგი ფრიად სა-
პატიოცაა. „ვეფხის-ტყაოსანი“ სრული რომანია, აგე-
ბული და აშენებული ხელოვნების ყველა მოთხოვ-

¹⁾ იხ. „Кавказъ-ი 1884 წ. და იმავე წლის „დროება“
№ №-ები: 256, 258, 259, 261, 262, 264, 265.

– 31 –

ნილებათა თანხმად და შესაბამად. რომანს აქვს თა-
ვისი დასაწყისი, ნასკვი და ამ ნასკვის გარკვევით გა-
მოცხადებული ბოლო. მასში თავიდან ბოლომდე
მტკიცედ დაცულია კანონები თანდათანობისა და

ზედმიყოლებულის შემოქმედებისა... ევროპაში რომანი პირველად გაჩნდა მე-XIII საუკუნეში, სახელდობრ საფრანგეთში, რომელსაც გამოგონებათა ნიჭი აქვს. ამიტომაც დაფნის გვირგვინი უნდა დავადგათ თავზე იმას, ვინც შორეულს ქვეყანაში (საქართველოში) და ერთის საუკუნით ადრე ამგვარივე გამოგონებით თავი ისახელა. მიუდგომელობა გვაიძულებს გენიოსი ვუწოდოთ რუსთველს, რადგან მან შექმნა რომანი იმ დროს, როცა ამგვარი ყაიდის წერა ჯერ არ არსებობდა ევროპაში. რუსთაველი ღირსია დაიჭიროს ალაგი მსოფლიო დიდების პანთეონში, მისი შემოქმედობა ნიშანია მისის გენიოსობისა ¹⁾...

„სული პოეტისა ჰკრთის და იხატება მისს ნაწარმოებში და ნამოქმედარში. რუსთაველი თავის ნაწერში იჩენს დიდს სიმდიდრეს კეთილშობილ გრძნობათა, აზრთა და მისწრაფებათა. მთელი ამბავი გასულდგმულეებულთა დაუბოლოებელის მისის სიკეთით. ავტორი სიყვარულით შესდგება ხოლმე იმ ადგილას,

¹⁾ პლ. იოსელიანის ფრიად საგულისხმო აზრს, შესახებ რუსთველისა და მისის ქმნილებისა ჩვენ არ ვხეებით, რადგან გვსურს იგი გამოკვლევა სრულად ჩავურთოთ წერილის ბოლოში.

სადაც მას შეუძლიან გამოსთქვას საკუთარი მსჯელობანი. თავის ქმნილებაში რუსთაველი იჩენს მეტად ნაზს სამხატვროსა და ხელოვნურს ნაკვეთს, რომელსაც ძნელად მოსძებნის კაცი მე-XII საუკუნის პოეტების ნაწერებში. სამხატვრო და ხელოვნურ ნაკვეთის სინარჩარე რუსთაველს შთაგონებული აქვს მხოლოდ თვისის საკუთარის ხასიათით.

„ვეფხის-ტყაოსანში“ რუსთველის გულკეთილობასთან ერთად ჩვენ ვჰპოვებთ მის სულგრძელებასაც, მეგობრობას, სიყვარულს, დაპირებულ სიტყვის აღსრულებას. პოეტის ქმნილებაში არც ერთი გმირი არ ივიწყებს იმ სამსახურს, რომელიც მისთვის გაუწევიათ. ამ საგანს არ ღალატობს პოეტი და ისეთის სიმტკიცით მისდევს მას, რომ მხოლოდ ავტორის ხასიათი უნდა იყოს დასაბამი ამ კეთილშობილურის გრძნობისა. „ვეფხის-ტყაოსანში“ ტარიელი, ფრიდონი და როსტევეანი კი არ არიან მოციქულნი მადლიერებისა, თვით რუსთაველია, რომელიც თავის გმირებს ათქმევინებს: „ვინც მე სიკეთე მიყო, არასდროს მას არ დავივიწყებო“. მისი მაღალი აზრი მოვალეობისა და მეგობრობის შესახებ იხატება შემდეგს მისს სიტყვებში: „ვინცა კაცმან ძმა ანუ დაცა იდოს, ჰხამსო მისთვის სიკვდილსა და ჭირსა არ დარიდოს“,

ანუ ამ სიტყვებში: „ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“ და სხ. ამგვარი აზრები, სავსენი კეთილშობილურ გრძნობით, გვხვდე-

– 33 –

ბა გრძელი პოემის ყოველს ნაბიჯზე და მათი ხშირად გამეორება მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ პოეტი გულწრფელად იყო გატაცებული ამ აზრებით და სცდილობდა, ეს აზრები შეეთვისებინა თავის თანამედროვეთათვის. ამისგამო პოეტის ნაწარმოებს ისე კი არ უნდა ვუცქერდეთ, როგორც მოთხრობას სალიზლობელ ამბავთა, მოგონილთა თვით ავტორისაგან თავის მკითხველების გასართობად, არამედ როგორც ზნეობრივ წიგნს, რომელიც ღირსია, რომ იკითხებოდეს განმარტოებითა და ჩაფიქრებ-ჩაღრმავებით. მე-XII საუკუნე მოწყალებისა და გულკეთილობის საუკუნე არ იყო და ამისგამო თუ რუსთველის ქმნილებამ დაიმსახურა პატივისცემა და სიყვარული ერისა, ეს იმას გვეუბნება, რომ თამარ დედოფლის დროს ქართველთა კულტურა მაღლა იდგა“.

* * *

*

„რუსთველის პოემაშიო¹⁾), – განაგრძობს სუტნერი – როგორც ვსთქვით, ოთხი უმთავრესი გმირია: ავთანდილი, თინათინი, ტარიელი და ნესტან-დარეჯანი. პოეტის მოთხრობის საგანი ის არის, რომ ბოლოს-და-ბოლოს ამ ოთხივე გმირთა ამბავი მიიყვანოს ერთს ვითარებამდე. ხოლო ეს ბოლო და ვითარება არის მათი შეერთება სიყვარულითა და მეგობრო-

¹⁾ ბარონ სუტნერის იგივე წერილი.

– 34 –

ბით. ამ საგანს, რომელიც რუსთველს თავსუდვია, მე საძნელოს მეძახიო, ამბობს ბარონ სუტნერი, რადგან ამ შემთხვევაში პოეტს თოკის ყველა წვერები აუცილებლად ხელში უნდა ეჭიროსო, რომ მოსაწყენს ერთგვარობაში არ ჩავარდესო. მიუხედავად სიძნელისა რუსთველმა მაინც შეასრულა ეს საგანი, ბოლომდე მიიყვანა იგი, ხასიათები განავითარა. ის ხერხი, რა ხერხითაც რუსთაველი აღწერს თავის ახალგაზდა გმირს, ბევრად მოგვაგონებს იმ ხერხს, რომელიც 400-ის წლის შემდეგ იხმარა თავის გმირის და-

სახატავად ტორკვატო ტასსომ.

„ავთანდილი კარგა მოყვანილია, ტანადია, უწვერ-ულვაშოა. იგი ჯერ იმ ასაკშია, როცა მის პირის კანს ბროლის ბრწყინვალეობა აქვს. იგი ეძებს ნუგეშინისცემას ან სიკვდილს თვის მიერ შეყვარებულის თინათინის წარბებში.

„დასაწყისიდგანვე თინათინი, რომელმაც ყოველივე სიმდიდრე თვისის სამეფო სალაროსი უწყალობა დიდსა და მცირეს, ღირსი აღმოჩნდება ხელმწიფობისა. იგი იყო ლამაზი და მშვენიერი. ის სურათი, როდესაც თინათინი მოუწოდებს ავთანდილს და დაავალებს ვეფხის ტყავით მოსილ მოყმის საძებნელად წასვლას, ფრიად თვალსაჩინოა. ახალგაზდა ქალწული თავის მალმერთებელს ეუბნება: „გულსა აგრე საიმედო ია მორგე, ვარდი ჰყარე“ და აღუთქვამს მას ჯილდოდ თავის სიყვარულს. ამით სრულად ირკვევა თინათინის ხასიათი: სასურველ საგნის მისაღ-

– 35 –

წევად იგი არ ერიდება მიმართოს ყოველგვარ საშუალებას და ივიწყებს თავის ჩვეულებრივ მოკრძალებას. ამის შემდეგ ავთანდილსაც მალე ვსცნობთ. იგი მოხერხებულა, საქმის ამღებ-დამღები, იცის თავის გულისთქმათა შეკავება, რათა ამით არ გადუხვიოს იმ გზას, რომელიც არჩეული და მოსაზრებული აქვს; იგი უცვლელად მისდევს იმ ქცევას, რომელიც ერთხელვე წესად მიიჩნია:

ჰხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს, არ სიწყნარე გონებისა მოიძულოს, მოიძაგოს.

„ავთანდილს სწამს და კიდევ ასრულებს, რომ მეგობრის გულისათვის არავითარი მსხვერპლის შეწირვა არ უნდა იყოს ძნელი. ავთანდილის ბაასი შერმადინთან და მისი ანდერძი სავსეა მშვენიერის მოძღვრებით. ეს ანდერძი შეიცავს შემდეგს დიდებულს აზრებს:

- ა) სიყვარული აღგვამალვებს.
- ბ) ვგმობ კაცსა ცრუსა და ღალატთანა.
- გ) სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა სიკვდილი სახელოვანი
- დ) მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა გასადებლად, ნურა ნუ გზურს საქონელი ჩემი ჩემთვის წასაგებლად.
- ე) კაცი ბრძენი ვერ განსწირავს მოყვარესა მოყვარულსა
- ვ) სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა და სხვ.

ტარიელი იყო ახალგაზდა, ტანადი, მშვენიერი, ძლიერი, მხნე, გამბედავი. ილია ჭავჭავაძე ასრე ახასიათებს ამ გმირს: „ტარიელი, ეცინება – იცინის,

ეტირება – ტირის, ყოველთვის გულის ამყოლია, გრძნობას ვეღარ ერევა“.

ტარიელი და მისი მზეთამზე მზეზედაც ულა-მაზესი ნესტან-დარეჯანი ერთად იზდებოდნენ. ამ გმირებმა ერთმანეთი შეიყვარეს და პირობა დასდეს, რომ შეუღლებულიყვნენ. მაგრამ ტარიელს მეტოქე გამოუჩნდა. ეს მეტოქე იყო ხვარაზმშას შვილი. ახალ-გაზდა მიჯნურებმა გადასწყვიტეს მეტოქის მოკვლა, მხოლოდ ეს საქმე ისე უნდა შეესრულებინა ტარიელს, რომ უდანაშაულო კაცთა სისხლი არ დაქცეულიყო და ამას გარდა თვით ტარიელსაც არ დაბრალებოდა მკვლელობა. ნესტანი ასრე არიგებს თავის საყვარელს:

რა მოვიდეს სიძე, მოჰკალ, მათთა სპათა აუწყვეტლად,
და შემდეგ
ესრე ჰქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოვლთა გმირთაო:
მიპარვით მოჰკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო,
მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც, ზროხათა, ვითა ვირთაო,
დაიდი სისხლი უბრალო კაცმანცა ვით იტვირთაო!

„მე ვგონებო, – ამბობს სუტნერი, – რომ ეს უკანასკნელი სიტყვები საკმაოდ ამართლებენ და ბოდიშს ხდიან ნესტანს.. მართლაცა და, განა სრულიად ბუნებრივი მოვლენა არ იქნებოდა, რომ სჯავრებოდა ის უცხოელი სასიძო, რომელსაც უნდა განემორებინა იგი თავის სატრფოსაგან? განა, ეხლანდელი ჩვენი დუელები სწორედ ისევ ეს არ არის? ნესტან-დარეჯანი თვის გარემომო არა ჰხედავდა არავი-

თარს სხვა ღონისძიებას გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსვლისათვის, და ნამდვილადაც არ იყო ასრეთი ღონისძიება. იმ დროს მშობლები თავიანთ ქალებს არ ეკითხებოდნენ, თუ ვისზე ათხოვებდნენ, მეტადრე მაშინ, როცა გათხოვება პოლიტიკურის მოსაზრებით იყო გამოწვეული. აი, რისთვის მოჰკიდა ნესტანმა ერთად-ერთს შესაძლებელს ღონისძიებას, მაგრამ ამასთანავე მან არ დაივიწყა ეთხოვა მიჯნურისთვის, რომ ერთის მეტი სხვა არავის სიცოცხლე არ დაეღუპა, რადგან მძაგს უბრალოდ დაღვრილი სისხლიო:

„დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ, ვერ ვიქმნები შუა კედლად“.

„რუსთაველი მეტად გულდადებით და ზრუნვით ეკიდება ამ ორის ხასიათის (ტარიელისა და ნესტანის) დახატვას და ამიტომ ამ გარემოებას (კაცის კვლას) შემოქმედობის მოუხერხებლობით ვერ ავხსნით.

როგორც სხვაგანაც, იგი მისდევს ფაქტებისა და ამბავთა ლოდისას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კაცთმკვლელობა საშუალო საუკუნოებში ისეთს შიშსა და ძრწოლას არ აგრძნობინებდა კაცს, როგორც ეხლა, ჩვენს კაცთ-მოყვარე საუკუნეში, და უნდა მივყვეთ მუდამ იმ ჭეშმარიტებას, რომ კაცობრიობის სინიდისი, ისე როგორც სხვა ყოველივე ამ ქვეყნიერებაში, არ დარჩა განვითარების საზოგადო კანონებს გარეშე. უკეთეს ეს ჭეშმარიტება არ გვესმის, ყველაფერი წარსულს მატთანებში გაუგებარ სკანდალად გვეჩვენება“.

– 38 –

ყველა გამოჩენილ მკვლევარს დიდ ფსიხოლოგიურ წუთად მიაჩნია შემდეგი ადგილი „ვეფხის-ტყაოსნისა“. ნესტანი დაემორჩილა გულისთქმასა, მისწერა წიგნი თავის მიჯნურს – ტარიელს და მოუწოდა თავისთან. როცა ტარიელი ეწვია, ქალმა ველარფრის თქმა ველარ მოახერხა. მხოლოდ ხანგრძლივმა მისმა შეხედვამ გააცილა ტარიელი კარებამდე. აქ იხატება ერთის მხრით სიმამაცე ყმაწვილის ქალისა, რომელმაც წიგნის მიწერა გაბედა და მეორეს მხრით მისი მოკრძალებული უხერხულობა (სუტნერი). – „ნესტანს ერთსა და იმავე დროს ორი სხვა-და-სხვა ნაირი გრძნობა აღედრა გულში: კრძალვა სირცხვილისა და სიყვარულისა. ხმა ველარ ამოიღო, მაგრამ იმ ხმის ჩავარდნით უფრო მეტი გრძნობა გამოსთქვა, ვიდრე მრავალმეტყველებით“¹⁾.

„გაიხსენეთ ის ადგილიო, ამბობს ილია ჭავჭავაძე²⁾, საცა რუსთველმა დაგვიხატა საოცარი ღრმად ცოდნა ადამიანის გულისა. ესრეთი ადგილი არის, შეხვედრა ტარიელისა და ნესტანისა, რომელმაც დაიბარა იგი თავისთან.

ამიგდო ქალმა ფარდაგი მძიმე თავისა ძალითა;
ზედა დგა კუბო (ტახტი), ბადახშითა და ლალითა,
შიგან ჯდა იგი პირითა მზისაებრ ელვა-მკრთალითა.
მე შემომხედის ლამაზად მის მეღნის ტბისა თვალითა.

¹⁾ „რამდენიმე სიტყვა ი. ჭავჭავაძის საპასუხოდ ვეფხის-ტყაოსნის გამო“, აკაკისა.

²⁾ ი. ჭავჭავაძე – „ივერია“ 1887 წ. № 87.

– 39 –

დიდხანს ვსდევ და არა მითხრა სიტყვა, მისსა მონასურსა;
ოდენ ტკბილად შემომხედის, ვითამცა-რა შინაურსა.
ასმათ უხმო, მოიუბნეს, ქალი მოსდგა, მითხრა ყურსა:
„აწ წადიო, ვერას გითხრობს“. – მე კვლავ მიმცა აღმან მურსა.

«ამისთანაზედ იტყვიან ხოლმე – განაგრძობს ჭავ-
ჭავაძე – გენიოსური კალმის მოსმააო. სწორედაც ეს-
რეა. დიდად საგრძნობელს, თუნდ ერთი და იგივე
ძირი ჰქონდეს, ისეთი ბოლო და ზედმოქმედება არა
აქვს, როგორც პატარას. დიდი მწუხარება ცრემლს
უშრობს კაცს, პატარა კი ცრემლს ადენს, დიდს სიხა-
რულს ხშირად ცრემლი მოჰყავს და პატარას კი ღი-
მილი, დიდი გულისთქმა, ჭეშმარიტი გრძნობა მუნ-
ჯია, უტყვია და პატარა კი ყბედი და ლაქლაქი.

«აი, გულთა-მხილავი რუსთაველი რამსიდიდე
გრძნობას ჰხედავს ნესტან-დარეჯანის გულში და რა
ხატით გვაჩვენებს ჩვენც მის ძლიერებას, სიდიდეს
და ძლიერდამოსილებას: ქალმა ველარა სთქვა რაო, სიტყვა
შეეკრაო. ეგ რატომ არ მოუვიდა თინათინს, როცა ავ-
თანდილი დაიბარა პირველად სალაპარაკოდ? იმიტომ
რომ კაცად-კაცის ღრმად მცოდნე რუსთველმა იცოდა,
რომ თინათინი სხვა ბუნებისაა და ნესტან-დარეჯანი
სხვა. და ეს ბუნების სხვა-და-სხვაობა სხვა-და-სხვა ზედ-
მოქმედებასაც ექვემდებარება, ერთისა და იმავე მიზეზი-
საგან წარმომდგარსა, ამ შემთხვევაში – სატრფოთა პი-
რველად სალაპარაკოდ შეყრისაგან. ასე მართლად მკვ-
ლევარია რუსთაველი, ასე საოცრად მართლმხედველია.

„ჩვენ რომ ვსთქვით ზემუხსენებული მაგალითი

– 40 –

გენიოსური კალმის მოსმააო, იმიტომ ვსთქვით, რომ
რუსთველმა ეს ფსიხოლოგიური წუთი შენიშნა და
ფსიხოლოგიის მიხედვით მართლადაც დაგვიხატა. ეს
ხომ ქების ღირსია და ღირსი. ჩვენ აქ სხვა მხარესაც
ვხედავთ. ჩვენ იმაზედაც გვინდა მივაქციოთ ყურად-
ღება მკითხველისა თუ, – რა ხელოვნებით არის ნა-
ნიშნი იმა გრძნობის ძლიერება და სიდიადე, რო-
მელსაც იმ წუთს უნდა შეეპყრა იმისთანა გულის-
თქმის ქალი, როგორც ნესტან-დარეჯანია. რუსთა-
ველი, სასწაულ-მოქმედსავით, ერთის კალმის მოსმით
ჰქმნის ამ სასწაულს და გვეუბნება, – ტარიელი დაი-
თხოვა, ისიც სხვისა პირით: „აწ წადიო, ვერას გით-
ხრობს“. ესე იგი ქალი დამუნჯდაო, – და აბა იფი-
ქრეთ, რა გრძნობაა ამის მომქმედი გრძნობა! შეი-
ძლება-ღა ამაზედ ცხოველად, ამაზედ უკეთესად, ოთ-
ხის სიტყვით კაცმა კაცს ანიშნოს ძლიერება და სი-
დიადე გრძნობისა, როგორც მით არის ნანიშნი, რომ
იმ გრძნობამ ადამიანი დაამუნჯაო მაშინ, როცა თქმა
და ლაპარაკი სამოთხესავით სანატრელია და ასე მო-
სალოდნელი ტრფიალის ქალისაგან, რაკი პირველად
სალაპარაკოდ შეეყრება თავის სატრფოს? აქ ერთის
კალმის მოსმით გამოთქმულია ის, რასაც ეხლანდე-
ლი მწერალი მთელს ფურცლებს მოანდომებდა და

მაინც ესოდენ ცხოვლად ვერ გამოგვიხატავდა სათქმელსა.

„ჰომიროსი იმისთანა ხატს საოცარის მშვენიერებისას, როგორც ელენეა, ისე გვიხატავს, რომ

– 41 –

ვერა მხატვრობა ამას ვერ შესძლებს. გავიხსენოთ მარტო ის ამბავი, რომ ელენე შეჰყავს ჰომიროსს ტროადის ერის მოხუცთა კრებაში. ჰნახეს თუ არა, დარბაისელნი მოხუცნი ერთმანეთს ასე ეუბნებიან: „არა, განვიცხვა შეუძლებელია, რაკი ამისთანა ქალისთვის ერთმანეთს ეომებიან ტროადის ძენი და აქეველნი და ამ ხანგრძლივ სისხლის ღვრაში ამდენს ვაებას ითმენენ. ჭემმარიტად უკვდავთა ღმერთთა თანა შესარიცხია იგი მშვენიერებათა“. მოჰყავს-რა ეს ადგილი გერმანიის სახელოვანს კრიტიკოსს ლესინგს, დასძენს: „სხვას რას შეუძლიან ასე ცხოვლად აცოდინოს კაცს ის მომჯადოებელი მშვენიერება, რომელსაც თვით გულცივი სიბერეც კი ჰხადის ღირსად იმ ომებისა, რომელთაც იმდენი სისხლი და ცრემლი მთელს ერს დაანთხევინესო“. რით ჩამოუვარდება ზემო მოევანილი მაგალითი რუსთაველისა ამ ჰომიროსის გენიოსობასო“, ჰკითხულობს ჩვენი მკვლევარი ი. ჭავჭავაძე და ამით ათავებს თავის მსჯელობას რუსთაველის შესახებ.

ასრეთი დიდია და დიდბუნებოვანი ეს რუსთაველი, რომლის „ვეფხის-ტყაოსანი“ არა თუ მარტო სარკეა, მაჩვენებელი ადამიანის სულის კვეთებისა, არამედ დიდი და უშრეტელი საუნჯეც ქართულის ენისა, მისის მართლწერისა და კანონებისა. მაგრამ არა თუ მარტო ამ მხრივ არის შესანიშნავი „ვეფხის-ტყაოსანი“, არამედ იმ მხრივაც, რომ მასში, ვით მარგალიტი ობოლი, მჭვირვალეებს ეროვნული აზრი და მისწრა-

– 42 –

ფება. რომ ადვილად შევიგნოთ ეს ეროვნული აზრი და მისწრაფება, ეს ბალავარი „ვეფხის-ტყაოსნისა“, საჭიროა აქვე აღვნიშნოთ ზოგი ერთი წვლილი, რომელიც ასე თუ ისე ნათელს ჰფენს ამ უკვდავ პოემის სულ-გულსა და ისტორიას.

* * *

*

ვახტანგ სჯულმდებელის შემდეგ საქართველოსთან ერთად „ვეფხის-ტყაოსანსაც“ თავს დაატყდა დიდი უბედურება. ოსმალებმა დაიპყრეს ტფილისი და

ქართლ-კახეთი. იგინივე ბატონობდნენ სამცხესა და იმერეთში. საქართველო მთლად აირია. ყიზილბაშნი და ოსმალნი შიგ საქართველოშივე ებრძოდნენ ერთმანეთს და ერთსაცა და მეორესაც ჰსურდა ამ მშვენიერი ქვეყნის დასაკუთრება. ბევრი ბრძოლის შემდეგ ყიზილბაშებმა გაიმარჯვეს და ქართლ-კახეთის ტახტზე დასვეს მეფე ერეკლე II. ამ დროს ქათალიკოსად იყო ანტონი I, რომელიც, როგორც ზემორე შევნიშნეთ, მტრულად უყურებდა „ვეფხის-ტყაოსანს“ და საქართველოში ავრცელებდა თვის-მიერ შედგენილსა და ანუ თარგმნილს წიგნებს. იმ დროს თვით წიგნთა ბეჭდვის საქმე შეჩერებული იყო, რადგან ვახტანგის სტამბა მტრებმა გააოხრეს. თუმცა ერეკლე მეფემ ხელახლა გახსნა სტამბა (1782 წელს. ტფილისში), მაგრამ ამ სტამბაში დასტამბულ წიგნთა შორის „ვეფხის-ტყაოსანი“ არა გვხვდება. ანტო-

– 43 –

ნი I და მისნი მიმდევარნი საღვთო წიგნებს გვერდს არ ამოუყენებდნენ ქმნილებას იმ კაცისას, რომელიც, მათის აზრით, „ამაოდ დაშვრა“.

ვახტანგ მეფის შემდეგ „ვეფხის-ტყაოსანი“ პირველად დაბეჭდილ იქმნა 1823 წ. და შემდეგ 1841 წ. მარი ბროსესაგან, ხოლო ამის შემდეგ ჩვენ დრომდე ეს უკვდავი ქმნილება მრავალჯერ დასტამბულ იქმნა. ამ გამოცემათა შორის ყველაზე შესანიშნავია ნახატებიანი გამოცემა გ. ქართველიშვილისა, რომელმაც ამ სასახელო საქმეს მოანდომა არა ნაკლებ 12,000 მანათისა.

გამოცემათა სიმრავლემ ერს განუცხოველა სურვილი ზედმიწევნით გაეცნო და შეესწავლა თვისი საყვარელი მწერლის ნაწარმოები. ამ სურვილმა დაჰბადა მთელი ლიტერატურა შესახებ რუსთაველისა და მის ქმნილების „ვეფხის-ტყაოსნისა“. დღეს უკვე „რუსთაველის ლიტერატურას“ შეადგენს: ა) ვ ე ფ ხ ი ს-ტყაოსნის განმარტება-გამოკვლევა, რომლის ზოგიერთი ნიმუში უკვე ზევით აღვნიშნეთ, ბ) კ რ ი ტ ი კ ა, გ) მ დ ა ბ ი ო ე ნ ი თ მოათხრობა ვეფხის-ტყაოსნის შინაარსისა, დ) ლ ე ქ ს ნ ი პატივად რუსთაველისა და ე) ვეფხის-ტყაოსნის თარგმანი პოლონურად (ლაფჩინსკის-მიერ), ფ რ ა ნ გ უ-ლ ა დ (ი. მეუნარგიას-მიერ), გ ე რ მ ა ნ უ ლ ა დ (ლეისტის-მიერ), სომხურად. თარგმანებს გარდა ყველა ეს აუარებელი მასალა განზნეულია სხვა-და-სხვა დრო-გამოშვებით გამოცემებსა და წიგნაკებში და ამ შრო-

– 44 –

მათაგან ზოგი არც კი დაბეჭდილა. რუსთაველის გამომძიებელ-გამომკვლეველთა შორის ჩვენ ვხედავთ ჩვენი დროის უკეთეს მწერლებსა და მეცნიერებს. იგინი, ზემორე დასახელებულებითურთ, არიან: ა) ქართველნი: დავით ჩუბინაშვილი, პლატონ იოსელიანი, დ. ყიფიანი, დ. ბაქრაძე, გ. წერეთელი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ალექსანდრე ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო მარრი, ა. ნანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა, ეგ. იოსელიანი და სხ. და ბ) უცხოელნი ბროსე, ლეისტი, ბარონ სუტნერი, ნ. გულაკი, მურავიოვი, ბარტდინსკი, პოლონსკი, მურიე, სტალინსკი, გამოჩენილი მეცნიერი რენანი ¹⁾, უორდროპი და სხ.

კრიტიკა და გამოკვლევა შეეხება ამგვარს კითხვებს: ა) თ ვ ი თ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა „ვეფხის-ტყაოსანი“ თუ ნ ა თ ა რ გ მ ნ ი ანუ გ ა დ მ ო ღ ე ბ უ ლ ი უცხოელთა ენიდგან, ბ) რ ა ა დ გ ი ლ ი უ ჭ ე რ ი ა რუსთაველს თანამედროვე გენიოს მწერალთა შორის და გ) რ ა ა დ ე დ ა ა ზ რ ი რუსთაველის ქმნილებისა.

მეორე კითხვის შესახებ ჩვენ უკვე მოვიყვანეთ მსჯელობა ზოგიერთ მკვლევარისა, ხოლო

¹⁾ ა. ხახანაშვილის თქმით, რენანმა დიდის ქებით მოიხსენია „ვეფხის-ტყაოსანი“, (იხ. Груз. поэт. XII в. Шота Руставели".

პირველი კითხვის შესახებ არსებობს სხვა-და-სხვანაირი აზრი და შეხედულება. მკვლევართა უმცირესობა ჰფიქრობს, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“-ს დედა-აზრი რუსთაველს გადმოუღია ანუ სპარსულიდგან და ანუ არაბულიდგანო, მეორენი – უმეტესობა – ამტკიცებს, რომ რუსთაველის პოემა საკუთარი შემოქმედობის ნაყოფიაო. ამ უკანასკნელ აზრის მიმდევართა შორის ურევიან ისინიც, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ რუსთაველმა, როგორც სპარსულისა და არაბულის ზედმიწევნით მცოდნემ, შეიძლება გადმოიღო გარეგანი სახე ანუ ფორმა თვისის თხზულებისაო. ერთის მწერლისაგან აგრეთვე გამოითქვა ასრეთი აზრი, რომ პირველი ნახევარი „ვეფხის-ტყაოსნისა“ პოეტის თვით-შემოქმედობის ნაყოფიაო, ხოლო მეორე ნახევარი – ნასესხები ანუ უცხო ენიდგან გადმოღებულიო. ითქვა აგრეთვე ისიც, რომ რუსთაველს თვისის პოემის დედააზრი ამოუღია ხალხურ ზეპირ-სიტყვაობიდან და ამ ხალხურ თქმულობაზე აუშენებია თვისი ქმნილებაო.

ესრეთი არევ-დარევა აზრებისა შესახებ ერთისა

და იმავე პოემისა გამოუწვევია თვით ამ პოემის შესავალს, საცა რუსთაველი ამბობს: ა) გ ა ვ ლ ე ქ ს ე ა ქ ა მ დ ის ა მ ბ ა დ ნ ა თ ქ ე ვ ა მ ი , ა წ მ ა რ გ ა ლ ი ტ ი წ ყ ო - ბ ი ლ ი და ბ) ე ს ე ა მ ბ ა ვ ი ს პ ა რ ს უ ლ ი , ქ ა რ თ უ ლ ა დ ნ ა თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი , ვ ჰ პ ო ვ ე და ლ ე ქ ს ა დ გ ა რ დ ა ვ ს თ ქ ე ბ ი . ვ ი მ ე ო რ ე ბ თ , პ ო ე ტ ის ა მ ს ი ტ ყ ვ ე ბ ის ძ ა ლ ი თ მ ის

– 46 –

მკვლევართა და გამომძიებელთა შორის ჩამოვარდნილა უთანხმოება.

ჯერ ვახტანგ სჯულმდებელის დროსვე დაბადებულა კითხვა: „ვეფხის-ტყაოსანი“ სპარსული ზღაპარია, თუ არა? ამ კითხვის შესახებ იგი მეფე, რომელიც დიდხანს სცხოვრობდა სპარსეთში და ზედმიწევნით იცოდა სპარსული ლიტერატურა, გვეუბნება: ეს ამბავი („ვეფხის-ტყაოსნის“ ზღაპარი) სპარსშიდ არსად იპოვება“. მაშ რათ ამბობს რუსთაველი, რომ სპარსულიდგან ვსთარგმნეო, – ჰკითხულობს მეფე მწერალი. აი რათაო, – გვიპასუხებს იგივე მეფე: „თამარ მეფე კარგი და ძალიანი ხელმწიფე იყო და ეს მაზედ მოინდომაო: სპარსთ კაი მელექსობა იცოდნენ, ასეთი საქმე (მელექსობა) სხვაშიდ რატომ იყოსო, რომე ქართულშიაც არ იყოსო, და უბრძანა (თამარმა) თავის მდივანს რუსთაველს ქართულის ენით კაი ლექსები სთქვიო. რუსთველმა ამბავიც თვითონ გააკეთა და გალექსა სპარსთა ლექსის ბაძით და ამისგამო სთქვა, რომ სპარსულიდგან ვსთარგმნეო“¹⁾).

ვახტანგ მეფის შემდეგაც „ვეფხის-ტყაოსნის“ კვალი ბევრმა ეძება ხან სპარსეთში, ხან არაბეთში და, საზოგადოდ, აღმოსავლეთის ქვეყნებში. მაგრამ ყოველი მათი ცდა ამაო გამოდგა. დღეის დღევანაამდლო წათი ადაი ამჯო ღგავ-ჯაგა დღეის დღევანდლამდე ყველა ამ ქვეყნებში „ვეფხის-ტყაოსნის“ ნიშან-წყალი არ აღმოჩენილა. აი, ამიტომაც მრავ-

¹⁾ ვახტანგის გამოც. „ვეფხის-ტყაოსანი“.

– 47 –

ვალნი მწერალნი დარწმუნებულნი არიან და ამტკიცებენ, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ თვით-შემოქმედებითი ნაყოფია და „სპარსულიდგან გადმოვიღეო“ იმითომ ამბობს რუსთაველი, რომ უმთავრესი თვისი აზრი – დიდება თამარისა და მისთა თანამოღვაწეთა – თავისუფლად გამოხატოსო, და ამავე მიზეზით თვისთა გმირთა საასპარეზოც – საქართველო – არაბეთად მოუხსენებიაო.

საჭიროდ მიგვაჩნია, დაახლოვებით გავიცნოთ

სხვა-და-სხვა მკლევართა აზრი ამ კითხვის შესახებ.

ჩუბინაშვილი ¹⁾: განვიხილავთ-რა რუსთველის პოემას, ჩვენ ვხედავთ ერთის მხრით ბევრს ადგილებს, რომელნიც მოგვაგონებენ საღვთო პოეზიას ურიე-ბისას, ჰომიროსისას და დასავლეთ ევროპის მწერ-ლობისას, ხოლო ფილოსოფოსნი, რომელნიც დაუ-სახელებია თვით ავტორს და ანუ მართო ოდენ უნი-შნებია უსახელოდ, სავსაო საბუთია იმისი რომ ავტორს სცოდნია კლასიკური ლიტერატურა. მეორეს მხრით, გავსინჯავთ-რა პოემის ენას, ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვამჩნევთ „ვეფხის-ტყაოსნის“ შინაარსის მსგავსებას აღმოსავლეთის ლიტერატურასთან და განსაკუთრე-ბით კი „ათასერთლამე“-სთან. იმ ნაირადვე გაზვიადებულია ადამიანის გულის კვეთებანი, იმნაირივეა იგავური თქმულებანი. რუსთაველის გმირი, ვითარცა ყველა გმირნი აღმოსავლეთისანი, მწუხარების ჟამს,

¹⁾ О Груз. Поэмѣ, „Вепхис-тқаосани“.

თავზე მტვერს იყრიან. ერთნაირივეა სახელები. მზე, მთვარე, ლომი ნაცვალ-სახელებად იხმარებიან. და არა მხოლოდ გარეგნულად ემსგავსება რუსთაველის პო-ემა აღმოსავლეთის პოემებს, არამედ თვით შინაგან მოწყობილობითაც. ეს მსგავსება იმდენად თვალსა სტაცებს მკითხველს, რომ ბევრნი ჰფიქრობდნენ, ვი-თომ უმთავრესი შინაარსი „ვეფხის-ტყაოსნისა“ – ტა-რიელის ისტორია – რუსთაველს კი არ შეუქმნიაო, არამედ მას უსესხნია აღმოსავლეთიდგანო, უთარგმნია ანუ არაბულიდგან და ანუ სპარსულიდგანო. თვითონ რუსთაველიც ამბობს, რომ ტარიელი, ეს წყობილი მარგალიტი, სპარსეთს ვჰპოვეო და ქართველი ერის სული ჩავუდგო. ძნელი არ არის მივხვდეთ, რომ ამის თქმით რუსთაველს ჰსურვებია, მეტი ფასი დაე-დო თავის პოემისათვის, რადგან, როგორც ვიცით, ხშირად უცხო ქვეყნის ნაშემოქმედარს უფრო მეტ ფასს სდებენ ხოლმე, ვიდრე საკუთარისას. ისტორია ტარიელისა არ არსებობს არც ინდოეთსა და არც სპარსეთში. თუმცა „ვეფხის-ტყაოსანი“ აღმოსავლე-თიდგან გადმოღებული არ არის, მაგრამ აღმოსავლე-თის ნიმუშების მიხედვით შედგენილია. მის გმირთა სახელების ახსნას უმეტეს ნაწილად ჩვენ ვჰპოვებთ სპარსთა და არაბთა ენებში. ამგვარი სახელებია, მაგ., როსტევან, რამაზ, სარიდან, ფატმან, ფარსადან და სხ. ხოლო უმთავრეს გმირთა სახელები ტარიელ, ავთანდილ და თინათინ ქართულებია. რუსთაველი ისევე თავისუფლად გვიხატავს თავის გმირების საას-

პარეზოს, როგორც აღმოსავლეთის პოეტნი. ყველამ იცის, თუ როგორია მოთხრობათა მსვლელობა. იგინი იშვიათად ეთანხმებიან გეოგრაფიას, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მოქმედობენ ისტორიულნი პირნი. აღმოსავლეთის მწერალნი თავის გმირებს წარგზავნიან ხოლმე შორეულს ქვეყნებში, რომელსაც თავისებურად გამოგვიხატავენ: ანუ ამკობენ ყოვლისავე სიმშვენიერე-სიმდიდრითა და ანუ ველურ უდაბნოდ მოგვაჩვენებენ. ამ შემთხვევაში იგინი დარწმუნებულნი არიან, რომ მათი ნათქვამის შემმოწმებელი არავინ იქმნება. რუსთაველიც ასრე იქცევა. და ამისგამო ძნელია გამოვსახოთ რუკა მისის პოემის ადგილ-მდებარეობისა, რუკა იმ პოემისა, რომლის უმთავრესი მოქმედება სწარმოებს ინდოეთში. – ვიმეორებთ, „ვეფხის-ტყაოსანი“ შექმნილია თვით რუსთაველის მიერ და მისი მიზანი არის დიდება თამარ დედოფლისა.

ბროსე ¹⁾. თუმცა მოიხსენებს რუსთაველი, რომ ვეფხის-ტყაოსანი პირველ იყო სპარსულად „მარგალიტით ხელის-ხელ საგოგმანები“, მაგრამ ნათლად სჩანს, რომ თვით შეუთხზავს ზღაპარი ესე, უფრო თამარ მეფის ქებისთვის, და დაუწერია შეთანხმებითა საქართველოს მოთხრობისათა. აზრი ესე გამოცხადდების იმ მუხლებით, სადაც ამბობს: „თამარს ვაქებდეთ . . . მიბრძანეს ქება...“ რუსთაველის გმირების

¹⁾ იხ. მის-მიერ გამოც. „ვეფხის-ტყაოსანი“.

ზნეობა, ყოფაქცევა, გულოვნობა, ძმური მეგობრობა, უთუოდ ქართველთ გულს, ზნეობას, ერთის სიტყვით ვსთქვათ, სრულს მათს ხარაკტერს (ხასიათს) გამოგვიხატვენ.

დ. ბაქრაძე ¹⁾. რაიც შეეხება „ვეფხის-ტყაოსანს“, ჩვენის ფიქრით, იმის დედა-აზრს ავტორი აფუძნებს თავის დროის საქართველოს ისტორიაზე. ამასთანავე დიდ მსგავსებას გვიჩვენებს შედარება ენის ფორმისა და ხასიათისა „ვეფხის-ტყაოსანში“ და თამარის ბიოგრაფიაში. გარდა ამისა აქაც და იქაც ხელისუფალთა სახელ-წოდებანი ერთნი და იგინივე არიან. „ვეფხის-ტყაოსანის“ შვიდნი სამეფონი ინდოეთისანი მოასწავებენ ჩვენის მხრის პოლიტიკურ დანაწილებას. „შვიდთა სამეფოთათვის“ ჩვენში თამარის მამის გიორგის დროდამ ნახე ქართლოს-ცხოვრება, გვ. 265. ნესტან-დარეჯან ეს ერთადერთი ნაშობი ინდოეთის მეფის ფარსადანისა, რომელიც მას აღსაზრდელად

აძლევს თავის დას, ქაჯეთს გათხოვილს, ქვრივს და-
ვარს, რას აჩვენებს, თუ არ ისტორიულ ფაქტს, ესე
იგი გიორგი მეფის დას ხვარასნის სულტანისათვის
მითხოვილს რუსუდანს, რომელსაც შვილი არ ჰყვან-
და და რომელსაც მინდობილი ჰქონდა თამარის აღ-
ზრდა? თვით ნესტან-დარეჯანისთვის საქმროს ძებნა
და ბოლოს მისი მითხოვება ტარიელისადმი, რომე-
ლიც ყმაწვილობითვე ფარსადანს მიეღო თავის სახლ-

¹⁾ ვახუშტი, გვ. 218 შენიშვნა ბაქრამესი.

– 51 –

ში გვიჩვენებს თამარის საქმროს ძებნას, სოსლან-
დავითის ბაგრატიონთ გვარის შთამომავლობას და
მის აღზრდას რუსუდანისაგან. დასასრულ, თუ ვეფ-
ხის-ტყაოსანს საფუძვლიანად გავარკვევთ, მაშინ, ექ-
ვი არა გვაქვს, იგი ბევრს სხვა დასამტკიცებელს სა-
ბუთს მოგვცემს ამისას, რომ მის ავტორს აზრად აქვს
საქართველოს პოლიტიკური წყობილობა და ყოფა-
ცხოვრება.

აკაკი წერეთელი ¹⁾). თუმცა თვით რუსთაველი
გვარწმუნებს, მაგრამ ეს ამბავი (ვეფხის-ტყაოსანი) სპარ-
სულით არ არის გადმოღებული. აქ უცხო არაარის-
რა და მოთხრობაში დასახელებული ქვეყნები მხო-
ლოდ გადარქმეული საქართველოს სხვადასხვა კუ-
თხეებია, ხალხიც ქართველთა ტომია და პოემის გმი-
რებიც მათი წარმომადგენელი. ამას იმათი ზნე, ჩვეუ-
ლობა, თვისება და ცხოვრების წეს-წყობილება გვიმ-
ტკიცებს... ვეფხის-ტყაოსანში ჩვენს ისტორიულს
ცნობილს პირებს ვხედავთ: ვახტანგებს, დავითებს,
ბაგრატებს, გიორგიებს და, თუ გნებავთ, თვით ირა-
კლიც იგივე ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონები არ
არიან?“

მურავიოვი, რომელსაც ბარტდინსკის თარგმანით ²⁾ მო-
ჰყავს პირველი ნაწილი „ვეფხის-ტყაოსნისა“, ამბობს:

¹⁾ იხ წიგნაკი „ორი სიტყვა ი. ჭავჭავაძის საპასუხოდ ვეფხის-
ტყაოსნის გამო“, აკაკისა, გვ. 11. (სამწუხაროდ, აკაკის
ლექცია რუსთაველის შესახებ ჯერ არ არის დაბეჭდილი სრულად).

²⁾ Муравьев Грузія и Армения, გამოც. 1 848 წ III, გვ. 216 235.

– 52 –

არა მგონია, რომელიმე ისტორიაში მოიპოვებოდეს ისე-
თი მეფე კაცი, რომ მას ჰხვეოდეს ყველა გადმოცემანი
წარსულთა და მომავალთა ჟამთა და ამასთანავე ისეთი
ბრწყინვალე და წმიდა ყოფილიყოს მისი სახე, რო-
გორიც არის საქართველოს ისტორიაში სახე თამა-
რისა. შოთა რომ სწერდა ვეფხის-ტყაოსანს, აღტყე-

ნებული იყო ამ მიუწდომელ მფლობელის სიყვარულითა. მისი საასპარეზო შოთამ გადიტანა არაბეთს. – რადგან ვერ გაბედა პირ-და-პირ დაესახელებინა ეს მეფეთ-კაცნი, და იგინი დაგვიხატა მოგონილ სამეფოს მოგონილ მფლობელების სახით, და ძლიერი მეფე გიორგი, მამა თამარისა, გამოგვიხატა დიდებულ მეფე როსტევანად, ხოლო თამარი – თინათინად. „ვეფხისტყაოსანი“ შექმნილია საქართველოს მხურვალე ცის ზე-გავლენა-შთაგონებითა და რუსთაველის გულის სიყვარულითა. მე თვითონ ვიხილე ის ადგილები, საცა რუსთველს აუკვნესებია თვისი ქნარი, ის ადგილები და პალატნი დიდებულ დედუფლისა, საცა თავადი დადიანი მიკითხავდა შოთას ვეფხისტყაოსანს, რომლის ზოგიერთი სახენი თვალწინ წარმომიდგენენ მეორე დღეს დაბა-ხონში საერო დღესასწაულის ჟამს.

გულაკის აზრით, ¹⁾რუსთაველის თინათინი არის თამარ დედოფალი, როსტევანი – მისი მამა, გიორგი III. პოეტს თვისის გმირების ასპარეზად საქართველოს მაგიერ დაუსახელებია არაბეთი, მაგრამ ბუნება ამ „არაბეთისა“ საქართველოს ბუნებაა და არა

¹⁾ О Барсовой кожѣ Руставели.

არაბთა ქვეყნისა. უღრანი ტყეები, დაკიდულნი კლდენი, მათ ქვეშე მოჩხრიალე ხევნი, ჯოგნი ირემთა, თხათა, შველთა და სხ. და სხ., ყოველივე ეს გვაგონებს საქართველოს. აგრეთვე წეს-ჩვეულებანიც, აღნიშნულნი პოემაში, – წმინდა ქართულებია: მეფის ამალას შეადგენენ თავადნი და დიდებულნი, მგოსანნი, მესაკრავენი, მეჩანგენი; ბუკი, წინწილი, ნარდი, მზეობით ფიცილი და სხვა. როსტევანი და მისნი ქვეშევრდომნი ქრისტიანნი არიან ¹⁾, ხოლო მცხოვრებნი ინდოეთისა, გულანშაროსი და „ზღვათა სამეფოსი“ მაჰმადიანნი, ჩინელნი და ქაჯნი-წარმართნი.

ამ ბოლო დროს საქართველოს ყოველს კუთხეში აღმოჩნდა ხალხური ვეფხისტყაოსანი ანუ „ტარიელის ამბავი“ ²⁾, რომელიც წარმოგვიდგენს განსაკვიფრებელს მსგავსებას რუსთაველის ქმნილებასთან. ხალხურ ვეფხისტყაოსანში, სხვათა შორის, ნა-

¹⁾ „და ზარსა სცემდეს“ – ამ თქმაზე აფუძნებს გულაკი თავის აზრს, და სიტყვას „ზარი“ სთარგმნის „კოლოკოლად“. მაგრამ ხსენებულ ადგილას ზარი აღნიშნავს „მიშს“ და არა „კოლოკოლს“!

²⁾ იხ. შემდეგს ადგილებში ჩაწერილნი: კახეთში (ივერია, 1887, № 224), ფშავეში (ივ., 1888, № 45), ბიწმენდში (ივ., 1888, № 165), ყიზლარში (ივ., 1888, № 131),

კახეთშივე (ივ., 1890, № 252), ქართლში (ივ., 1890, № 240), ჩირდილს (ივ., 1891, № 74 და 75), ხევსურეთს (ივ., 1890, № 7 და 239).

– 54 –

თქვამია, რომ გმირები ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ძმები იყვნენ და მათგან- უფროსი იყო ტარიელი, ავთანდილი – შუათანა, ხოლო ფრიდონი – უმცროსი. ეს ფრიდონი მეჯოგედ დადგაო, ავთანდილი იმერეთის მეფის ვეზირად შეიქმნაო, ხოლო ტარიელი აღმოსავლეთის მეფის ვეზირადო. ორთავე ამ მეფეებს მზეთ-უნახავი ქალები ჰყვანდაო. ავთანდილი ესიძევა იმერეთის მეფესო, ხოლო ტარიელმა შეირთო აღმოსავლეთის მეფის ასული ლერწამ-დარეჯანიო. ფრიად საგულისხმოდ მისაჩნევია, რომ ავთანდილისა და ტარიელის ვინაობის დახასიათებაში აკაკის აზრი სრულად ეთანხმება ხალხურ ვეფხის-ტყაოსნის გადმოცემას. აკაკი ჰფიქრობს, რომ ტარიელად რუსთაველს გამოუხატავს ქართლელ კაცისტიპიო, ხოლო ავთანდილად – იმერლისაო.

ამისთანა მსგავსებისა გამო – ერთის მხრით რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნისა“ და მეორეს მხრით ხალხურ ვეფხის-ტყაოსნისა – იბადება კითხვა: „შოთას პოემამ იმოქმედა ერის მეხსიერებაზე და ამ პოემის მიხედვით წარმოსდგა საერო მოთხრობა – ტარიელის ზღაპარი, თუ საერო ვეფხის-ტყაოსანმა მისცა პოეტს მასალა ტარიელის ამბავი სალიტერატურო, ხელოვნურად აგებულ ნაწერად გარდაექმნა?“ ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს ა. ხახანაშვილი ¹⁾ რომელსაც ჰგონია, რომ ხალხში

¹⁾ „ივერია“ 1890 წ., N 25; აგრეთვე მისივე „Грузинский Поэтъ XII вѣка Шота Руставели и его поэма „Барсова кожа“, გამოც 1895 წლ.

– 55 –

ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაშთენილი ლექსები გარდაქმნილა ლიტერატურულ პოემად. პოეტს შეუტანია კაცის ამამალღებელი და განმასპეტაკებელი გრძნობა სიყვარულისა, თავიდგან ბოლომდე გაუტარებია ეს აზრი და ამით შეუერთებია საერო ლექსების ნაწყვეტები. შოთას გაუმშვენებია ხალხური პოემა ფილოსოფიურ მოსაზრებით, მეტყველის ენით, პოეტურის აღმაფრენით. შოთა დაჰმღერს საერო ჰანგს, ნაციონალურს ხმას, თავის ნიჭით ამბობს ხალხში დარჩენილ ამბავს. და ერსაც იმიტომ მოსწონს და უყვარს შოთა, რომ ამ პოეტმა თვით ხალხის გულიდგან ამოიღო შინაარსი თავის პოემისაო.

ვაჟა-ფშაველა ¹⁾ წინააღმდეგია ხახანაშვილის

ამგვარ აზრისა. მსგავსება რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“ და ხალხურ „ტარიელის ამბისა“ საკმაო არ არის, რომ ვამტკიცოთ პირველი უკანასკნელის შემწეობით შედგენილ იქმნაო. ხალხი ხშირად სცვლის და ასხვავებებს ლიტერატურულს ნაშემოქმედარსო. აი, მაგ., ხევსურთა ხევსბერის პირში როგორ იცვლება სახარების სიტყვები. მაგიერად საღმთოწერილის სიტყვებისა: „კანას გალილიასა წყალი ღვინოდ გარდაჰქმენ“, აქ გვესმის: „სკანი სკანარეო, წყალს იორდანეო, წყალი ღვინოდ შესცვალეო“. განა ეს საფუძველს გვაძლევსო, რომ ვიფიქროთ, ვითომ სახარების სიტყვები დაფუძნებული ყოფილიყოს ხევს-

¹⁾ „ივერია“ 1890 წ., № 39.

– 56 –

ბერის დიდებაზე? ვაჟაფშაველა დარწმუნებულია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თვით რუსთაველის ნაშემოქმედარია და ამ უკვდავ ქმნილებაში გამოხატულია პოეტის თანამედროვე ეპოქა, ოქროს საუკუნე, „რომელიც იალბუზივით ქედ-მოღერებული სდგას მთელს საქართველოს ისტორიაში“.

ყველა ამ მწერლების ნათქვამს არ ეთანხმებიან ნ. მარრი და ბატონი ნ. დ. მარრი ამბობს ²⁾, რომ „კითხვა: ვისი ქმნილებაა „ვეფხისტყაოსანი“, ერის თუ რუსთაველის, – უნდოდად არის აღძრულიო. თვალსაჩინო კითხვა აქ ეხება თვით შინაარსს. თუ ასეა, და ჯერ ვინ დაგვიმტკიცა, რომ რუსთაველი ცრუობს და ვეფხისტყაოსანი სპარსულიდგან არ არის გადმოთარგმნილი? ან ის, რომ ვეფხისტყაოსანი ქართული ქმნილება არის შინაარსის მხრითაც, ვინ დაგვიმტკიცა იმდენად, რომ ეხლა მის მეტი საეჭვო და საძიებელი არა დაგვრჩენოდეს-რა: მარტო რუსთაველის შექმნილია პირველიდგანვე ვეფხისტყაოსანი, თუ ხალხის, მთელი ქართველი ერისა. . . მე სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია რუსთაველისავე სიტყვები, რომ მას სპარსულიდგან ამბავი უნდა გაეღექსოს. რავდენად შესცვალა დედანი პოეტმა, გაავრცელა ან შეამოკლა, ამაზედ სჯა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა სპარსული დედანი აღმოჩნდება, რის იმედს ჯერ არ ვკარგავ. სპარსულ დედანში თვით

²⁾ „თეატრი“ 1890 წ., № 12.

– 57 –

ტარიელის და ნესტან-დარეჯანის ამბავი უნდა იყოს, თვით სახელებიც კი. ტარიელ გადმოქართულებული სპარსელ კაცის სახელია: სპარსულად ითქმის „შაჰ-

რიერი“ და ნიშნავს ხელმწიფეს, ხოლო ნესტან-და-რეჯანი აგრეთვე სპარსელი ქალის სახელია: სპარსულად ითქმის „ნესტან დარი ჯეჰან“ და ნიშნავს სიტყვა სიტყვით „არ არის ქვეყანაზე“, ხოლო აზრით – „არ არის ქვეყანაზე მსგავსი მისი“, ესე იგი – უებრო“.

შემდეგ მარრი გვაუწყებს, რომ „ლონდონს ბრიტანიულს მუზეუმში, როგორც სჩანს კატალოგიდგან, ინახება სპარსული ხელნაწერი „შაჰრიარ-ნამე“, ესე იგი წიგნი შესახებ შარიერისა (ტარიელი-სა), რომლის ამბავი ინდოეთში მომხდარა. ეს „შაჰრიარ-ნამე“ რომ სხვა რამე აღმოჩნდეს და არა ქართული „ვეფხის-ტყაოსანი“, სხვა „შაჰრიარნამე“-თა მოპოება და გასინჯვა იქმნება რუსთაველის ნაწერთა მკვლევარის პირველი ვალდებულობა, როცა სიტყვა შინაარსის სადაურობაზე ჩამოვარდება. სპარსული ძველი მწერლობა ჯერ ეგრე შემუშავებული არ არის, რომ წიგნში გინდა რამდენიმე წიგნში, ჩახედვის მეტი არა გვჭირდეს-რა სასურველი საგნის მოსაპოვებლად. ჯერ თვით ხეირიანი სახელმძღვანელოც არ არის შედგენილი სპარსული მწერლობისა, და მკვლევარს ისევ კატალოგებისა და სპარსული ხელთ-ნაწერების ჩხრეკა სჭირია, რაც მოითხოვს დროსა და მოთმენას“.

– 58 –

ამას სწერდა ეს ახალგაზდა მკვლევარი 1890 წელს (გაზ. „თეატრი“ № 12) და მასვე იმეორებს იგი 1895 წელსაც (საერო განათლების სამინისტროს ჟურნალი 1895 წ., ივნისი), როდესაც შეეხება მოსე ხონელის ნაწერს „ამირან-დარეჯანიანს“ და ამტკიცებს, რომ ეს ქმნილებაც სპარსულიდგან გამოდებული თხზულება უნდა იყოსო, მხოლოდ სპარსულს ლიტერატურაში უნდა ვეძებოთ მისი დედანიო, შეიძლება ეს დედანი სპარსეთში დაკარგული იყოსო და არ აღმოჩნდესო, მაგრამ ეს საკმაო საბუთი არ იქნება ვამტკიცოთ, რომ იგი ნაშთი სპარსული არ არისო, და ამგვარს საბუთს კი, ჩვენდა გასაოცებლად, ხელზე იხვევენ სხვა ნაშთის – ვეფხის-ტყაოსნის წარმოების შესახებო (გვ. 363).

გზა გამარჯვებისა დავულოცოთ ბ. მარრს, რაც უფრო მალე აღმოჩნდება მართალი და ჭეშმარიტება, მით უფრო ჩქარა მიეფინება ბრწყინვალეობა დიდებულს ჩვენს პოეტს რუსთაველს, რომელსაც არ ეშინიან მართლის ქმნისა, ვინაიდგან, როგორც იგი თვითონვე ამბობს, „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადა“.

აქ უნებლიედ მაგონდება ბარონ სუტნერის სი-

ტყვები, რომელიც სწერს: „რუსთაველი ამბობს პოემაში, რომ ეს უკანასკნელი დაფუძნებულია სპარსულს ამბავზე. ამის მიხედვით პოეტის მტერნი იტყვიან, რომ რუსთაველის პოემა არც თვითშემოქმედებითი ნაწარმოებია და არც ეროვნულიო. ჩემის აზრით, თვით

– 59 –

ამ საგანზე ლაპარაკის ჩამოგდება გროშადაც არა ღირს. პირველის წუნის შესახებ მე ვუპასუხებდი, რომ რუსთაველის დიდება შეუძლებელია დაამციროს იმ გარემოებამ, რომ მან, იქნება, ისარგებლა სპარსული თქმულებით, მაგრამ განა ვის მოუვა დღეს ფიქრად, წუნი დასდოს შექსპირს იმისთვის, რომ დედა-აზრი თავის დრამებისა მან გადმოიღო ბოკაჩიოდგან, რომელიც თავის მხრით ძველი მატრიანებიდგან იღებდა მათ? ბეთხოვენმა სრულიად შემთხვევით ისარგებლა ერთის, ქუჩაში გაგონილის, ხმით და შეადგინა სონეტი. მაშ განა ამისთვის შემოქმედნი არ უნდა ეწოდოთ ერთსაცა და მეორესაც? მაშ განა რუსთაველი ამისთვის არ არის ნამდვილი ავტორი თავის ვეფხის-ტყაოსნისა? ხელოვნება ის არის, როგორ შეასრულებ საქმეს, როგორ მოიხმარ მასალას, და არა ისა, რა არის მთავარი აზრი ამა და იმ ნაწარმოებისა. რაიცა შეეხება პოემის მეორე წუნს – ვითომდა არა ეროვნულს, მე ამის პასუხად მოვიყვან მხოლოდ სენ-ბევის სიტყვებს, რომელიც მან წარმოსთქვა ვირგილიუსის გამო: „ყველა ცხოველი პოემებით, რომელნიც ოდესმე აღელვებდენ და აღტაცებაში მოჰყავდათ თანამედროვენი, თუმცა მათი გმირები სხვა დროს ეკუთვნოდნენ, შეიცავდენ ისეთს კუნჭულს, რომელიც უახლოვდებოდა თანამედროვეთა ჟამსა და ყოფა-ცხოვრებას. დანტსა და კამონენს ყოველივე ახალი დროის შესაბამად ჰქონდათ მოთხრობილი, ისე, როგორც ტასსა და მილტონს“.

– 60 –

უეჭველია, მამასადამე, რუსთაველის პოემა, რომელმაც თავისი დრო და თავისი ქვეყანა აღტაცებაში მოიყვანა, უნდა ყოფილიყო ამ დროის ვითარებითა და ერის თვისებით გაჟღენთილი და გამსჭვალული და რომ, როგორც უნდა ყოფილიყო მისი შინაარსი – სპარსული თუ არაბული, – სადაც უნდა წარმოებულიყო მისი მოქმედება – ინდოეთსა თუ სხვაგან – „ვეფხის-ტყაოსანი“ ყოველთვის იყო და იქმნება ქართული ნაწარმოები“.

მეორე მწერალიც ბატონი ნ. დ. მარრისავით ამტკიცებდა ¹⁾, რომ რუსთაველს თვისის ვეფხის-ტყ

ოსნის დედა-აზრი უსესხნია სპარსთა მწერლების ნი-
ზამისა და გურგანის მოთხრობებიდამო, ნიზამიდამვე
რუსთაველს უსესხნია „საზეო სიყვარული“ ქალისად-
მი და სხ.

„რუსთაველმა დედააზრი გადმოიღო სპარსთა-
გან, თუ თავისდათავად შესთხზა ვეფხის-ტყაოსანი
და ანუ გადმოსთარგმნა იგი სიტყვა-სიტყვით, სტრი-
ქონ-სტრიქონად, განა ყოველივე ეს სულ ერთი არ
არის ვეფხის-ტყაოსნის ღირსების აღსანიშნავად ქარ-
თულს ლიტერატურასა და ქართველთა განათლების
საქმეშიო, ჰკითხულობს ნ. ნიკოლაძე. აქ საგულის-
ხმოაო, – განაგრძობს იგივე ავტორი, – ერთი კითხვა:
„ჰო თუ არა, „ვეფხის-ტყაოსანი“ იყო თუ არა ხე-
ლის-ხელ საგოგმანებელ საგნად საქართველოს სამე-

1) იხ. Сѣверный Вѣстникъ-ი, 1889 წ. № № 9 და 10.

ფოს ყველა ქართველებისათვის მთელის შვიდის სა-
უკუნის განმავლობაში? გარნა თუ მას სწავლობდენ
ზეპირად, თუ მისნი თქმულებანი ანდაზად შეიქმნენ,
თუ მისნი სენტენციანი შეიქმნენ დასაბამად ქარ-
თველთა ზნეობისა მაშინ ეს წიგნი ხდება საბუთად
მსჯელობისათვის შესახებ იმ ხალხისა, რომელმაც იგი
შეითვისა და შეისისხლხორცა, ამის გარეთად, გო-
ნება-დამჯდარ მსჯელისა და კრიტიკოსის თვალში,
დანაშთენი წილადობილა ამ წიგნის შესახებ თავის-
თავად ქარწყლდება. ამას გარდა, რა არის თვით ეს
„გადმოლება“? გმოტემ, როგორც ვიცით, „ფაუსტი“
თავისთავიდან კი არ ამოიღო, არამედ სავსებით და
სრულად გადმოიღო თვისის გმირის სახელიცა, მისი
მეგობრებისაცა, თვისის პოემის დედა-აზრიცა და მი-
სი კერძობიანიც „ნამდვილის ისტორიიდან ექიმის
ფაუსტის უღმობელ შეცოდებათა“, თხზულიდამ ვად-
მანის მიერ სამი საუკუნის უწინარეს უკვდავ ქმნი-
ლების დაბეჭდვამდე. იმგვარივე პოემა-ტრადედია,
როგორც გმოტესია, იმავე ფაუსტის შესახებ და
იმავე სახელით დასწერა მარლომ გმოტეზედ ორის
საუკუნით უწინარეს. ნუ თუ ამისგამო გმოტეს „ფა-
უსტი“ არ არის ნაწარმოები თვით-შემოქმედობითი,
დიდი და უკვდავი? და ანუ ჩვენს დროს ვინ არ იცის,
რომ შექსპირს თითქმის ყველა თვისი თხზულებები
„უსესხნია“ ინგლისურ დრამატიულ პიესებიდგან, შე-
ხანხლუხებიდგან მის უწინარეს იტალიელთა და ფრან-
გთა ნოველლების მიხედვით? ვინ არ იცის, რომ შე-

სანიშნავი „რომეო და ჟულეტა“ შექსპირს ამოუ-
ღია ლუიჯი-და-პოსტასი და ბონდელოს მიერ ინგლი-
სურად გადაკეთებულ ნაწარმოებიდან, რომ „ვენე-
ციელი ვაჭარი“ ნასესხებია პეკორონედამა და ბო-
კაჩიოდამ, რომ დედა-აზრი „ჰამლეტისა“ შექსპირს
ამოუღია მე-XIII საუკუნის მატთანეთაგან, რომ „მე-
ფე-ლირი“ შექსპირს გადმოუკეთებია დრამატიულ
პიესიდგან, რომელსაც თამაშობდნენ ინგლისის თეა-
ტრებში 1590 წელს, ესე იგი სულ რამდენიმე წლით
უწინარეს შექსპირის მიერ უკვდავ თხზულების და-
წერამდე? ამ სიის გაგრძელება ძნელი არ არის, თუ
გადავშალებთ ფრანსუა-ვიკტორ გუგოს შრომანი.
ჰოდა, ნუ თუ შექსპირი უპირველეს სიდიდის მსო-
ფლიო გენიოსი აღარ არის მხოლოდ მიტომ, რომ
ყოველი გემნაზიელი დაგიმტკიცებთ შექსპირს საიდ-
გან არ გინდა, რომ არ ესესხნოს დედა-აზრნი, სა-
კუთარნი სახელნი და კერძობანი თვისის პიესები-
სა? ასრეთი ფიქრი და ამის მტკიცება დიდი შეც-
დომაა, რადგანაც თხზულებათა ნასკვი და მათი გა-
რეგანი მხარეები არ უნდა მივიღოთ იმად, რაიც შე-
ადგენს ამ თხზულებათა არსებასა, სიდიადესა და ძა-
ლას... მეცთომაა აგრეთვე ბატონ ნ. დ.-ს თქმა შე-
სახებ იმისა, ვითომ, რუსთაველს „საზეო სიყვარუ-
ლი“ ესესხნოს სპარსთა მწერლის ნიზამის „ლეილმი-
ჯნურიდამ“, რადგან რუსთაველის დროს, როგორც
ამბობს ნ. დ., საქართველოში ამგვარ სიყვარულისა
არა გაეგებოდათ-რა, ქართველები მაშინ, ვათომ, გარ-

ყვნილობის მორევში სცურავდნენო. ჯერ დასამტკი-
ცებელია, რომ მართლაც ნიზამის ლეილმიჯნურიანი
შეიცავდეს ამ გვარს ემანციპაციურს მისწრაფებას და
მეორეც, გეთაყვათ, მითხარით, ნუ თუ ის ჰავა, სა-
ცა ყვავილობდა და ყვავილობს ჰარამხანა, უფრო
ხელშემწყობი იყო კეთილ განვითარებისათვის დედა-
კაცის დამოკიდებულებისა, ვიდრე ის ჰავა, რომელიც
გარს ერტყა ქართვერს პოეტს? ნუთუ რუსთაველს,
მცხოვრებს იმ ქვეყნისა, საცა თაყვანს სცემდენ წმ.
ნინოს, იმ ქვეყნისა, რომელიც განადიდა თამარ დე-
დოფალმა, თავის გარეშემო კი არა, არამედ ჰარამ-
ხანებით განთქმულს სპარსეთში უნდა ეძებნა დედა-
კაცის სათაყვანებელნი მისწრაფებანი? მტკიცება იმი-
სი, რომ, ვითომ, საქართველოს საშუალო საუკუნო-
ების უკეთეს შვილთ, რუსთაველის მსგავსად განა-
თლება მიღებულნთ საბერძნეთში, არსაიდამ, თუ არა
სპარსეთიდან შეეძლოთ მოეტანათ საზრდო თვისის
ჭკულისა და გონებისათვის, დამეთანხმეთ, საქალეზო
კითხვაში მაინც ეწინააღმდეგება ცხოვრების სინამ-

დვილეს. მარტო ის გარემოება, რომ ნიზამი, – თუ გინდ მივიღოთ, რომ იგი ემსახურებოდა ქალთა ემანციპაციას, – მის წინა დროსაცა და მომდევნო დროსაც მოკლებულ იყო კაცურ შეხედულობის ნიშანწყალსაც კი დედაკაცებზე, სრულიად აქარწყლებს ჩვენის ავტორის ბჭობის საფუძველს შესახებ „ჰავა-წრისა“, „ზნეობისა“ და „კულტურისა“ ორის. მის-

– 64 –

მიერ შედარებულის, ქვეყნებისა და პოეტებისა ¹⁾“..

მართლაცა და დღეს უკვე „ვეფხის-ტყაოსანი“ არის მთელი ქართველი ერის ხორცი ხორცთაგან და ძვალი ძვალთაგან, ვეფხის-ტყაოსანი ისეთივე ნაჭირნახულევი ძეგლია, ვითარცა თვით ქართველი ერია ჭირგადახდილი. მსოფლიო მწერლობაშიაცო, ამბობს ა. ნანეიშვილი ²⁾, იშვიათია ისეთი თხზულება, რომელსაც ვეფხის-ტყაოსნის ბედი გამოეცადოს, „ვეფხის-ტყაოსანსავით ცეცხლში და წყალში გატარებული იყოს. ბარბაროსთა მძვინვარებამ წარსულს საუკუნოებში ბევრი რამ საგულისხმო შეჰმუსრა და სამუდამოდ აღმოფხვრა საქართველოში, მიაბნ-მოაბნია და განფანტა დედამიწის ზურგზედ ჩვენის გონებისა და ხელოვნების ნაწარმოები; ბევრი რამ აღმოხოცა ერის მეხსიერებიდგან, ბევრი რამ დაავიწყა ხალხს, რომელიც სისხლის მორევში იდგა და ცეცხლში იწოდა და იდაგვოდა, მაგრამ იმავ მძვინვარებამ ვერ შემუსრა, ვერ აღმოფხვრა ხალხის გულიდამა და მეხსიერებიდამ ვეფხის-ტყაოსანი, რომელსაც ქართველი ერი გულში ატარებდა ჭირისა და ლხინის დროს და რომელმაც თვით ერთან ერთად განვლო მნელად სავალნი გზანი ისტორიისანი. იმ დროსაც კი, როცა საქართველოს ყოველ მხრივ შემოაწვებოდა მტერი,

¹⁾ იხ. ნოვოე ობოზრენიე № №-ები 2022, 2028, 2032, 2046, 2048, ფელეტონები ნიკო ნიკოლაძისა.

²⁾ „ივერია“ 1888 წ., № 52.

– 65 –

როცა საქართველოს ცა სრულად მოცული იყო შავის ღრუბლებით და დაღლილი და ღონე მიხდილი ქართველი კაცი უდაბურს მთასა და ტყეში იფარვიდა თავს, იქ, იმ ბნელ დროს, გზას უნათებდა რუსთველის ქმნილება, სულს უბრუნებდა თავის გმირთა მამაცობით, ქველობით და თავგანწირულობით, უცხოველებდა და უძლიერებდა მერმისის იმედს და მძვინვარე მტერთა მიერ შემუსვრილს და ჭირსა შიგან მოქცეულს ქართველს ამხნევებდა და ამოქმედებდაი ქართველს იმდროს ასულდგმულებდა და

ტანში სისხლს უტრიალებდა დიდებული სურათი ტარიელისა და ავთანდილისა და, ამათ მგზავსად, ქართველი ერი, გარე-მოცული არაბთა, სპარს-ოსმალთა და მონგოლთა ურდოთაგან, მართლდაც ტარიელ-ავთანდილობდა და ერთი მუჟა ერი მედგრად ებრძოდა ქრისტიანობის მოსისხლე მტრებს. აი, სად არის საზოგადო და უუდიდესი მნიშვნელობა „ვეფხის-ტყაოსნისა“; აი, სად უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ ვეფხის-ტყაოსანი იმ რიგად გავრცელებული ყოფილა და არის ჩვენში, რომ ამ ქმნილებამ სძლია ყოველგვარი ისტორიული განსაცდელი და დღესაც ატკბობს ჩვენს გრძნობა-გონებას და თავმოყვარეობას. აი რით აიხსნება ის გარემოება, რომ ხალხი დღესაც იმდერის რუსთაველის ლექსებს ისეთს ადგილებშია ცი, სადაც იშვიათად და ძნელად მიადწევს თვით მწერლობის სახელიცა|.

ამას უნდა დავუმატოთ განსვენებულ დიმიტრი

– 66 –

ციფიანის სიტყვაც ¹⁾: „ვეფხის-ტყაოსანი“ ჩვენში ისე გაჟვანულია ეროვნულ ხასიათით, როგორათაც თხზულებანი უუდიდეს პოეტებისა. საქართველოში თითქმის ვერ მონახავთ ისეთ კეთილშობილთა ოჯახს, საცა შოთას პოემის ზოგი ადგილები ზეპირად არ იცოდნენ და სხ.

მაგრამ უდიდესი ღვაწლი რუსთაველისა თვისის სამშობლოს წინაშე ამით არ ილევა. რუსთაველის ქმნილებაში, რომელშია, ჩვენის აზრით, სრულად და სავსებით გამოხატულია თამარ დედოფლის ცხოვრება, – ჩვენ ვხედავთ ავტორის უმაღლესს სულისკვეთებას, მიმართულს ე რ ო ვ ნ უ ლ თ ვ ი თ ა რ-ს ე ბ ო ბ ის დ ა ც ვ ი ს ა დ მ ი, თანახმად მისივე თქმისა, რომ შებღალულსა, უცხოელთაგან შევიწროებულსა და ნაძრახს სიცოცხლეს სჯობს სიკვდილი სახელოვანი.

* * *

გვეუბნებიან, რა საბუთი გვაქვს რუსთაველს ცილი დავწამოთ და არ დავიჯეროთ მისი თქმა: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“. – ამის მთქმელებს ჩვენც ვკითხავთ: რა საბუთი გვაქვს რუსთაველს სიცრუე დავწამოთ და არ დავიჯეროთ მისი თქმა: ა) თამარს ვაქებდეთ მეფესა, ბ) მიბრძანეს

¹⁾ Кавказъ 1846 წ., № 33.

მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა და გ) რუსთველმან გავლექსე აქამდის ამზად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.-ნუ თუ ნათარგმნ თხზულებით შეიძლებოდა „თამარის ქება“, ნუ თუ საქართველოს გარეშე იყო იმისთანა მწერალი, რომლის თხზულებაში რუსთაველმა ჰპოვა აღწერა და ქება თამარის „წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა, მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბალახშ, თმა-გიშერისა“! გარდა ამისა, სიტყვა „თარგმნა“, „ნათარგმანები“ რუსთველის დროსაც განა იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც დღეს? ვისაც შეუწყვლია ჩვენი მწერლობის ძველი ნიმუშები, ის, უეჭველია, შენიშნავდა.) რომ ამ ნაწერებში სიტყვა „თარგმნა“ (მუდამ იხმარება ა ხ ს ნ ი ს ა და გა ნ მ არ ტების მნიშვნელობით 1). ამავე მნიშვნელობით ამავე სიტყვას ხმარობს მეათე საუკუნის მწერალი დანი – „ფსალმუნთა თარგმანებად“ (იხ. შატბერდის კრებული), აგრეთვე მეფე ვახტანგი (იხ. მის-მიერ გამოცემ. ვეფხის-ტყაოსნის ბოლოში), სულხან საბა ორბელიანი (თ ა რ გ მ ა ნ ი, იგავიანის სიტყვის განცხადება; თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა, სიტყვის განცხადების თქმა) და სხ. თამარის ხოტბით რა „სპარსული იგავი“ განაცხადა რუსთაველმა? ის იგავი, რომ „ხვარაზმმა, ხელმწიფე ხვარაზმელია“, რომელსაც „ებრ-

1) თარგმნა, თარგმანება(ძველად)-толкование, აწ – переводъ.

ძანა: მოგვხვდა ღვთისაგან, ჩვენ რომე ვინატრიდითა, თვით მაგისებრსა (ნესტანისებრს) შვილსამცა ჩვენ ხელსა რასა ვხდიდითა!“ მაგრამ ნესტან-დარეჯანმა (იგულისხმე თამარ) ბრძანა: „ეგე ამზად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“.

აი „სპარსული იგავი“, რომელზედაც აშენებულია ვეფხის-ტყაოსანი, აი, რისთვის ამბობს რუსთაველი „აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება,... მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება“. მართლაცა-და დავით სოსლანს, ყრმობითვე თამარის მიჯნურს, დიდი მომხრეობა და შეწევნა უნდოდა, რომ მას დაემხო და დაეთრგუნა უცხოელ მეფის ძეთა სასიძოდ მაწვევართა ქვეყნისათვის მავნებელი მიმართულობა და აღეფრიალებინა ნაციონალური დროშა-ალამი. ამ აზრით არის გატაცებული ჩვენი პოეტი, ამისთვის ინატრის იგი, რათა „მუშა მიწყვი მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს, კვლავ მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და

გამოსცნობდეს“.

ვეცდებით ესრეთი ჩვენი აზრი, რომელსაც მხარს აძლევს აგრეთვე გამოკვლევა ა. ნანეიშვილისა (ივერია, № 14, 1890) და ეგ. იოსელიანისა („კავკაზ“, № 248, 1884 წ.), შეძლებისამებრ, გამოვარკვიოთ.

* *
*

ტენი თავის „ხელოვნების ფილოსოფიაში“ ამ-

– 69 –

ბობს, რომ ხელოვნური ნაწარმოები განიხილება როგორც კერძო მოვლენა კი არა, არამედ როგორც შედეგი სხვა მრავალ მოვლენათა, რომელნიც განმარტვენ და შეავსებენ ამ ხელოვნურ ქმნილებასო. ამ სიტყვების აღნიშნვით ჩვენ იმ აზრის დადგენა გვინდა, რომ შოთას, ვითარცა მოსე ხონელს თავის ამირან-დარეჯანიანში, შემოუკრებია მრავალი თანამედროვე ისტორიული ამბები, გამოუდენია და გამოუხურვებია იგი თავის გონებაში და შეუქმნია ერთეული მოთხრობა-რომანი სადიდებელად იმ დედოფლისა, რომელმაც ადაყვავა საქართველო და შარავანდედით შემოსა იგი. პატივცემული ნ. მარრი გვეუბნება, რომ ძველი სპარსული ლიტერატურა ჯერ რიგიანად გამოკვლეული არ არის და რომ გამოვიკვლევთ და ავადგენთ ამ ლიტერატურას, შეიძლება ამირან-დარეჯანიანისა და რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დედნებიც აღმოჩნდნენო. თუ ეს ითქმის სპარსეთის ძველი ლიტერატურის შესახებ, რატომ იგივე არ ითქმის საქართველოს ლიტერატურისა და ისტორიის შესახებაც. ვინ და როდის გამოიკვლია ის აუარებელი გონებითი ნაწარმოები, რომელიც დაგვიტოვეს მე-X – XII საუკუნის მოღვაწეთა? ვინ და როდის გამოიკვლია ღვაწლი იმ სკოლებისა, რომელნიც ბრწყინავდნენ ამ აღნიშნულ საუკუნოებში? ვინ და როდის ზედმიწევნით დაგვიხატა ამავე დროის ისტორია საქართველოსი და მის მეზობელ ქვეყნებისა? და ბოლოს, ვინ და როდის წარმოგვიდგინა წვლილადი

– 70 –

ცნობები შესახებ თამარის მამა-ბიძისის ოჯახისა და სასახლის ცხოვრებისა, აგრეთვე ცნობები შესახებ დავით სოსლანისა, რუსის გიორგისა, მუტაფრადინისა, შარვანშისა, ოსის ბატონიშვილებისა, ალექსი კომნენისა, რომელსაც თამარმა დაუპყრო ტრაპიზუნეტი და გაამეფა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ

ყველა ამის შესახებ თუ საკმაო ცნობები გვქონოდა, მაშინ რუსთველის „ვეფხის-ტყაოსნის“ ახსნაც არ გაგვიჭირდებოდა. თუმცა ეს ასეა, თუმცა ჩვენი „ოქროს საუკუნის“ გამოსახატავად ჯერ არ დაბადებულან საკუთარნი ნიბურნი, ჰიბზონნი და ვებერნი, მაგრამ ყველა იმ მასალიდგან, რომელიც დღეს გვაქვს, შეგვიძლიან აღვნიშნოთ მსგავსი ნასკვები ერთის მხრით თამარის ცხოვრებისა და მეორეს მხრით „ვეფხის-ტყაოსნის“ მოთხრობას შორის.

საზოგადო მსგავსება ამ ორთავე მოთხრობათა (თამარის ისტორია ქართლის ცხოვრებით და ნესტან-დარეჯანის ამბავი ვეფხის-ტყაოსნით) ის არის, რომ ეს ქალწულნი მეტის-მეტად ლამაზნია, ბრძენნია, მათი ცოლად შერთვის სურვილი აღძვრია არა ერთსა და ორს ბატონიშვილს, პირველიცა და მეორეც, უარჰყოფენ უცხო გვარ-ტომიდგან სასიძოს მოწვევას, ორთავეს ჰსურთ შეერთონ თვისივე გვარ-ტომი და ირთავენ კიდევ: თამარი დავით სოსლანს და ნესტან-დარეჯანი ტარიელს.

აი კერძო მსგავსებაც.

– 71 –

ქართლის ცხოვრებით.

ვეფხის-ტყაოსნით.

გიორგი III-ეს ჰყავს ერთად ერთი ასული თამარი.

გიორგი III არის მპყრობელი შვიდთა თემთა და სამეფოთა (გვ. 279).

თამარი არის მზეთა მზე, ნათელი, ნათელთა ელვარება, მზეებერ მაშუქებელი სხივ-კამკამებათა (გვ. 277), მფლობელი შვიდთა სამეფოთა შვიდ-მნათობიერი (278), მნათობი სოფლისა (გვ. 293).

გონება ვრცელი და ენა ბრძნად მეტყველი ვერ შესძლებს თამარის ღირსებათა აღწერას (გვ. 291).

რუსუდან იყო და მეფისა, ქვრივი, ხვარასან-ერაყს გათხოვილი. ამ რუსუდანს სიბრძნის სასწავლებლად მეფე გიორგიმ მისცა თამარი

თამართან ერთად იზრდებოდა ახალგაზდა დავით სოსლანი

თამარი მისის მამის სიცოც-

ფარსადანს ჰყავს ერთად ერთი ასული ნესტან-დარეჯანი.

ფარსადანი არის მფლობელი შვიდთა სამეფოთა.

ნესტან-დარეჯანი „ვთქვით თუ მზეა, ზოგთა სთქვეს: არის თვარეო. ვუჭვრეტთ პირსა მნათობსა, ელვათა მოელვარებსა. მისი ციმციმი მზისაებრ ეფინება არებსა“.

„მისსა ვერ იტყვის ქებას ყოვლი ბრძენთა ენები“.

„დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, – ქაჯეთს გათხოვილი. მას სიბრძნისა სასწავლებლად თვით მეფემან მისცა შვილი“ (ნესტან-დარეჯანი).

ნესტანთან ერთად იზრდებოდა ტარიელი.

„ქალია (ნესტანი) სამეფო ჩვენ-

ხლემივე მეფედ სახელდებულ-
იყო.

დავით სოსლანი იყო გიორგი
მეფისავე გვარისა, საქართვე-
ლოს მეშვიდე სამეფოს – ოსე-
თის მეფის ძე, შვილად გაზრ-
დილი გიორგი მეფის სასახ-
ლეში.

დავით სოსლანი მოეყვანა აღ-
საზრდელად სახლსა შინა თვის-
სა... იგი იყო ორთავე კერძო
თა გვართაგან სახელმწიფო
(გვ. 292).

დავით სოსლანი, გიორგი მე-
ფის სიკვდილის შემდეგ ერთად
ერთი კანონიერი მემკვიდრე იყო
საქართველოს ტახტისა, რადგან
ბაგრატიონთა გვარში რჩებო-
და მხოლოდ სამი პირი: და-
ვით სოსლანი, თამარი და თა-
მარის ქვრივი და მოხუცი მა-
მიდა რუსუდანი.

თამარის საქმროდ შვენოდა
გამორჩეულიყვნეს „მიჯნურნი
ლომნი და მზენი, მხეცებრ გა-
ჭრილნი ამის მზისათვის (გვ.
284). თამარისათვის ხელდე-

განვე სახელდებული“ (ფარსა-
დანის სიტყვები)

ტარიელი იყო ნესტან-დარე-
ჯანის მამის გვარისა, ინდოე-
თის მეშვიდე სამეფოს მეფის სა-
რიდანის ძე. „მეფემან სთქვა:
„შვილად გავზრდი. თვით ჩე-
მივე გვარი არსა“.

საპატრონოდ მზრდიდეს სრულ-
თა ლაშქართა და ქვეყანათად.

ტარიელიც ფარსადან მეფის
კანონიერი მემკვიდრე იყო,
რადგან ამ მეფის სიკვდილის
შემდეგ მის გვარის წარმომ-
დგენლებად რჩებოდნენ ტა-
რიელი, ნესტან-დარეჯანი და
ფარსადანის ქვრივი და და-
ვარი.

საქმროდ ნესტან-დარეჯანისა,
რომელიც „დაბადებითვე მზესა
ჰგვანდა“ და რომლისაგან „აწ
მედების სახმილი ალისა“, გა-
მოჩნდნენ ხვარაზმშას შვილი,

ბიან ყოველნი მსმენელნი ბრ-
წყინვალეებისა მისისა (გვ. 289),
ხოლო ახლოს მყოფთა ესე
ვითარი აქვნდა ტრფიალება და
სურვილი, რომელ არცა-და
უღირსთა უღირსობისა აქვნდა
კდენა და თვისთა თვისობისა
გავლენა (გვ. 289). თამარის
საქმროდ მოვიდნენ სულთანის
შვილი მუტაფრადინი, ოსთა
მთავრის შვილები, შარვანშა
აღსართან, რუსი გიორგი, ბი-
ზანტიის იმპერატორის შვილი
ალექსი. მაგრამ ყველა ესენი
„არა შვენოდნენ“ ქმრად თამა-
რისად, იგინი მოიშორა თა-
მარმა და შეეუღლა დავით სო-
სლანს, რომელიც იყო „მკვი-
დრი საყდრისა მისისა“ (გვ.
292).

დავით სოსლანი იყო „მოყმე

გულანშაროს მეფის ძე, ქაჯე-
თის მეფის შვილი როსან, მა-
გრამ ნესტანმა ამათი მიჯნუ-
რობა უარჰყო, მოიშორა იგი-
ნი თავიდაგან და შეერთო თვი-
სი ერთად ერთი მიჯნური ტა-
რიელი, რომელიც იყო მკვი-
დრი საყდრისა მისისა.

ნახეს უცხო მოყმე რომელიც

ფრიად მშვენიერი, ნაკვთად კარგი, ბექ-ბრტყელი, პირად ტურფა, ტანად ზომიერი, ზრდილობით კეთილად ზრდილი და წვრთნილი, მხნე და ძლიერი, რაინდობითა და შვილდოსნობით უსწორო, შემმაერთებელი, ახოვანი, და ყოვლითურთ სრული“ (გვ. 292),

ჰგვანდა ლომსა და გმირსა. ვით კატასა ჰხოცდა ლომსა. „მაღად ლომსა. თვალად მზესა, ტანად ვგვანდი ედემს ზრდილსა. „სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა“. – ტარიელმა წიგნი კარგად იცოდა. ერთის სიტყვით, „მისებრი მართ დაბადებით ვინცა

– 74 –

და „მჯობი ყოვლისა შვილდოსანისა, ცხენოსნისა, მკვირცხლისა, მოასპარეზისა, ყოვლისა მწიგნობრისა და, ვითა დღეს სჩანს, მისებრი არსადა გამოჩენილა“ (გვ. 293)

ყოფილა შობილი“; ვიმოწმებ ღმერთსა ცხოველსა, მისებრივ არვინ შობილა“.

თამარს ძლიერ ემინიან სისხლის დაქვევისა: „შორს იყო ყოვლისა მოსისხლეობისა, თვალთა დაბნელებისა. მშვიდ იყო და მყუდრო და მშვიდობისა მყოფელი (გვ. 283).

ნესტან-დარეჯანი: „დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ. დიადი სისხლი უბრალო კაცმანცა ვით იტვირთაო“. – „ქალი შეიქმნა ცნობილი“.

და მისცა ამილახრობა გარეკელსა თორელსა, რომელი ... ამირსპასალარიცა იქმნა (გვ. 283).

„უბოძა ამირბარობა. . . თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირსპასალარობა“.

ვინმცა იწყოს რიცხვი, იქმნას ურიცხვი გოარი მათგან დანათვალისა. რიყე თვალისა წინნათვალისა. ჰსჩანს მარგალიტი ოდენ ბურთისა საბურთალისა. აქვს ზარდახჩანი ლუსკუმებრ მათთვის დასაკრძალითა. (თამარის სასახლე შავთელის აღწერით).

ვინმცა ჰქმნა რიცხვი ოქროსი, ვერვისგან დანათვალისა. მუნ იდვა რიყე თვალისა ხელ-წმინდათ განათვალისა. ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა. ჰპოვეს ერთი ზარდახჩანა აბჯრისათვის ახლად ქმნილი. (ტარიელის სასახლე).

– 75 –

ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი . . . შველსა ისარი ჰკრა. მუხისა ძირსა გარდახდა ცეცხლი დაანთო ძლიერი. სანამ მწვადი შეიწოდა, ცხენსა მისცა საძოვარი. (ლეგენდით)

მთით ჩამოვიდა ავთანდილ, გავლო წყალი და ტყენია. ისრითა მოჰკლა ნადირი. შამბისა ძირსა გარდახდა, ცეცხლი დააგზო კვესითა. ცხენსა მისცა საძოვარი, ვინემ მწვადი შეიწოდეს.

აფრიდონ აზნაური თამარის მოწყალებით განდიდებული და ამაღლებული ვიდრე მსახურთუხუცესობამდის და თმოგვის და სხვათა ციხეთა პატრონობით აღზევებული... ბრძოლა ჰყვეს ურთიერთს ჯელისუფლებისათვის (ქართ. ცხ. გვ. 281).

ფრიდონი წაეჩხუბა თავის ბიძასა და ბიძის შვილებს სანადირო აგარაკის ჯელის უფლობისათვის. ტარიელმა უშველა ფრიდონს, ბიძაძენი დაამხეს. ამის შემდეგ ფრიდონს მის სამთავროში მეფედ იხსენიებდენ, ხოლო ტარიელს მე-

საყურადღებოა ისიც, რომ რუსთაველის გმირები ქართულად უბნობენ: „ყმა ტკბილი და ტკბილ ქართული სიკეთისა ჳელის მხდელი“. ანუ: „დარე-ჯანს უბნობენ ქალს ქართულად“.

ვეფხის-ტყაოსანში არის ერთი ადგილი, რომელიც, ჩვენის აზრით, გვიმტკიცებს იმას, რომ თვით რუსთაველიც მონაწილე ყოფილა თავის გმირების მოქმედებაში. აღწერს-რა შოთა როსტევან მეფისა და ავთანდილის ნადირობას, მერმე „უცხო მოყმეს“ შეხვედრას და ამ მოყმის გადაკარგვას, – გვეუბნება:

„მასვე წამსა დაიკარგა, არ უნახავს თ ვ ა ლ ს ა ჩ ვ ე ნ ს ა“.

– 76 –

თუ ამ ნადირობაში არ რეულიყო თვით რუსთაველიც და წყლის პირას თავის თვალთ არ ენახა უცნაური მოყმე, არა გვგონია, რომ მას ეხმარა სიტყვა „ჩვენსა“ და ეთქვა „არ უნახავს თვალსა ჩვენსა“.

აქვე საჭიროა შევეხოთ იმ კითხვას, თუ თამარის უდიდებულეს ღვაწლად რა მიაჩნია რუსთაველს, თუ რათ მიგვიწვევს იგი და რათ გვეუბნება: ა) თამარს ვაქებდეთ მეფესა, ბ) შევეწივნეთ ტარიელს ტურფადცა უნდა ხსენება, გ) შევიტყოთ, თუ სამთა გმირთა მნათობთა რათ სჭირთ ერთმანეთის მონება და დ) რათ ამბობს პოეტი

ჩემი აწ სცანით ყოველმან: მას ვაქებ, ვინცა მიქია,
ეს მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია;
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია.
მისი სახელი შეფრქვევით ქვემორე მითქვამს, მიქია.

ჩვენ ვიცით, რომ თამარი უქია არა მარტო რუსთაველს, არამედ სხვებსაც, მაგ, მემატიანეს, შავთელს, ჩახრუხაძეს. თუ შევიტყოთ, რათ უქიათ ამ სხვებს თამარი, მაშინ იმასაც ადვილად გავიგებთ, თუ რუსთაველი რათ იყო აღტაცებული და გახლებული, თუ უწმინდესის სიყვარულით რათ გაუმიჯნურდა იგი თვის მბრძანებელს, რათ დაკარგეს მისთვის „გულში, გონება და სული“.

თვალს გადავავლებთ-რა ჩვენს მატიანეებს, ვხედავთ, რომ ამ მატიანეთა აღმწერელნი ყოველთვის

– 77 –

დიდის ხოტბით იხსენიებენ მამულისა, სარწმუნოებისა და ენისათვის თავდადებულ კაცებს და, პირ-

იქით, ჰგმობენ ქვეყნისა და სჯულის მოღალატეთ, გადაბირებისა და უკუღმართობის გზაზედ მდგომარეთ. ამგვარივე საწყაულით მიუწყავს მოსე ხონელი თავის გმირებს „ამირან-დარეჯანიანში“, ამგვარადვე ამკობენ ყველანი თამარს.

თამარიო, გვეუბნება მემატთანე, იყო აღსავსე ყოვლითა სიკეთითა: სიმშვენიერითა, წარჩინებულის გონებითა, ზნეობითა, სათნოებითა და ღვთის მოყვარებით. იგი იყო თავ-მდაბალი, შრომის მოყვარე. ქვრივობოლთა, დავრდომილთა და ეკკლესიათა მაშენებელი, სასო და მსაჯული ქვრივთა და უსასო ქმნილთა. იგი იყო ისეთი, რომე „არა სადა დაება-და ღმერთსა მისებრი, არცა-ღა მგონიეს, თუ დაბადებად არს“. აი ასრეთი დედოფალი დაჯდა მამის ტახტზედ. აი ამან დასცა მახვილი მტერსა, ამან განავრცელა და განაძლიერა საქართველო, ამან „შემოიკრიბა შვიდი სამეფო“, ამას თავი დაუკრა მალმა კავკასიონმა, დარუბანდმა, ისპანმა, ყარნუ ქალაქმა, ტრაპიზუნტმა, ამან მიანიჭა ერს შინაური მყუდროება, განათლება და მართლ-მსაჯულობა. აი ამიტომაც სწერს მემატთანე: „ყოველთა პირნი ერთბამად მზა იყვნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებულობა სიტყვა აღმოთქვან: ყრმანი თამარის ქებასა მეღუქსობდიან; მეებნენი გინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკობდიან; მენავენი, ნიავეკეთილობათა

– 78 –

შინა, თამარის ქებათა იტყოდინან; ყოველი სოფელი სავსე იყო მის მიერთთა ქებითა და ყოველი ენა ადიდებდა თამარსა. სახლთა ზედა აკროსტიხურად თამარის შესხმათა დასწერდეს ბეჭედთა, დანათა და არგანთა (კვერთხი) შეამკობდეს და ზედა თამარის ქებასა დასწერდეს... და თამარის მზით ფიცულობდეს“.

შავთელი თავის „შესხმაში“ ლაღადებს:

შემოკრბით ბრძენნო, ათინელთ ძენო, თამარს ვაქებდეთ
მეფედ ცხებულსა,
კრიტს, ალაბს, მადრიბს, ეგვიპტეს, მაშრიბს, ჩინეთ-ჩინეთსა, თარშის ქებულსა,
ვარსკვლავთ-მრიცხველნო, სხვათ ბრძენთ მკითხველნო,
ვერ ძალგიძთ ქებად, თავს ჰყოფთ ვნებულსა.

შემდეგ იგი განაგრძობს: „მესმა ზევსური, რა ვნახე, ვსური, რომ სიტყვა მეთხვზნეს მე მისა ძნობად“. თამარმა, ვით ივლისის მზემან, ისრე მოგვანათაო. მან შემუსრა, შეფრქვა მტერნიო და შეიქმნა სვეტად სჯულისა, ზღუდედ სულისა, შვიდთა სამეფოთ ძირ-მტკიცე გოდლად, ზედ-კართა ზღრუბლად ცის კამარათა ზედ-მდეგად. დოვლათ-სვიანად სუფევს თამა-

რი, რომელმან მთვარესავით გაგვინათლა არე. თა-
მარ დედოფალო, შენ შეიქმენ სადიდებელ-თაყვა-
ნის-საცემელ, რადგან

თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა, მშიერთა
პური, უსახლთ სართული,
მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა, შიშველთ სამოსლად
მონიჭებული;

– 79 –

მოხუცებულთა, შრომით რებულთა სიმტკიცის კვერთხად
მისაყრდნობელი;
უცხოთ მოყვარე, გლახაკთ მოწყალე, მსჯელი მსჯავრისა
და სამართლისა.

ჩახრუხადე სწერს:

„მო ფილოსოფოსნო, სიტყვითა არსნო, თამარს
ვაქებდეთ გულისხმიერსა“, რადგან მან დალუპა და
დაამხო მტერნი, განამლიერა და განანათლა საქარ-
თველო, რადგან იგი არს

თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მტკნარი, მომდინარი,
მისთვის ქნარი, რა არს ქნარი, არსით მთქნარი, უჩინარი,
ვარდ შამბნარი, შამბ მალნარი, ღაწვ-მწყაზარი შუქ
მფინარი.

მუსურმანთა სიმართლით მსვრელი,
ურჩთა კლვად მკოდი, სულტანთა მგოდი,
ხალიფას სმისა ჯვართა მშლელი...
მეფე მთავართა, მფლობი ჯავართა,
სოფლისა წყალთა დამაშვენალი
პონტის ზღვისითგან არს უფლებანი ...
მკვდართა აღმდგენი, ბრმა-კოჭლთა მდგენი...
მაღალი, დიდი, უკლები მშვიდი, წრფელი, უცრუო..

ყველა აქედგან ცხადად სჩანს, თუ თანამედრო-
ვენი რისთვის შეჰხაროდნენ თამარს, რისთვის ადი-
დებდენ მას და უგალობდენ. განა ვინ იქნებოდა იმ
დროს ისეთი უკუღმართი, რომ არ ეფიცა მზე იმ
დედოფლისა, რომლის მარჯვენამ თავზე კაკალი და-

– 80 –

ამტვრია აურაცხელ მტერს და დათრგუნა ძლიერე-
ბა აგარიანთა შამქორს, ბოლოსტიკეს, ტრაპიზუნტს,
არდებილს, ისპაანს და სხვ.

თამარის დიდება სულს უფრთოვანებდა არა თუ
მარტო მისს თანამედროვეებს, არამედ შემდეგ საუ-
კუნოების მწერალთაც, როგორც მაგ. გრიგოლ ორ-
ბელიანს, რომლის შემდეგი მშვენიერი ლექსი სხვა

არა არის რა, თუ არა გრგვინვა-ქუხილი თამარის
დიდებულთა საქმეთა.

ვარსკვლავად გვინათს სახე ნათელი,
თუაღნი სიამით გამომაცენნი,
სარო – ტანადი, ნაზად მრხეველი,
თითნი ნარნარად ბროლის ნათაღნი!

ვითარცა ღმერთი შვენიერების,
ქველმოქმედების, სახიერების,
ვით ტრედი მადლის მშვიდი და წყნარი,
ეგრეთ მშვენებით მოვალს თამარი!

სხივ-ცისკროვანი მისი გვირგვინი
უპყრავს დიდებას და სათნობას;
წინაშე მისსა ძლევა და მუზნი
განადიდებენ მისსა მეფობას!

მის დროშას მოსდევს დიდი ორბელი,
შოთა უკუდავი, ბრძენი ჭყონდიდი.
მხედართ მთავარი დიდი მხარგრძელი,
გამრეკელი, ლომებრ გულადი!

– 81 –

თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი,
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, ფშავ-ხევსურს შვენის
აბჯარი,
მკლავით ძლიერით ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხმარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი!

მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზრდილობით,
და მშვილდოსნობით აფხაზი, გურული, მეგრი მკვირ-
ცხლობით!..
თამარი ლოცავს ჯვართა, ჯარს ამხნევს გულის-უხვევით;
გული მეფისა ზღუა არის, უსამზღვროება წყალობით!..

გალაშქრდენ, მისწვდენ კარნუსა, (აზრუმი), ერთის შე-
ტევით მიღეწეს!
ლომებრ მისცვივდენ სინოპსა, მის ციხე ზღვაში გარდა-
გდეს *);
განვლეს არეზი, თავრიზი, ყაფლანქუ გარდაიარეს,
და მტვერი გაოხრებისა ღვთის რისხუად ყაზმინს თავს
დასცეს!

ძნელი წარმოსადგენია, რომ ამისთანასა და ამ-
დენ ამბებს არ აღეფრთოვანა სული იმ კაცისა, რო-
მელიც უპირველესი მამულისშვილი იყო, იმ კაცისა,
რომელსაც ყველა თანამედროვეზე უკეთესად ესმო-

*) აქ პოეტი იგულისხმებს ნამდვილ ისტორიულ ამბავს.
თამარმა აიღო ტრაპიზუნტი (1204 წ.), საცა დააარსა იმპე-
რია და იმპერატორად დასვა ალექსი კომნენი (იხ. ისტორია

ჰიბზონისა, VII, გვ. 12; გეორგ ფინლეის ისტორია საბერძნეთისა და ტრაპიზუნტისა, გვ. 354 – 498; ქრონიკა მიხეილ პანარეტისა და სხ.).

– 82 –

და მნიშვნელობა სამშობლოს კეთილგანწყობილობისა და რომელსაც ყველაზე მომეტებულად ემორჩილებოდა ქართული ლექსი და სიტყვა.

და რომ ყოველივე აღნიშნული კარგად ესმოდა რუსთაველს, ესა სჩანს მისის სიტყვებიდან.

აი თათბირი ნესტან-დარეჯანისა და ტარიელისა:

ნესტან-დარეჯანი. მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფეთ, ჰსჯობს ყველა სიმე-სძლობასა. სასიძო (ხვარაზმშას შვილი) არ შემოუშვა... ეგე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ. სპარსთა ვერა ვიქმინდოეთისა ჭამასა, ჩემია მკვიდრი მამული, არ მივცემ არცა დრამასა.

ტარიელი. სხვა მეფე დასჯდეს ინდოეთს, მერთყას მე ჩემი ხმალია?!

ამ მრავალ-მნიშვნელოვან სიტყვებით, საფიქრებელია და დასაჯერებელიც არის, პოეტი გვიხატავდეს თვისსა და თვის გმირთა პოლიტიკურს მიმართულებასა და საზოგადოდ კი ახალგაზდა საქართველოს მისწრაფებასა და ლტოლვილობას.

როგორც ვიცით, ვახტანგ გორგასლის შემდეგ, სპარსთა და ბერძენთა შულლისა გამო, დაირღვა საქართველოს ერთობა, და დასავლეთ ნაწილს ივერიისას გაუხასდენ ბიზანტიელნი, ხოლო აღმოსავლეთისას – სპარსნი. ამ დროს ქართველთა ერის შემართებელ-შემაკავშირებელ ძაფად დარჩა მხოლოდ ქრისტეს სარწმუნოება, რომელსაც დარაჯად უდგა

– 83 –

მცხეთის სამთავრო და საქათალიკოსო საყდარი. მაგრამ ასრეთმა ყოფამაც დიდხანს არ გასტანა. მეშვიდე საუკუნეში არაბთა ძლიერებამ პირქვე დასცა სპარსეთი, შეასუსტა ბიზანტია და დაიმორჩილა საქართველო. საზოგადოდ ქვეყნების დამპყრობელთა პოლიტიკა მოითხოვს, რომ დამონაგებულ სახელმწიფოს ერთობა დარღვეულ იქმნას, სახელმწიფო შენობის ერთეული სხეული განაწილდეს, დაქუცმაცდეს. ამავე გზას დაადგნენ არაბნი. მათის ძალმომრეობისა და ვერაგობის გამო საქართველოში ერთის უზენაესის სახელმწიფო ტახტის მაგიერ წარმოსდგა დამოუკიდებელი სამეფოები – კახეთ-ჭერეთისა, აფხაზეთისა – და მრავალი სამთავროები, ხოლო თვით ნამდვილი მემკვიდრენი ძველის სამეფო ტახტისა მიი-

მალნენ ტაოსა და არტანუჯში, და არაბთ მფლობელების რიდისა გამო ველარც-კი იწოდებოდნენ მეფეებად, არამედ მამფლებად და ერისთავთ-ერისთავებად. ამგვარმა ყოფამ გასტანა მეათე საუკუნის დასასრულამდე. ამ დროს უდიდებულესმა მეფეებმა – ბაგრატ მესამემ და მისმა მამობილმა დავით დიდმა მოსპეს წვრილ-წვრილი სამთავრო-სამეფოები და შეაერთეს აფხაზეთ-საქართველოს ტახტები. ბაგრატი შეიქმნა მფლობელად და პატრონად მთელის კავკასიისა შავის ზღვიდგან კასპიის ზღვამდე. ჭერეთის მეფეებს მარტოლა დარჩათ აჩრდილი ხელმწიფობისა, მათი დღეები უკვე დათვლილი იყო, მათს დღეგრძელობას წუთიერი მნიშვნელობა ლა ჰქონდა, და

– 84 –

ამიტომაც, აღვიდა-რა საქართველოს ტახტზე დავით აღმაშენებელი, ჭერეთის დამოუკიდებლობაც მოისპო და მთელი ივერია გაერთიანდა; ხოლო ამ გაერთიანებამ ისეთი ძლიერება მიანიჭა ქართველს ერს, რომ იგი ახლა თვითონ გაუხასდა იმათ, რომელნიც აქამდე ხასად უსხდენ მას. ჩრდილოეთის ნაწილი სომხეთისა ხმლით დაპყრობილ და შემოერთებულ იქმნა. ქართველმა მკლავმა მახვილი დასცა სპარსეთს, დაანგრია მცირეაზიის სასულთნო და დააარსა ტრაპიზუნტის იმპერია, აღაფრიალა თვისი დროშა დარუბანდს, დაღისტანს, საჩეჩნოს, ოსეთს. ქართველი ერი ტანში გაიშალა, გამარჯვებებმა გაამხნევეს იგი, აღაფრთოვანეს მისი სულის კვეთება, საქართველო აღყვავდა, კავკასიას მოეფინა ქართველთა ერის გენიოსობის მიერ შექმნილი გონებრივი და ხელოვნური ძეგლები, ქართველთა პოეზიის ყვავილებმა შეამკეს კავკასიონის მწვერვალნიცა და ლე-ლე-ყურენიც.

აი ამისთანა დიდებისა და ძლევა-მოსილობის ჟამს გარდაიცვალა მეფე გიორგი III, მამა თამარისა. მის სიკვდილის შემდეგ, როგორც სჩანს ქართლის-ცხოვრებიდამ, ბაგრატეონთა გვარში დარჩა დავით სოსლანი და თამარი მისის მამიდის რუსუდანიოთურთ. ვის ეკუთვნოდა საქართველოს ტახტი? – თამარსა და დავით სოსლანს. ვინ უნდა ყოფილიყო თამარის ქმარი? – ის, რომელიც „მკვიდრი იყო საყდრისა მისისა“, როგორც თვითონვე თამარი ამბობს (ქართ. ცხ.

– 85 –

გვ. 292). საეკკლესიო კანონით ეს დავითი ერგებოდა ქმრად თამარსა? – ერგებოდა, ვინაიდან მათ შორის იყო „მეექვსე ნათესაობა“ (გვ. 292). მაშ

რატომ პირველადვე თამარმა არ შეირთო დავით სოსლანი, ნუ თუ თამარს, რომელთანაც ყრმობითგანვე შეზრდილი იყო სოსლანი, არ უყვარდა იგი, ნუ თუ მას არ შეეძლო თამარის შარავანდედობის შესაფერი მეფობა?

რომ თამარს უყვარდა დავით სოსლანი, ეს დამტკიცდა მით, რომ მრავალ საქმროთაგან თამარმა მხოლოდ იგი გამოირჩია თავის მეუღლედ; რომ სოსლანმა მხარი დაუმშვენა თამარს, ამას ლაღადებს ყოველი ნამოქმედარი ამ მეფისა, ამას მოწმობს ქართლის ცხოვრება, რომელიც გვეუბნება, რომ „ტახტსა ბედნიერსა დასხდენ ორნი მნათობნი, ორნი მზენი, განმანათლებელნი ყოველთანი“.

ვიმეორებთ, მაშ თუ ყოველივე ეს ასრე იყო, რატომ და რა მიზეზით პირველადვე თამარს არ შერთეს ეს დავითი?

საქმე ის არის, რომ ობლად დარჩენილ თამარს, თუმცა მეფე იყო იგი, არ შეეძლო თავის ნებითა და ძალით გაემეფა ის კაცი, რომელიც თვითონ უყვარდა. ამ შემთხვევაში საჭირო იყო დასტური საქართველოს დიდებულ მებატონეთა და თვით ჯარისაც, რომლის მოთავე უნდა შექმნილიყო იგი სიძე-მეფე. ამას დაუმატეთ ისიც, რომ თამარის მშვენიერებას მოეხიბლა და გაეჭრა მრავალნი „მოყმენი

– 86 –

მშვენიერნი და დიდებულნი შვილნი ბერძენთა და რომთა, სულტანთა და სკვითთანი, სპარსთა და ოვსთანი“, და არათუ ესენი, არამედ, როგორც ზევითა ვსთქვით, თვით „ახლოს მყოფთაც ესე ვითარი აქვნდა ტრფიალება და სურვილი, რომელ არცა-ღა უღირსთა უღირსობისა აქვნდა კდემა და სირცხვილი, არცა თვისთა თვისობისა განვლენა, ყოველნი ხელდებოდენ მისთვის... შარავანდნი თამარის ნათელთა ბრწყინვალეებისანი ეფინებოდეს იატაკსა ამის მიწისასა და ყოველთა აღძრვიდა სურვილად მისსა“. ამ ყოფაში რა უნდა ექმნა თამარს, რომელი ამათგან უნდა გაებედნიერებინა თვისის მეუღლეობით და თვისის გვირგვინის განაწილებით? რაღა დარჩენილიყო იმის მეტი, რომ თამარსა და მის მიჯნურს სოსლანს დროებით დაემარხათ თვისი სიყვარული, თვისი კანონიერი უფლება და სასიძოს ამორჩევა მიენდოთ ერისათვის, რომლის ხელმძღვანელი იყო ზემორე ხსენებული აუარებელი ბრბო თამარისათვის გაჭრილთა და საქართველოს სამეფო გვირგვინის მოსურნეთა. ამ შემთხვევაში ერთად ერთი-ღა გზა იყო საქმის გამოსაგვარებლად, სწორედ ისეთი, რომელსაც დაადგა ტარიელი. ფარსადანმა და მისმა მეუღლემ

მიიწვიეს ტარიელი და ჰკითხეს „აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ, რომე მივცეთ ტახტი ჩვენი? ხვარაზმმა თუ მოგვცემს შვილსა საჩვენოდ, მისებრივ არ რომელია... მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდეს რომელი?“ ტარიე-

– 87 –

ლი მეტისმეტად ჰკვიანი იყო, მიხვდა, რომ „მათ წინასვე დაეჭირათ ეს საქმე, დაეშალა, ვერ დაშლიდა, მეფე იყო ამის მდომელი" და ამიტომ ჰკადრა: „ჩემგან დაშლა ამისი არ ითქმის, არ საქნელია".

სწორედ ასრეც უნდა მოქცეულიყვნენ თამარიცა და დავით სოსლანიც და ამასთანავე ტარიელისავით გულში უნდა დაემარხათ ის აზრი, რომ

მემცა დაშლა ვითა ვკადრე, რადგან იგი ვ ე რ მ ი მ ხ ვ და რ ა:
არ თუ იცის, ინდოეთი უპატრონოდ არ გამხდარა!
ერთი მე ვარ მემამულე, სხვასა მართებს არად არა!
ვის მოიყვანს, არა ვიცი, ანუ იგი ვ ი ნ მ მ ც და რ ა!

ამისთანა „მომცდარ“ სასიძოდ ბევრი ბჭობაძიების შემდეგ მოიწვიეს რუსი გიორგი და რუსუდანის პირით მოახსენეს თამარს შეერთო იგი ქმრად. თამარს თავზარი დაეცა, განცვიფრდა ასეთის კადნიერების გამო და გამეხებულმა წარმოსთქვა: „კაცნო, ვითა ღირს შეუტყობლად ესე ვითარისა საქმისა ქმნად? არა ვიცით „კაცისა ამისთვის უცხოისა არცა ქცევა, არცა საქმე, არცა ბუნებისა და ჩვეულებისა, არცა მხედრობისა და სიქველისა. მაცადეთ ვიდრემდის განიცადოდ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკვე მისი!“ ხოლო სასიძოს მომწვეველნი „წინააღუდგებოდეს, უშვილობასა და სახლისა მისისა უნაყოფობასა მოახსენებდეს, დრტვინვიდეს და წინამძღვარსა სპათასა ითხოვდეს, და ყოვლითურთ შეაიწროებდეს სულსა მისსა, ირემთა ემსგავსებოდეს,

– 88 –

სპილოთაებრ არა განიხილვიდეს მისაყრდნობელსა, ესოდენსა მძიმესა საქმესა მსუბუქად შეეხებოდეს". თამარმა „ყოვლად უწადინელმან ქმრისამან იაჯა ჟამად დახსნად ქორწინებისა“.. „ხოლო დედოფალმან (რუსუდან) და სპათა არა მიუშვეს ამისა ქმნად, არამედ ფრიად აიძულეს და განამზადეს ქორწილი".

ყოვლად შევიწროებულს თამარს იმის მეტი აღარა დარჩენოდა-რა რომ თვისი თანხმობა გამოეცხადებინა.

ეჭვი არ არის, ამისთანა იძულებითი ცოლ-ქმრობის მოწინააღმდეგენი, თამართანა და დავით სოს-

ლანთან ერთად, ბევრნი სხვანიც იქმნებოდნენ, მაშინდელი დროის საქართველოს თავი კაცები ვერ მოითმენდენ, რომ ვინღაც უცნობი და გამოუცდელი კაცი, გინდაც «ბარბაროზი», «სკვითი» და «ხაყანი» გამხდარიყო ქმრად თამარისა და მეფედ საქართველოსა, მათ არ შეეძლოთ გაეხარებინათ ეს უცხოელი მეფის ძე, რომელიც მათზე დაბლა იდგა სიქველითაცა და მხედრობითაც. საქართველო ძლივს განთავისუფლდა უცხოელთა მოხასეობისაგან და ამიტომაც გაგებულ კაცებისათვის ძნელი დასათმობი იყო, რომ უცხოელისავე გამეფებით მათი სამშობლო ისევ სხვის სახასოდ შექმნილიყო *). დავით

*) რომ ეს ასრე იყო, ამას, მგონი, თვით მემატანეც აღნიშნავს „შემდგომად ამისსა (ქორწინების მერე) განვიდეს ტფილისით მეფე რუსთა და უფროსდა აფხაზთა“. (ქართ. ცხ. გვ.

სოსლანს, საქართველოს ტახტის მემკვიდრეს, ეს სახმილავი დასწვავდა.

აი, აქ უნდა იყოს წვერები იმ აღშფოთებისა, რომელიც დაეტყო თამარს სასიძო რუსის მოყვანის გამო და აგრეთვე ნესტან-დარეჯანს ხვარაზმშას შვილის მოსვლის გამო. ამ ორთავე ამბავთა აღწერილობაში – ისტორიულსა შესახებ თამარისა და პოეტურსა შესახებ ნესტანისა – ჩვენ ვხედავთ დიდს ერთობას: იქაცა და აქაც სასიძოებს იწვევენ საპატარძლოების დაუკითხავად, იქაცა და აქაც სასიძოები უცხოელთა მეფის ძენია, იქაცა და აქაც საპატარძლოები წინააღმდეგენია მოწვეულ სანეფოების შერთვისა, იქაცა და აქაც არიან კაცნი, რომელნიც ბნდებიან და ჭკუა-გონება ელევით საპატარძლოებისადმი ტრფილისა და სურვილისა გამო.

თუ დაუუკვირდებით მატანის დანარჩენს მოთხრობას შესახებ რუსის სვებედისა და აგრეთვე რუსთველისას – შესახებ ხვარაზმშას შვილისა და ნესტან-დარეჯანისა, ჩვენ აქაც დავინახავთ დიდს მსგავსებას.

რუსმა რომ ჯვარი დაიწერა თამარზე, აღარც აცხელეს და აღარც აცივეს, შეჰყარეს ჯარი, ჩააბარეს ამ რუსს და წარგზავნეს ყარსს. ეს ლაშქრობა გაგრძელდა დიდხანს. აქედგან ჯერ არც კი იყო და-

286). როგორც ვხედავთ, მემატინე რუს-გიორგის, თამარის მეუღლეს, არც კი ჰხადის ქართველთა მეფედ!

ბრუნებული ეს რუსი, რომ მან გამოიჩინა „ბარბა-

როსული საქციელები“, ხოლო ლაშქრობიდან რომ დაბრუნდა, თამარმა აღარც კი მიიკარა იგი, გაეყარა მას, საბერძნეთს განდევნა და თვითონ კი ჯვარი გადიწერა დავით სოსლანზე

განა საეჭოც იყო, რომ ეს ასრე არ მოხდებოდა? თუ ტარიელი მემკვიდრე იყო ინდოეთის ტახტისა და გინდ შეერთო ნესტან-დარეჯანი გინდ არა მაინც იგი ტახტი მისი კუთვნილება იყო, განა ასრეთივე უფლება არა ჰქონდა დავით სოსლანსა? თუ ტარიელმა მოკლა ნესტანის სასიძოდ მოსული მეფე ინდოეთისა და მერე შეუთვალა ფარსადანს

ხელმწიფე ჰხამს მქნელი სამართლისა:ერთილა მე ვარმემკვიდრე,სამართლად ტახტი უჩემოდ არვისად მისახდომია. ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გიზის ერთაი ქალია,ხვარაზმშა დაჰსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია! სხვა მეფე დასჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხმალია?! შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე, ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცემ ჩემგან კიდე, ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოვფხრიდე!

ვიმეორებთ, განა ამავე გარემოებაში მყოფი დავით სოსლანი არ შეეცდებოდა მოეკლა და წაეწყმიდა რუსი გიორგი?

ნესტანი რომ ეფიცება ტარიელს, ჩემს ქალწულობას მე შენთვის დავიცავ, შევინახავო, განა იგივე ქალწულობის შენახვის სარჩული არ უდევს იმ

– 91 –

ამბავს, რომ რუსზე ჯვრის წერის შემდეგ, ვინ იცის, იმავე დღესვე, იგი რუსი წარგზავნეს ყარსს!..

დასასრულ, ორთავე ქორწინების – თამარისა და ნესტან-დარეჯანის – ბოლო ერთია:

ტარიელი ჰკლავს უცხოეთიდგან მოსულ სასიძოს. ინდოეთის სამეფო იშლება, ჰღელავს. ნესტან-დარეჯანს ამწყვდევენ ქაჯეთის ციხეში. ტარიელი ავთანდილისა და ფრიდონის შემწეობით ჰყლეთავს მტრებს, ირთავს ნესტანს და მეფდება ინდოეთში.

დავით სოსლანი ჯვარს იწერს თამარზე, რომელიც კანონიერი მეუღლეა ჯერ ისევ ცოცხალის მეფის რუს-გიორგისა. საქართველო იშლება, ჰღელავს. ამერეთი ემხრობა დავით სოსლანსა და თამარს, იმერეთი გიორგის. სოსლანის ჯარსა და საზოგადოდ, მის საქმეს, ვითარცა ტარიელისას ავთანდილი, მოთავეობს ამირსპასალარი გამრეკელი ¹⁾. რუ-

¹⁾ ტარიელის „საქმეს“ რომ მოთავეობს ავთანდილი და წინამძღოლობს, ეს იმიტომ კი არა, რომ ან ტარიელი იყოს დამჯდარი ხასიათისა და ან ავთანდილი გამჭრიახი გონებისა და მკვირცხლი ხასიათისა. არამედ იმიტომ, რომ ავთანდილი არის ამირსპასალარი და ამასთანავე ტარიელის მეგობა-

რი „ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და უჩანს მღერად“. ავთანდილი, ვითარცა ამირსპასალარი, დიადაც რომ მოვალე იყო ეხმარა ყოველი ღონისძიება თვისის მზრძანებელის ხვაშიადის შესასრულებლად. ასრევე იქცევა ამირსპასალარი გამრეკელი, რომელსაც რუსი მიჰყავს ყარსს („სანაპიროების დათვალიერება“) იქ დაჰყოფს სამს წელიწადს (ვითარცა ავთანდი-

– 92 –

სი მარცხდება. მას იჭერენ, მის მოკვლა უნდათ, მაგრამ თამარს, ვითარცა ნესტან-დარეჯანსაც, სისხლის დაქცევისა ეშინიან, ყველა მოლალატეს აპატიებს. და რუსსაც ანთავისუფლებენ და დევნიან სამშობლოდგან. მღელვარება მაინც არა სცხრება. რუსი ისევ შემოდის საქართველოში. მას ამარცხებენ, ატყვევებენ და იგი კვალ-წმინდათ ილუპება. აი, ამის შემდეგ დავით სოსლანი ხდება კანონიერ მეუღლედ თამარ დედოფლისა და მეფედ საქართველოსა.

ასრე იმარჯვებს ნაციონალური მიმართულება თამარის ცხოვრების მოთხოვნიტაცა და ვეფხის-ტყაოსნიტაც. „ეგე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“ – აი, ჩვენის აზრით, „ვეფხის-ტყაოსნის“ დედა – აზრი, რომელიც დიდ-ხელოვნურად მოუქარგავს უკვდავს მამულიშვილს და რომელსაც იგავურად იმიტომ გამოუტყვამს ეს აზრი და ინდოეთსა და არაბეთს იმიტომ გადუტანია ეს ამბავი, რომ ნამდვილის სახელების აღნიშვნით ა) არ გამოაშკარავებულიყო ყრმობიტგანვე გაჭრით გამიჯნურება ორთავე მნათობტა, რომელტათვის ესრეთი გამოაშკა-

ლიც) და მერე განდევნის რუსს და თამარს რტავს დავით სოსლანს, ვითარცა ავთანდილიც იღებს ქაჯტა ციხეს და აქორწინებს ნესტან-დარეჯანსა და ტარიელს. ლაშქრობისა და ომების დროს მეფენი, სამხედრო წეს-წყობილობის მიხედვისამებრ, ექვემდებარებოდნენ ამირსპასალარს და პირველობას მას უთმობდნენ. ასრეთი დამოკიდებულება ავთანდილსა და ტარიელის შორისაც, ჩვენის ფიქრით.

– 93 –

რავება საჩოთიროაცა და საწყენიც იქნებოდა, და ბ) არ შეურაცხყოფილიყო პიროვნება იმ კაცებისა, რომელტაც დავით სოსლანის გამეფება არა სწადატ, რომელტაც „ქვეუტდატ ბუნება კეკლუცტა ზედან ფრენიტა“.

ვასრულებ წერილს ბარონ სუტნერის სიტყვებით და გიორგი წერეთლისა და პლ. იოსელიანის გამოკვლევით და აქვე ჩავურტავ ნაწყვეტს ვ. ორბელიანის ლექსიტამ „ობოლი“.

„ვეფხის-ტყაოსანმაო, – ამბობს სუტნერი“, –

ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც მაღალ ხელოვნურ ქმნილებამ, რომელიც ერთადერთია თავის გვარ თხზულებათა შორის და მარგალიტივით ობოლი, რადგან მე მასში ვერსად ვერ შევხვდი იმისთანა ადგილს, რომელიც ამტკიცებდეს ამ პოეტის მიზამკვას წინანდელ პოეტებისადმი. თუ ალაგ-ალაგ იმას აქვს ამოკრეფილი ზოგიერთი აზრები ძველის ფილოსოფოსებისა, ეს გარემოება სრულიად იმას არ ამტკიცებს, რომ პოეტი ჰზამავდა ლათინთა და ბერძენთა მწერლებს, ეს მოწმობს მხოლოდ პოეტის გონების შემუშავებასა და კულტურას. რაიც შეეხება ხერხს შემოქმედობისას, გრძნობათა კეთილშობილებას, აღფრთოვანებას აზრისას, – ქართველთ შეუძლიანთ სიამაყით წარმოსთქვან, რომ მათი ეროვნული პოემა არ არის მიზამკვა არც ჰომეროსისა, არც ვირგილიუსისა: იგი პირველიდამ უკანასკნელ კაზა-

– 94 –

დონამდე წმინდა რუსთველისებურია და მხოლოდ რუსთველისებური“.

—

გ. წერეთელი ¹⁾: „ვეფხის-ტყაოსანი საქართველოს ერს სიბრძნის ჭურჭლად მიაჩნია, საიდგანაც მოხუცი და ახალგაზდა, ყველანი თანასწორად იღებენ თავის მეცნიერებას... მეათე საუკუნეში, 976 წ., გამოჩნდა ერთი სახელ-განთქმული მხედარი თორნიკე. ამან აღაშენა ათონის მთაზე ივერიის მონასტერი და ამით დიდი ღვაწლი დასდვა საქართველოს განათლებას. ამ დროდგან სასულიერო მწერლობა მეტი არ შეიძლება, ისე გამდიდრდა წიგნებითა. ბაგრატ მესამის მეფის დროს ივერიის მონასტერში სცხოვრებდა წმ. ექვთიმე, რომელმაც, როგორც ამბობენ, სთარგმნაო ცხრაას-ოცი სასულიერო და საერო სხვადასხვა თხზულება. მეთერთმეტე საუკუნეში, როდესაც ბაგრატ მეოთხე გამეფდა, ათონის მთაზე სცხოვრებდნენ წარჩინებულად განათლებულნი და დიდი ნიჭის კაცები: იოანე ხახულელი, რომელსაც მის დროს მაღალ სიტყვიერებისათვის ოქროპირად უწოდებდენ; იოანე პეტრიწი, მთარგმნელი პლატონის და არისტოტელის ფილოსოფიისა ქართულს ენაზე და გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც გაათავა საღმრთო წერილის მეორედ თარგმნა, დაწყებული წმ. ექვთიმესაგან. მემატინანეთა სიტყვით, ამ დროს და-

¹⁾ „დავითიანი“, წინასიტყვაობა გიორგი წერეთლისა.

– 95 –

ფუძნდა ქართულს ენაზე მრავალგვარი მეცნიერება: ღვთისმეტყველება, ფილოსოფია და სიტყვიერების სწავლა. – საერო მწიგნობრობაზე საქართველოში განსაკუთრებით არაბებს ჰქონდათ დიდი გავლენა. ვარსკვლავთ-მრიცხველობა, მათემატიკური აღრიცხვა, ლექსთა წყობა და ერთგვარი დაბოლოება სულ იმათგან შემოიღეს. ამ სახით ორნაირი განათლების ზედ-მოქმედებით მწიგნობრობამ იმატა, ენა დაიქნა და შეივსო გრამატიკული ფორმებით; ამ შემთხვევაში განსაკუთრებით არაბულს პოეზიას ჰქონდა იმაზე კარგი გავლენა. იმის წყალობით ქართული ენა შეიქმნა ტკბილ გასაგონად. მთელი აღმოსავლეთის ბუნების სიმდიდრე თავისი თვალითა და მარგალიტით ქართულს ენას მიეცა მასალათ, რომ მრავალ ნაირი ფილოსოფიური აზრი და პოეტური სურათები გამოეხატა. დადგა თამარ მეფის დრო და რუსთველის დიდმა პოეტურმა ნიჭმა ისარგებლა ამ ენით. ამისმა შეთხზულმა „ვეფხისტყაოსანმა“ დააგვირგვინა ეს დიდებული ისტორიული დრო საქართველოს ერისა. – ერის დაუღალავმა შრომამ და მეფეების გმირულმა მოქმედებამ დააფუძნა ძლიერი თავისუფალი სახელმწიფო, რომელმაც სხვა აღმოსავლეთის უპირველეს სახელმწიფოებში ამაყათ აიღო თავი და მაშინდელს ისტორიულს მოძრაობაში თავისი წილი მოითხოვა. აი, ამისთანა გარემოებამ დაბადა საქართველოში ორგვარნი პოეტურნი თხზულებანი: „პოემები და შესხმითი პოეზია“. პირველ გვარში ხე-

ლოვნურათ აღიწერა და ცოცხლათ გამოიხატა ერისა და იმის მეფეების გმირული მოქმედება, მეორე გვარი კი შეიცავდა ქებას დაუვიწყარ თამარ მეფისას. შესხმითს პოეზიაში სახელი განითქვეს მოსე ხონელმა და ჩახრუხადემ, ხოლო რუსთველი და სარგის თმოგველი შეიქმნენ დაუვიწყარნი პოემით და მოთხრობებით, რომლებშიაც გამოიხატება მაშინდელი ყოფა-ცხოვრება, ჩვეულება, ხასიათი და განსაკუთრებით ღრმათ არის გამოკვლეული, – მაგალ. „ვეფხისტყაოსანში“, კაცის გულის თქმა და სულის კუეთება... რუსთაველმა თავის პოეტურის ნიჭით, ნორჩი მგზებარე გრძნობით აღტაცებულმა, ჩამოაცალა ერის გონებას ფარდა და დაანახვა მრავალ გვაროვნებით აღსავსე ბუნება, რომელშიაც, როგორც დიდებულს წალკოტში, ყოველივე ბრწყინავდა და სიცოცხლით სტკბებოდა... რუსთაველმა დიდი ნაბიჯი წაადგმევინა წინ თავის ერს. იმან აღირჩია თავის თხზულების საგნათ უმანკო გრძნობით გაცხოველებული სიყვა-

რული. ძალიან მოკლეთ რომ გამოვსთქვათ „ვეფხისტყაოსნის“ აზრი, ის შეიცავს უმთავრესი გმირის თავ-შეუკავებელს წადილს მიჯნურისადმი და დაუწყნარებელს ბრძოლას საშინელს დაბრკოლებასთან, რომელიც ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე გზას უხლართავს საწყალ შეყვარებულს; ამის გამო იმის დადაგული გული და სისხლ მფრქვევი თვალები მუდამ შორს არიან ამომავალი მთვარის უნათლესს მიჯნურზე, ზოგჯერ ტარიელი მოიგონებს იმ ბედნიერს წამს,

– 97 –

როდესაც, ვით ზეციურს მნათობს, ისე შესცქეროდა, ხან შორიანლო მდგომარე, ხან გვერდით მჯდომარე, ნესტან-დარეჯანის მოელვარე მშვენიერებას და რომ ვეღარ უძლებს ამ მოგონებას, გულს ცეცხლი ედება, ელდა უვლის და გონება უბნელდება. ...მეორე გმირი ავთანდილი სრულებით არა ჰგავს ტარიელს: ერთია ცეცხლი, მეორე წყალი; ერთი ჰგავს მრისხანე ცას, რომელიც ელვით და გრგვინვით ჰმუსრავს ყოველსავე, რაც იმის გამწყრალს სახეს წინ უდგება დედამიწის ზურგზე; მეორე ჰგავს მოწმენდილს ცას, ბრწყინვალე დღეს, რომელიც ერთს მხიარულათ გამოანათებს და, რაც ცის კამარაზე შავი მრისხანე ცეცხლ-მომქშინავი ღრუბლებია, სულ ერთიანად გაფანტავს. ცხოვრების დარჯაკში გატარებული ავთანდილ ყოველს საქმეში ისე გამოცდილია, რომ იმის მავნებელი გულის თქმა ერთ წამსაც ვერ ასცდება იმის გონების ბრჭყალებს: არაოდეს არ აჩქარდება. თუ არ გონიერება, ვნება ვერაოდეს ვერ შეიპყრობს იმას... რუსთაველი უყურებდა ქვეყანას განათლებული ბერძნის თვალთ, ესე იგი იმის აზრით ბუნებას განკაცებული თვისება ჰქონდა და დიდი მონაწილე იყო კაცის ბედ-იღბალში. ამის გამო ბუნება ითვლებოდა კაცის პირველ მეგობრათ და მზრდელათ. ამას გარდა „ვეფხისტყაოსანშია“ ეტყობა იმას, რომ კარგად უნდა სცოდნოდა სპარსული და არაბული ენები. ერთის მხრით საბერძნეთის შეხედულობა ბუნებაზე და კაცზე, მე-

– 98 –

ორეს მხრით ბუნებითი სიმდიდრე არაბულის ენისა, რომელიც იმდენათ ტკბილ-გასაგონია, როგორც ბულბულის ათას-ნაირი სტვენა, შეიქმნენ რუსთაველის ხელში „ვეფხისტყაოსნის“ მასალათ... ის ღრმა გრძნობა, რომელიც თითქმის ყოველს „ვეფხისტყაოსნის“ მუხლში მჩქეფარებს, მთიდგან გადმოვარდნილის ნაკადულსავით, ის ღრმათ შესწავება ცხოვრები-

სა, რომელიც ანდაზებით დაბნეულია საქართველო-ში, ის კეთილშობილური შეხედულება ბუნებაზე და კაცის თვისებაზე, ბოლოს ის მდიდარი გარეგანი შემკულობა ამ თხზულებისა შეიქმნენ მიზეზათ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გახდა საერო ენათ, რომლითაც ყოველი ქართველი კაცი თავს იქებს და იმით იწრთვება.

ნაწყვეტი ვახტანგ ორბელიანის ლექსიდან – „ობოლი“.

იყო ობოლი, სიობლეში აღმოიზარდა.
იმ ობლისთვის ამ ქვეყანას არვინ ზრუნავდა,
მაგრამ ზრუნავდა იმ ობლისთვის ღმერთი მაღალი.
მას მაზედ ჰქონდა მიქცეული მოწყალე თვალი.
დალოცა, ბრძანა: „აღვსილიყავ ჩემის მადლითა,
სული უმანკო გეგზნებოდეს საღმრთო ალითა,
გქონდეს ნათელი, წმინდა გული, ბრძენი გონება,
მშობის, ერთობის, სიყვარულის მაღალი გრძნობა;
აზრი მდიდარი, ენა ტკბილი, სიტყვა დამწველი,

– 99 –

დიდების სხივით შეიმოსოს შენი სახელი!
და მან სიტყვამა და სახელმა ანათონ ლამპრად,
შენის სამშობლოს შვილთა გულნი აცხოვლონ მარად!“

აჰა, ობოლი გარდავიდა მთასა დსა ტყესა,
მიდის და მისდევს ზღვის კიდისკენ დიდს მდინარესა.
ნახა შავი ზღვა ლურჯი, წმინდა, მიძინებული

ქვეყანავ ღმერთთა, მიწავ გმირთა, ელლინთ მამულო,
მტარვალთ ხელითა დანგრეულო და წამებულო,
დიდო აკვანო, დიდო კერავ განათლებისა,
დიდო სამშობლოვ ჰომერის და თემისტოკლისა,
შენ შეიშვილე და შენ იმე იგი ობოლი,
და შენთ ძეთ სწავლით და მათ სიბრძნით აწ შემკობილი,
უკვე ჭაბუკი ზღვას მოაპობს და ნავით უმზერს
შორს ცას სამშობლოს და სპეტაკსა იალბუზის წვერს!
უმზერს და თვალთა მათ შვენებას ველარ აშორებს,
სამშობლო მიწას უამბოროს გული აშურებს...
გადმოხტა, მიწას უამბორა და თაყვანი სცა,
და მას ეზმანა, რომ მან მიწამ მის გულს ხმა მისცა!

წავიდა, მიდის, აჰყვა მასვე დიდსა მდინარეს,
უმზერს მთა-ბართა, თვის საყვარელ სამშობლო მხარეს.
ნახა: აქ კლდენი, ფრიალონი გზად იჭრებიან,
ძველნი ტაძარნი დანგრეულნი კვალად დგებიან
იქ გზას უჭრიან ღრე-კლდეებში, მთებით ბარს, რუთა;
აქა აგებენ მაღალ კოშკებს, მაგარ სადგურთა,

იქა – ტამართა, დიდთ პალატთა და მაგარ ციხეებს;

– 100 –

ესმის ყოვლის მხრით მაღალი ხმა წერაქვ-ბარისა,
ჭექა ნაღმისა და საამო ხმა სიმღერისა.
ნახა სამშობლო ცხოვრებისათვის ახლად დგებოდა.
ახლის ცხოვრებით და დიდებით იმოსებოდა.

დიდების სხივით შემოსილი ნახა თამარი,
იმისი სახე მშვენიერი და მოლიმარი,
მისი სიტურფე, მის სინაზე, მისთ თვალთ ნათელი,
ივერის მთა-ბართ და ერისა მანათობელი!
მაშინ აღმოხდენენ იგი ლექსნი მის მაღლის სულით,
ლექსნი დამწველნი, ლექსნი ტკბილნი, სავსენი სიბრ-
ძნით,
მოკამკამენი წყაროს წყალნი, ცით ნაპერწკალნი,
ალმას-ზურმუხტნი, მარგალიტნი, უფასო თვალნი!

მეფე-შვენება ზის თვის ტახტზედ ფიქრით მოცული,
თლილსა თითებში მას უპყრია დიდი რვეული,
ბროლის მკერდ ქვეშა წრფელი გულა ძლიერად უძგერს!
დიდებულთ კრება ტრფიალებით თვის მეფეს უმზერს,
ჰკვირობს მის სიბრძნეს, მის სიტურფეს დ მის შვენებას.
ელის მისს ნაზს ხმას, მისს ნაზს ღიმილს და მშვიდს
ბრძანებას...

ბრძანა, მსურს ვნახო, ვინც წარმოსთქვა ესე ლექსები,
ტურფად წყობილნი, მარგალიტნი, საგოგმანები.
მოჰგვარეს იგი; არს ჭაბუკი და მშვენიერი.
ნათელს თვალეზში მას უბრწყინავს მაღლი ციური:
გონების სიბრძნე, სულს სიშვიდე და გულწრფელობა,
ძმობის, ერთობის, სიყვარულის მაღალი გრძნობა!

– 101 –

მეფემ-მშვენებამ გადაავლო თვალი ნათელი,



არ გამოჰკითხა მას არც გვა-
 რი, არცა სახელი:
 უბრძანა მხოლოდ: „ეს ლე-
 ქსნი გულს ვით ჩაგინერგ-
 დნენ.
 გულთა დამწველნი ვით აღ-
 მოხდნენ, ვით დაიწერნენ?“
 – დიდო მეფეო! მაგ რვე-
 ულში რაც დაიწერა,
 შენმა ნათელმა, მშვენიერ-
 მა სახემ შთამბერა-
 ნათელი მეფე მას უმზერდა
 ტკბილის ღიმილით,
 უთხრა: „ეს ლექსნი შთა-
 ბერილნი გაქვს შენ ცით
 მალლით
 იყავ დიდებულ და დიდე-
 ბულთ იყავ შვენება,
 ჩემის სამეფოს გვირგვინისა
 შენ ხარ დიდება!“
 ვინ იყო იგი და რა იყო
 იმის სახელი?
 ის იყო შოთა, დიდი შო-
 თა რუსთაველი! ¹⁾

¹⁾ ავტორს ხშირად გაუგონია თავის დედის, მეფის ირა-
 კლი II-ის ასულის თევლასაგან, რომელიც გარდაიცვალა 1876

ფილოსოფოსის პლატონის ელოანის აზრი შესა-
 ხებ რუსთაველისა და მისის ვეფხის-ტყაოსნისა ¹⁾.

პოეტის სახელი შოთა ისეთივე ძველია, ვითარ-
 ცა ქართველთა გვარტომი ²⁾.. თავისი სიცოცხლის
 ბოლო ჟამი პოეტს დაუღევია იერუსალიმის ქართ-
 ველთა ჯვრის მონასტერში.. პოეტი ვერ ეტევა ამ
 მსოფლიოში. იგი მიელტვის უმაღლეს სივრცისაკენ,
 უსაზღვროისაკენ. ასრეთია მოთხოვნილობა ადამია-

წ., რომ საქართველოს სამეფო სახლში ძველ დროითგანვე სი-

ტყვიერად გარდმოცემა დარჩენილა: შოთა რუსთაველი ყოფი-
ლა ოზოლი, ტომით მესხი, სოფელ რუსთავეთგან, რომლის
სახელითაც იმ დროებში მისთვის უწოდებიათ „რუსთაველი“,
იგი იყო მშვენიერი სახის კაციო.

შენიშ. ორბელიანის ლექსების გამომცემლისა.

1) იხი წიგნაკი Шота Руставели, პლ. იოსელიანისა.

2) შოთა. აშოთ, აშოთან და აშოტ, ალბად, ერთსა და
იმასვე ნიშნავენ – გრძელს (იგულისხმეთ: შოთი, გამოტვა). ამ
სახელით უმეტეს ნაწილად იწოდებოდნენ მეფენი, მთავარნი
და დიდებულნი კაცნი, ვითარცა: აშოტ დიდი († 826 წ.),
აშოტ გვარამის ძე († 869 წ.), აშოტ კეკელა († 867 წ.), აშოტ
კუხი († 918 წ.), მეფის ბაგრატის ძე აშოტ († 885), აშოტ
კისკასი († 939), აშოტ კურატპალატი († 952). იყო აგრე-
თვე ვინმე შოთა ართოვაჩოსძე; იგი ერია იმ შეთქმულთა შორის,
რომელთაც სურდათ თამარის მამის გიორგი მეფის დამხობა და
მის მაგიერ დემნა ბატონიშვილის გამეფება. შემდეგში ეს
შოთა ართოვაჩოს ძე შეიქმნა გიორგი მეფის უერთგულეს
მონა-ყმად. ვინ იცის, ეს შოთა ართოვაჩოს ძე იყოს ის დი-
დებული პოეტი, რომლის სიტყვა დღეს გვატკობს ჩვენ!

მ. ჯ.

– 103 –

ნის სულისა განუსაზღვრელისა ადგილმდებარეობითა
და დროჟამით. რუსთაველმა არ იკმარა მისწრაფება
ქვეყნიურ სიმშვენიერისადმი, რომელსაც იგი დაჰგა-
ლობდა, და იწყო ქება-დიდება ციურ მშვენიერებისა,
ქვეყნიურ სიყვარულის მისწრაფებას მიადევნა უმაღ-
ლესი ღვთიური სიყვარული, ქვეყნიურმა ჭეშმარიტე-
ბამ მის გონებას წინ გადუშალა ციური ჭეშმარიტე-
ბა, გულის გრძნობამა და აღტყინებამ მას დაანახვა
მსოფლიოს უმაღლესნი გრძნობანი, ქვეყნიური ბედ-
თიერება მან მიამსგავსა ციაგ დღის მყუდროებას. ასრე-
თი სულის კვეთება პოეტისა გამოსჩანს მის სიტყვე-
ბში, მის სიმღერა-ანდაზებში.

პოეტი მთლად შთანთქა სარწმუნოებამ. მის-
წრაფებანი ჭეშმარიტებისა, კეთილისა და მშვენიე-
რებისა მან ჰპოვა ქრისტიანობასა და საეკლესიო საგა-
ლობლებში, მან ააკვნესა ქნარი სიონისა. და ამ მხრივ
შოთა რუსთაველი სჭარბობს თვით დაღვრემილს
ბაირონს. იგი უფრო სპეტაკია, ვიდრე ბაირონი,
ბრწყინვალეა, ვიდრე პეტრარკი, და ზნეობრივია,
ვიდრე მილტონი და დანტე. რუსთველი დაცურავდა
მსოფლიოთა ოკეანეზედ, რომელსაც არა ჰქონდა
ნავთსაყუდელი, ხოლო ბოლოს ჰპოვა თვის უმაღლეს
ფიქრთა და გრძნობათა ნავთსაყუდელი ჯვრის კვარ-
ცხლბეკს ქვეშე. იმ დღიდგან, რა დღესაც ეს ჯვარი
ამაღლებულ იქმნა, მოისპო წვალება, აღარ სუფევს
საიდუმლოება, რომლის გამოსაცნობათ, კაცთა გვარ-
ტომის საბედნიეროდ, იტანჯოდა ჭკუა ადამიანისა.

– 104 –

იერუსალიმში, მისწრაფებათა ერთად ერთ თავსაფარში, დაასრულა მან თვისნი დღენი და მიჰბართა ცათა ცათსა. აქედგან, ვითარცა ბრწყინვალე წერტილი ციურის უკვდავებისა, იწყება მისი ქვეყნიური, დროებითი და ციური, უკვდავი უკვდავება. ქვეყნიურ სიონის დიდებამ შემოსა სახსენებელი მისი ციურ სიონის დიდებით. მრავალ საუკუნეთა და შთამომავლობათა განმავლობაში სული რუსთაველის გენიოსობისა დაფრინავს საქართველოს სამეფოსა ზედა მადლითა და კეთილნაყოფიერად. მისი პოემის ხელნაწერები გაჩნდა ყველა თავადაზნაურთა ოჯახებში და მეფეთა სასახლეებში და სხ.

რუსთაველს არავისაგან არ უსესხნია არც ნაქვსი წერისა., არც საგანი თვისის ეპოპეისა, არც ხერხი თხრობისა. მისი პოემის საგანი არის მიბაძვა რომანისა, რომელშიაც წარმოდგენილია გმიროსანნი და რომელიც ნასესხებია არაბთაგან, აღმოსავლეთის ქალიფათა სასახლეებიდგან, იმ სასახლეებიდგან, რომელნიც მაშინდელ დროს იყვნენ ერთად ერთნი საფარნი გონებითი და მწერლობითი ნაწარმოებისა და ადამიანის ჭკუის საუნჯეთა.

თვით წოდება „ვეფხის ტყაოსანი“ სპარსულია. „შაჰნამედგან“ ანუ მეფეთა ისტორიიდან სჩანს, რომ სპარსნი, უკანასკნელ ქასრეს დრომდე, იცვამდნენ ვეფხის ტყავს. რუსთაველი, რასაკვირველია, იცნობდა სპარსეთისა და ინდოეთის ძველი დროის პოეტებს.

– 105 –

ხოლო თვითონ კი უწოდებს-რა თავის ქმნილებას „თარგმანს“ სპარსულიდამ, ამით სცდილობს დამალოს უმაღლესი მნიშვნელობა თვისის გენიოსობისა, იმ გენიოსობისა, რომელმაც შეჰქმნა ორიგინალი პოემა, ყოვლის მხრითა და წვლილობით დამოუკიდებელი: თვისება გენიოსობისა არის თავმდაბლობა, ხოლო ამ მდაბლობით გამოიხატვის თვით ჭეშმარიტი უდიდებულესობა.

მისს სამაგალითოსა და აქამდის შეუდარებელს ლექსში გამოთქმულია აღმოსავლეთის საგმიროსნო ეპოპეა, ეპოპეა ბრძოლათა, და სიყვარულის სიმშვენიერე მისის თხრობისა უფრო გულსა სწვდება, ვიდრე მწყემსებრივი თხრობა თეოკრიტისა; მისი ელეგია და სინარნარე უფრო სჭარბობს, ვიდრე ელეგია ტიბულისა. მისნი თხრობანი თავგადასავალთა უფრო მეტია და უფრო საინტერესო, ვიდრე ამადისისა.

საქრისტიანო ევროპა სამართლიანად ამყოფს სამი პოეტის სახელით, რომელნიც საშუალო საუკუნოებში იგინივე იყვნენ, რაც ჰომიროსი ბერძენთა ულუმბოს ჟამს. ეს პოეტები იყვნენ დანტე, ტას-

სო და მილტონი, და იგინი ერთურთს ჰბამავდნენ. ხოლო რუსთაველმა ამათზე ადრე დაჰმღერა თავისი სიმღერა და შეიქმნა მის შემოქმედად, მანვე განაბრწყინა ენა და უკვდავჰყო იგი შთამომავლობისათვის.

არ ვიშიშვი გმობისა, როდესაც ვამბობ, რომ ენა რუსთაველისა აღმატება ენას დანტესას, ტასოსას

– 106 –

და მილტონისას. სიტყვათა და ფიქრთა მიმდინარეობა ჩვენის პოეტის აღმაფრენაში არავითარ დაბრკოლებას არა ჰხედავს არც ლექსთა წყობაში, არც თხრობათა საგანში და არც ნაკვეთებში. პოეტი ერთნაირად და თანტოლად მიმოფრენს. ჰორაციუსმა ჰომიროსის შესახებ სთქვა: „ხანდახან თვით ღვთიურ ჰომიროსსაც სძინავსო“. რუსთაველის შესახებ ამის თქმა არ შეიძლება. მისის საგალობლების ქნარი მუდამ ერთნაირად უკრავს. მუზა, რომელიც უკარნახებდა მას აზრთა და ფიქრთა შესახებ სიყვარულისა, გმიროსანთა სიქველისა და კაცობრიობის ცხოვრებისა, რუსთაველს მოსვენებას არ აძლევდა.

ძველი დროის პოეტები შეეხებოდნენ ხოლმე სწავლას ღმერთთა შესახებ, რელიგიურს მითებს და ამისგამო აწყენინებდნენ ღმერთებსაცა, სარწმუნოებასაც და ერსაც, რომელსაც სწამდა იგი ღმერთები. თვით უკვდავი დანტეც, ქრისტიანობის დროის პოეტი, ვერ ასცდა ამგვარს ზნეობრივს სიმდაბლეს. ხოლო რუსთაველი მისებრივ არ მოიქცა და აიცილა ეს ბიწიერება. ამიტომაც უკვდავი პლატონი, განმდევნელი თვის მიერ შექმნილ რესპუბლიკიდგან პოეტებისა, რუსთაველს პირველ ადგილს აკუთვნებდა თვის სამთავროში.

თვის აღმაფრენაში ფრთეთა ზედა სიტყვათა მომდინარეთა, მოქნილთა და საწყობილსიტყვაოდ გამზადებულთა, თავისთავად მჩქეფარეთა, რუსთაველი აქა-იქ მოგვევლინება ფილოსოფოსად, და შექს-

– 107 –

პირისავით გვიხსნის ცხოვრებასა და მის მოვლენათა კაცთა შორის და საზოგადოდ ბუნებაში. საქართველო პოეზიის ქვეყანაა. ტურფა სამშობლო პურისა და ვაზისა ჰშობდა პოეტებს. მისი ქრისტიანებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ღვაწლი, რომელიც აკვირვებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, მრავალ საზრდოს აძლევდა პოეტებს. ბრძოლა მტრებთან სარწმუნოებისა და თვით-არსებობის დასაცველად აქ სწარმოებდა დაუცხრომელად, დაუცადებლად. მისი

ცხოვრება გამსჭვალულიყო ქრისტიანობით, რომელიც წარმოადგენდა უკეთესს მხარეს ქართველის მოქალაქეობისას. საგალობელნი პინდისა და სიონისა აქ იგალობებოდნენ საღვთო ქნარსა ზედა არგანოსან ერისა.

რუსთაველის სამაგალითო პოემა, დღიდგან მისის დაბადებისა, შეიქმნა პოეტების სახელმძღვანელოდ. საყვირი პოეტის გალობათა მისწვდა ყოველს გულს. და მაშინ, ვითარცა დღესაც, ეს პოემა შეიქმნა საგნად საუბრისა, საკვირველებისა, მწიგნობართა შესწავლისა, ენად სიყვარულისა, ქალიშვილების გულთა დამატკობელად, გამმარტებელად ღრმათა და ჭეშმარიტთა გრძნობათა. მას იზეპირებდნენ და იმეორებდნენ ქალაქებში, დიდებულთა ციხე-დარბაზებში, გლეხთა ქოხებსა და მეფეთა პალატებში და თვითტახტის გარშემოც. ხმებმა სიტყვათა და რჩეულ თქმათა შეჰქმნეს ის მუსიკა, რომელიც სწვდება ყურსაცა და გულსაც. ფილოსოფია და მჭევრ-

– 108 –

მეტყველობა ერთნაირად ამკობენ მაღალფ აზრებს პოემისას, ამ მწიგნობრობის წმიდათა წმინდანს. ეს არის სიწმინდე, რომელიც ერთნაირად სათანადოა ცისაცა, სამყაროსაცა, წმინდა სიყვარულისაც.

ეს პოემა არის ერის სულის მაჯა, მისი სარკე. ყველა შორეული, ყველა დაფარული გულის გრძნობათა და მისწრაფებაში, ყველა უაღრესი გონებისა და გონიერების აღმაფრენაში, ცხადად და თვალსაჩინოდ გამოხატა პოეტის მარჯვენამა და კალამმა. მოკლე სიტყვაობით, მაგრამ ძლიერად გამოხატა პოეტმა მისწრაფებანი გრძნობისა, ზნეობისა და სარწმუნოებისა და მიანიჭა მათ თოფის წამალში დაფარული ცეცხლის მაგვარი ძალა ალისა და ნათელისა. ასრეთია ქართული სიტყვა რუსთაველის კალამის მეოხებით, რომელმაც აღაფრთოვანა ენა ქართული უმაღლეს ჭეშმარიტებათა შესაგნებად. მისწრაფებანი სიყვარულისა, შვენიერებისა, სიგმირისა და ქველობისადმი განეფინა ჭკუა-გონების ატმოსფერასა ზედა, რომელსაც ისუნთქავდენ მკვიდრნი გრძნეულთა ქვეყნისა, ყოვლის მშვენიერებით შემკულისა, ხოლო ამ ქვეყანას დარაჯობდა დედოფალი (თამარ) ბრძენი, წმინდა, შვენიერი, შვენიერი არა მხოლოდ ხორციელად, არამედ სულიერადაც, ქრისტიანულად, დედოფალი უაღმატებულესი ყოველთა დედოფალთა, რომელთა სათნოება ოდესმე შეუნიშნავს ისტორიას.

სიწმინდე საერო წიგნისა გამოითქვა წმიდა და კეთილშობილ სიტყვებით, მიმართულით ღვთისა-

დმი, რომელმაც პოეტს შთაჰბერა სიწმინდავე მისთა სიმღერათა. ესა სჩანს მისის პოემის პირველივე ტაე-პიდგან. ასრეთია პოეტის სულის კვეთება შორის იმ ერისა, რომელსაც ღვთისა მიერ შთაენერგა ქრისტიანებრივნი წმ. მისწრაფებანი და ამ მისწრაფებათ უაღმატებულეს ჰყვეს იგი, ვითარცა ფაროსი საქრისტიანო კავკასიონში, არაქრისტიან სახელმწიფოთა შორის.

დიდება რუსთაველისა უაღმატებულესია, ვიდრე დიდება ყველა მეფეთა და სპასალართა, რომელთაც კი უკვდავ ჰყვეს სახსენებელი თვისი მთელის ერის მეხსიერებაში. რუსთაველის დიდებას ვერ შეედრება ვერც დიდება ქასრესი და იზედიგერდისა და ვერც პომპეისა და ჩინგისხანისა. გრგვინვა მათთა ძლევა-მოსილობათა უმეტესად არის სირცხვილი კაცობრიობისა და ხან კი სიმძულვარე ისტორიისა. ხოლო საერო პოეტის შრომის ნაყოფი – მისდამი სიყვარულია ერისა, მისდამი პატივისცემაა კაცობრიობის ჭკუისა.

ამისთანა ნაყოფი გონებრივ ღვაწლისა ერთის ერისა – დიდისა თუ პატარის – კუთვნილება კი არ არის, არამედ მთელის კაცობრიობისა, რომელ გვარტომსაც გინდ ეკუთვნოდნენ დიდებულნი კაცნი, თუ თავისის გონების ნაწარმოებით შველიან კაცთა წინმსვლელობას, იგინი ჩაიწერებიან მსოფლიო ისტორიაში. ამ მატიანეშია მათი სადგური, აქ ედგმით მათ ძეგლები. აქ არის მათი უხრწნელი აკლდამა.

რუსთაველი, თამარ დედოფლის მეხოტბე, სასულიერო მიმართულებისაა. ეს დაამტკიცა მან თვისის ცხოვრების უკანასკნელ წამებით, როდესაც ბერად შეიმოსა, როდესაც იწყო ცრემლთა ფრქვევა და სინანული იერუსალიმს, გოლგოთის კარს. დროიდგან პოეტთა მამისა ვიდრე ბაირონამდე მგოსნების ხვედრია ტანჯვა და ტირილი.

ტანჯვათა უგრძნობლად გულის სიმები ხმებს ვერ აღმოაკენესებენ. პოეზია არის ძახილი. იგი ვერ ხმაურობს, თუ გულს არა სწვდება. გულისცემა რაოდენადაც ძლიერია, იმდენად ხმაც, ეს გულის ძახილიც), ძლიერია. შთაბეჭდილებამ, გამოწვეულმა ბუნების სიმდიდრეთაგან, გონებრივისა და ზნეობრივ განვითარებისაგან, შეასისხლ-ხორცა ის სულის კვეთება, რომელიც ასრე ტკბილად და მომხიბლავად აღინიშნა ქაღალდზე. ფართე, განიერი და ვრცელი ჰავა-ყუდე აზიის უმშვენიერეს კუთხისა, გადაშლი-

ლისა კავკასიონის წიაღსა შინა, არის მდიდარი სა-
უნჯე ადამიანის ჭკულისა და წარმოდგენისა. ამ შვე-
ნიერებათა ოკეანედამ გენიოსს ამოაქვს გრძნობანი
ძლიერნი და საზოგადონი. ამ სიმდიდრეთა მრავალ-
ფერობის მეოხებით პოეტს ებადება აზრნი სპეტაკ-
ნი, მართალნი და უცხადესნი. თუ წერის ხელოვნე-
ბამ იქამდის მიადწია, რომ ყოველი თქმა, ყოველი
ფრაზა ძლიერ და გულის გამგმირავ ანდაზად ხდე-
ბა, – ეს გენიოსის საქმეა. მკითხველი, დამტკბარი
სამგვარ აზრთა სიმრავლით, აზრთა, აღმზრველთა სი-

– 111 –

ხარულისა, მხნეობისა, სულის აღმაფრენისა, თვითო-
ნაც, პოეტთან ერთად, დაფრინავს პარანასის მწვერ-
ვალეზზე.

საიდგან წარმოსდგა ეს პირველ ხარისხოვანი
სიბრწყინვალე საქართველოს მწერლობისა? რუსთა-
ველი არ იყო მინერვა, რომ დაბადებულყო იუპი-
ტერის თავიდგან, ვითარცა ღვთის სიბრძნის სიმბო-
ლო. უსათუოდ მას ჰყვანდა წინამორბედნი და ჰქონ-
და ძველი ნიმუშები, და დაადგა გაკვალულს სალი-
ტერატურო ნიადაგს. უკვე იყო თარგმანი ასურთა
და ქალდეველთა წინასწარმეტყველებისა ¹⁾, რომელთა
საღვთო ქნარს ვერ უდრიდა ქნარი ჰომიროსისაც. მე-
ხუთე საუკუნეშივე გვქონდა ლექსი უდიდებულეს პო-
ეტის დავითისა ფსალმუნად და ახალი აღთქმა; აგ-
რეთვე თხზულებანი ბასილი დიდისა, ქართულად ნა-
თარგმნი მეექვსე საუკუნეიდგანვე. პოეტნი იბადებიან.
რუსთაველიც, პოეტად დაბადებული, თვის გარშე-
მო ჰხედავს განათლებულს ერს, გვირგვინოსან მე-
ფეებს, გმირთ საქმითა და დიდებით, სამეფო ხო-
მალდით მცურავებს სისხლით მორწყულ არე-მარე
ზე. საეკლესიო საგალობელნი იგივე პოეზიაა ერი-
სა. თავის წამებულთა მაქებელ ეკკლესიას უნდა შე-

¹⁾ რუსთაველის თქმას: „მათდა საბრძანისთა თხა და
მგელი ერთგან სძოვდეს“ შეადარე წინასწარმეტყველის ისა-
იას სიტყვები: „მამინ ძოვდეს მგელი კრავთა თანა“ (თავი ია,
მუხლი ე).

მ. ჯ-ლი.

– 112 –

ექმნა ტაძართა გარე საკრავი ქნარი გასახარებლად
ერისა მის კერძო ცხოვრებაშიაც, მეფეთა დარბაზებ-
შიაც, დიდებულთა პალატებსა და გლეხთა ქოხებ-
შიაც, საფლავის გარემემოც და სხ. ერი, რომელიც
მეფობს, არა ტირის, ტირიან მხოლოდ მტარვალთა
მონანი. რუსთაველის დროს ცივილიზაცია ანუ მო-

ქალაქობა უმაღლესს მწვერვალამდე აღსული იყო და ეს ცივილიზაცია, მარტო მატერიალური კი არ იყო, არამედ ზნეობრივიც. მეცნიერნიც ამას ამბობენ, რომ ორთავე ამ თვისებათა შეკავშირება შეადგენსო ჭეშმარიტს ცივილიზაციას. ამის მიხედვით უფრო მეტს მოქალაქეობას შეიცავენ თქმულებანი სახარებისანი, ფილოსოფიური ჭეშმარიტებანი და ჩვენი პოეტის ტაეპნი, შესისხლხორცებულნი ქართველ ერისა-მიერ, ვიდრე ის ბრწყინვალე ნივთნი, რომელთაც გაუვსიათ ლაჟვარდოვანი სასახლე ლონდონისა. მანქანები ვერ შობავენ მისწრაფებათა და გრძნობათა და ვერ დაუმკვიდრებენ ერს დიდებასა და ბედნიერებას. მანქანები – ადამიანის ხელებია და არა სული. მარტო სიტყვა, ვითარცა სულის განხორციელებული აზრი, არის მანქანა ჭეშმარიტებისა, და იგი სავსეა სინათლითა, სარწმუნოებითა, ზნეობითა, შვენიერებითა და ყოვლის კეთილითა. მხოლოდ სიტყვით, რომელიც არის სულის სარკე, იზომება და იწონება მოქალაქეობრივი განვითარების ხარისხი.

ასრეთია საქართველოს ლიტერატურის ისტორიისა და ერის მეხსიერებაში რუსთაველი, ეს მეფე

– 113 –

ქართველ პოეტებისა. იგი არაბეთის უდაბურ ველების ანტარი კი არ არის, არამედ ერის მე XII საუკუნის მატიანის ტასსო და დანტეა. იგი ჯერ ისევ სცოცხლობს ცოცხალ ერის მეტყველობაში. ეს უკვდავი მგალობელ-მადიდებელი მეფეთა, გამირებისა, ღვაწლთა, ერის ბედისა, ბუნების მშვენიერებისა, სარწმუნოების უკვდავებისა, ცხოვრების ჭეშმარიტებათა, გულის მოძრაობათა, ზენის ზენათა აღსავალ გზა-კიბეთა – ისევ ცოცხალია მისის სამშობლოს ყოველს კუნჭულში. მას ვერ მოჰკლავს ვერავინ და ვერაფერი: ისტორია უკუნიითია და უკუნიითი უკუნისამდე. პარნასი ისტორიისა სუფევს ზენის ზენათა, რომელსაც ვერ მისწვდება სული ბოროტი. ამ პარნასის სინათლეს ვერ მიეკარება სული ბნელისა. ბოროტი სული თვით გაურბის მას და ბნელსა და წყვდიადში ჰკვერავს თავის ხვანჯს წინააღმდეგ ძეთა სინათლისათა. და იყო ნათელი და ბნელმან ვერა მოიცვა იგი.

ამსახით, რუსთაველის ხელმან და კალამმან შექმნა სიტყვა ძლიერი და ძლევა-მოსილი. ხოლო სიტყვის ამგვარმა ძლიერებამ ჰქმნა ის, რომ ქართულ ლიტერატურაში რუსთაველი პოეტის სახელი კი არ არის, არამედ პოეზიისა. ძველ დროს პოეტებს ეძახდენ წინასწარმეტყველებს, ხოლო რა მოეთხოვებოდათ, წინასწარმეტყველებსა და წინასწარმგრძნობელებს? –

ნიჭიერება და მაღლი ძლიერის გრძნობისა, ფიქრი და აზრი გონიერი და მართალი, ცოდნა ყოვლისფრისა,

– 114 –

ნათელი საზრისი, ცხადი და ძლიერი გამოთქმა, სხვათათვის საამოდ გარდაცემა თვისთა მისწრაფებათა და რწმენათა ჭეშმარიტებისა, კეთილისა და შვენიერებისა. საგნად უნდა აეღოთ სათნოება, სულიერნი და ხორციელნი ღვაწლნი, ერთგულობა მოვალეობისა, მამულისადმი გმირული ტრფიალება, ვაშკაცური სიმართლე, თავისუფლება კაცობრიობისა. ამ მხრივაც რუსთაველი დანტესა, ტასოსა და მილტონ-ზედაც მაღლა დგას.

ასრეთია ჩემი აზრი შესახებ საქართველოს უუდიდებულეს მგონისა. მსოფლიო ლიტერატურის გენიოსთა შორის, რომელნიც შეადგენენ შვენებას მოდგმათა და ერთა, რუსთაველს უჭირავს უმაღლესი ადგილი. დიდება მისი – არის დიდება ისტორიისა, დიდება კაცთა ნათესაობისა, უკვდავისა და წინმსროლისა...

—

დიახ, დავუმატებთ ჩვენც, ქართველნი ვადიდებთ იმ კაცთ-მოყვარე ბრძენს, რომელმაც პირველმა აღიმაღლა ხმა ქალის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცველად, რომელმაც ყველაზე უწინარეს უარჰყო „ჩატეხილი ხიდი“ მამაკაცთა და დედაკაცთა შორის, რომელმაც გვიანდერმა, რომ შვილი – ქალია იგი თუ ვაჟი – სულერთია, თანასწორია, რადგან „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.“

აი, ამისთანა სახელოვან კაცს, რომელმაც თვისის ნაყოფიერებით მორწყა მთელი საქართველო, ძეგლი აქვს დადგმული მხოლოდ ყოველი ქართველის გულში, მაგრამ მოვა დრო და ჩვენნი შვილნი და შვილისშვილნი მას აღუგებენ მაღალსა და ბრწყინვალე ანდალმასაც, ვინაიდგან იგი, ვითარცა რჩეული კაცი, ღირსია ამისი.

მ. ჯანაშვილი.

1895 წ. 1 გიორგობისთვე.

ბ) რუსთაველის სურათზე

(ლექსი აკაკისა)

სულ-მნათო, მაღლი შენს გამჩენს,

დიდება ერსა შენს მშობელს,
და ძეგლად სამარადისოდ
ნეტარ-ხსენება ამ სოფელს.

შენ ნიშნად უკვდავებისა
ერს მოვლენილხარ განგებით,
ვით ცისარტყელა წარღვნისა –
უცნაურისა ჰანგებით.


სულ-მნათო! ჩვენცა გვასწავე
ეგ საიდუმლო ჟღერისა,
რომ აგვისრულდეს წადილი,
მგოსანი ვიქმნე ერისა;

რომ ჩემის მღერით აგზნილი
რაციფი ტარიელობდეს:

– 117 –

ქაჯთა ებრძოდეს ლომ-კაცი,
ნესტანისათვის ხელობდეს!..

ქაჯთა ებრძოდეს ლომ-კაცი,
ნესტანისათვის ხელობდეს!...



მაშინ, ვით ჩვენსა მნათობელს,

სახელი აღემატება,
და შენი სახე ივერთა
გულს ძეგლად დაეხატება!

განყოფილება მეორე.

„ვეფხის-ტყაოსნის“ თხრობა.

უხვსა, მოწყალესა, მოსამართლესა და ლაშქარ-მრავალ როსტევან მეფეს ჰყვანდა ერთად ერთი ქალიშვილი, რომელსაც თინათინი ერქვა. იგი ფრიად ლამაზი იყო. მამა მეფემ თავის სიცოცხლეშივე თინათინი ხელმწიფედ დასვა. გვირგვინ-სკიპტრის დალოცვის ჟამს თინათინმა გამართა პურობა და ერს უწყალობა დიდი საბოძვარი. პურობა-წვეულობის დროს სუფრის თავს ისხდნენ მეფე მამა, თინათინი, ამისი დედა, ჯერ ისევ ახალგაზდა და მშვენიერი სახის ყმაწვილი კაცი სპასპეტი ავთანდილ, ვეზირი სოგრატ, დიდებულნი და შემდეგ ლაშქარი და სხ. ნადიმის დროს, მეორე დღეს, მეფე როგორღაც დანაღვლიანდა:

მეფემან თავი დაჰკიდა და ჰქონდა დაღრეჯილობა.

მეფის მოწყენამ ყველანი გააკვირა. ავთანდილმა და სოგრატმა ჭიქები ღვინით აივსეს, წარსდგნენ მეფის წინაშე, და მოწიწებით ჰკითხეს თვისს მბრძანებელს: „მეფეო, რათ დაგიღრეჯია და აღარ გიცინის პირიო?“ მეფემ მიუგო: „ჩემი მოწყენისა და დაღონების მიზეზი ის არისო, რომ ღმერთმა ვაჟიშვილი არ მომცა, მე უკვე დავბერებულვარ და კაცი კი არ არის, რომ მას ჩემგან სამამაცო ზნენი

– 119 –

ესწავლაო. მარტო ოდენ სპასპეტი ავთანდილ, ჩემივე გაზრდილი, ცოტათი შემგვანება მამაცობითაო“. ავთანდილმა, მოისმინა-რა მეფის ნაბრძანები, ჩაიცინა. მეფემ მიზეზი იკითხა. ავთანდილმა გაუწყრომლობის ფარმანი მოსთხოვა და მერე მოახსენა: კვებნაში კი ნუ ჩამომართმევო და მე კი არაფერში არ ჩამოვივარდებიო, არც მშვილდოსნობაში და არც სხვაგვარ სამამაცო ზნეთა ცოდნაშიო. თუ არა გჯერა, ნამლევი დავდვათო, გავიდეთ სანადიროთ და ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს მამაცობაში: მეფე სპასპეტს, თუ

სპასპეტი მეფესო. მეფე დასთანხმდა. იახლეს ჯარი და სანადიროს გავიდნენ. ინადირეს, დახოცეს მრავალი. მერე ერთად შეიყარნენ. მოვიდნენ მათის ნასროლ-ნაკრავის მთვლელნიც. მეფემ ამათ უბრძანა: „მართალი სთქვითო.“ მოახსენეს: „გინდ ეხლავე დაგვხოცო, მაინც ტყუილს ვერ გეტყვითო. შენ მეფეო, ავთანდილის-დარი არა ხარო. ავთანდილმა ოცი ნადირით მეტი მოკლა, ვიდრე შენ. მისგან ნაკრავი ნადირი ადგილსვე იქცეოდაო, ხოლო შენ მიერ ნაკრავი კი, ხშირად გარბოდა და ჩვენ ვხოცდითო.“ როსტევანს ფრიად გაუხარდა, რომ მის სამეფოში მასზე უკეთესი მამაცი აღმოჩნდა. იგინი ჩამოსხდნენ იქვე ხეებ ქვეშ, წყლის პირას და

თამაშობდეს და უჭვრეტდეს წყალსა და პირსა ხევთასა.

მათი მხიარულება დაარღვია უცნაურმა სანახავმა. მეფემა და მისთა თანამხლებელთ თვალი მოჰკურეს უცხო მოყმეს, რომელიც წყლის პირას იჯდა მტი-

– 120 –

რალი, ტანს ვეფხის ტყავის კაბა ეცვა, თავზედ ეხურა ვეფხის ტყავისავე ქუდი, ხელში ეჭირა მკლავის უმსხოსი მათრახი, იქვე ახლოს ჰყვანდა თავისი შავი ტაიჭი, რომლის ლაგამ-აბჯარ-უნაგირს ხშირად ესხა მარგალიტი. დაინახეს-რა ეს გმირის მსგავსი კაცი, მეფემ უბრძანა მონას, იგი კაცი აქ მომიხმეო. წავიდა მონა, მიუახლოვდა. იგი მოყმე გულმდულარედ ტიროდა. მონამ მოახსენა: „მეფე გიბრძანებსო.“ მოყმემ ვერც კი გაიგო მისი ნათქვამი. მას ჯერ არ სმენოდა მონადირეთა ჟივილ-ხივილი, ყვირილი. იგი მთლად მისცემოდა რაღაც კაემანს, რაღაც წუხილს:

უცხოდ რამე ამოსკვნოდა, გული ცეცხლთა ნადებარი, ცრემლსა სისხლი ერეოდა, გასდის ვითა ნაგუბარი. სხვაგან ჰქრის მისი გონება, მისმან თავისა წონამან.

მონამ გაუმეორა მეფის ნაბრძანები. მოყმემ არც ახლა შეხედა მას, არცა დააგდო ტირილი, არცა გაიგონა მან, არცა გახლიჩნა ბაგეთათ. მონა დაბრუნდა და მეფეს მოახსენა: „თქვენნი ნაბრძანები მას ვერ შევასმინეო.“ მეფე გაწყრა და თორმეტს მხედარს უბრძანა, საომარი იარაღი აისხით, მიდით და აქ მომგვარეთ იქ მჯდომარე მოყმეო. წავიდნენ. მათ ხმა-ურობაზე მტირალმა მოყმემ მოიხედა და ნახა-რა მრავალი ჯარი, ერთი „ვაჟ-მეო“ დაიძახა, თვალთაგან ცრემლი მოიწმინდა, მოახტა თავის ტაიჭს და გაჰქუსლა სხვა მხარესა. მხედარნი გამოეკიდნენ, მისი დაჭერა უნდოდათ. მაგრამ იგი მოყმე მოუბრუნდა მათ, ზოგნი

– 121 –

დახოცა, ზოგს ძლიერად მათრახი გადაჰკრა. ამის მხილველი მეფე უფრო გარისხდა, შეჯდა ცხენზე და მთელის თავის ლაშქრით გამოეკიდა იმ უცხო მოყმეს. მაგრამ მას არათუ ვერ დაეწივნენ, არამედ ბევრი ეძებეს და ვერსად თვალი ვერ მოჰკრეს. ასე კვალწმინდათ გადიკარგა იგი მოყმე. მეფე ძალიან დაღონდა, დევისა-დარი კაცი სად წაგვივიდა, სად დაგვემალა ამდენ ჯარსა და ლაშქარსაო! დაღრეჯილი მეფე ხმა ამოუღებლივ შემობრუნდა, ჯარი დაითხოვა, მიაშურა სასახლეს, შევიდა საწოლ ოთახში და სევდა-ჭმუნვას მიეცა. თინათინმა ინახულა მამა და, გაიგო-რა მისი დაღონების მიზეზი, ურჩია: გაგზავნე კაცები გადაკარგულ მოყმის ამბის გასაგებადლო, შენი სამეფო დიდია, მოიარონ ყოველი კუთხე და თუ იგი კაცი ეშმაკი და გრძნეული არ ყოფილა, მას კვალს უეჭველად მიაგნებენო. მეფემ გაგზავნა. იარეს და ვერა შეიტყეს-რა. მეფე დარწმუნდა, რომ იგი მოყმე კაცის სახით მოვლენილი ბოროტი სული ყოფილა. მეფე ისევ გამხიარულდა, მოიწვია მგოსანნი და იწყო შვება-ლხენა.

ამით დასრულდებოდა ვეფხის ტყავით მოსილ კაცის ამბავი, თუ ეს ამბავი და თვით იგი უცხო და უცნაური მოყმე დაევიწყა თინათინს. მასუკანით, რაც ეს მტირალი მოყმე ენახათ, მისს სურათს მთლათ შეეპყრო თინათინის გონება. ქალი მოწადინებული იყო უთუოდ გაეგო, თუ ვინ იყო იგი, რა გაჭირება ადგა, რომ ტიროდა და გმირისებური კაცი

– 122 –

ცრემლს აფრქვევდა. თინათინს შეტყობილი ჰქონდა, რომ იგი ავთანდილს უყვარდა, რომ იგი მისის სურვილით იყო გახელებული. მონა ზანგი გაუგზავნა მას, თავის პალატს იწვია და მოახსენა: „შეტყობილი მაქვს, რომ შენ გიყვარვარ. თუ ეს მართალია, წადი, კიდით-კიდე მოიარე ქვეყანა, სძებნე ვეფხის ტყავის კაბით მოსილი კაცი, სძებნე სამი წლის განმავლობამდე, მანამდე მე არ გავთხოვდები, შენ დაგიცდი, თუ იპოვნე, რა კარგი, თუ არა – დავიჯერებ, რომ იგი მოყმე უჩინარი სული ყოფილა. „და ამის შემდეგ, ლომო ავთანდილ, მზესა შეგეყრები, შემიყვარე“.

ავთანდილს დიდად იამა. მისი გულითადი საწადელი იყო თინათინის ცოლად შერთვა და აი ეს სურვილი უსრულდებოდა. მან სიხარულით აღუთქვა სეფექალს, შენ მიერ დავალებულს დიდის ხალისით შევასრულებო. ერთგულება შეჰფიცეს ერთმანეთს და გაიყარნენ. ეს დაწყობილობა, პირობისა-

მებრ, საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო მათ შორის.

ავთანდილი, მეფის ნება-რთვით, გაემგზავრა, ვითომდა, სამეფოს სანაპიროების გასამაგრებლად. სანაპიროს რომ მივიდა, თავის გულითად მეგობარს შერმადინს განუცხადა ყოველივე და დაავალა: „ლამქრის უფროსად შენ გნიშნავ, ჩემ მაგიერ დარბაზს გზავნე ხოლმე წიგნები, ძღვენი, სამწელ აქ მომიცადე, ჩემი ამბავი საიდუმლოდ შეინახე, ამ დროს

– 123 –

განმავლობამდე თუ დავბრუნდი, რა კარგი, თუ არა, – მომიგლოვე, დამიტირე და მაშინღა მეფეს შეატყობინე, აცნობე ჩემი სიკვდილი“.

შერმადინის სპასპეტად დანიშნვა ავთანდილმა თავის ლაშქარსაც შეატყობინა და ამ სიტყვებით გამოეთხოვა მათ:

ცოტასა ხანსა ვარჩივენ გაჭრა სმასა და მღერასა,
პურად და საჭმლად მივენდეგ ჩემსა მშვილდსა და ცერასა,
საქმე რამე მიძს თავსაზე სამე გარდასახვეწელი,
დავჰყო მარტო-და ღარიბად ესე წლეული მე წელი;
გემუდარები ამისთვის, ვარ თქვენი შემომხვეწელი,
მე დამახვედროთ სამეფო მტერთაგან დაულეწელი.

ავთანდილი გაემგზავრა. გადაიარა მინდორ-ველი) მოვლო ყოველი პირი ქვეყნისა. ეძებდა, სჩხრეკდა უცხო მოყმეს, შეხვედრილ კაცებს ჰკითხავდა მის ამბავს. ამ ძებნა-ჩხრეკაში), წელიწადი სამი სამს თვედ მიიყარა“ და ვეფხის-ტყავ-ქუდით მოსილ კაცის მნახველს და ანუ მის ამბის მსმენელს ვერ შეხვდა. დიდად სწუხდა ავთანდილი, რომ საყვარელთან დადებულ პაემანის ვადა კიდევ გადიოდა და მას კი ჯერ ვერა გაეგო-რა. მაგრამ იგი სასოწარკვეთილებას მაინც არ ეძლეოდა და საძებნელს გაცხარებულად ეძებდა. ვადის გასვლამდე სულ ორი თვეღა დარჩენილიყო და იგი წაადგა ერთ მაღალ მთას. მის მწვერვალზე რომ ავიდა, თვალწინ გადემალა დიდი მინდორი. ჩავლო მთა, გავლო მთის ძირში მიმდინარე ხევი, გა-

– 124 –

ვიდა მინდორს, იარა კიდევ ბევრი. მთელი თვე იყო, რაც ადამიანი არ შეხვედროდა. არც ამ მინდორში ეგულეობდა კაცის ნახვა. ისევ უკანვე დაბრუნება არჩია. შამბის ძირს ჩამოხდა. ცხენს საძოვარი მისცა. მწვადი ცეცხლს დაუფიცხა. ამ დროს თვალი მოჰკრა ცხენოსნებს, რომელნიც მისკენ მოდიოდნენ. ავთანდილმა ამათ ჰკითხა: „ვინ ხართო?“ მიუგეს: „ხატავე-

თელნი ვართო, ლაშქარ მრავალი ყმიანი, სანადი-
როთ წამოვედით, დავხოცეთ ბევრი ნადირი, ნანა-
დირევი ჩვენს ლაშქარს გავატანეთ და ჩვენ კი ნება-
ნება მათს კვალს მივყვებოდით, ანაზდათ ვინმე მო-
ყმე შეგხვდა, ფრიად დაღონებული, შავს ტაიჭზე
იჯდა, თავსა და ტანს ემოსა გარე თმა ვეფხის ტყა-
ვისა, მისი შეპყრობა მოვინდომეთ, მაგრამ მან მათ-
რახითა შეგვამწიფნა და თვითონ გაგვშორდა ლაღად,
წყნარად, კუმტის სახით. აგერ იგი მივა, ნახე“. ავ-
თანდილმა გაიხედა და თვალი მოჰკრა შავ ტაიჭო-
სან კაცს. მადლი უთხრა ხატაველებს და ცხენი
გაჰქუსლა. იგი მალე დაეწეოდა უცხო მოყმეს, მაგ-
რამ იფიქრა, უეცარის შეხვედრით არა გამოვა-რაო,
სჯობია კვალ-და-კვალ და შორიახლო მივდიო, რომ
შევიტყო, სად არის მისი სადგურიო. ამნაირად ორი
დღე იარეს. ბოლოს მიაწიეს ერთ უტეხარ და უღ-
რან ადგილას. უცნაურმა მოყმემ გამოქვაბულებს
მიჰმართა. ავთანდილი ცხენიდან ჩამოხდა, ავიდა მა-
ღალ ხეზედ და თვალი მიადევნა მიმავალს მოყმეს,
რომელსაც გამოეგება ერთი შავად ჩაცმული ქალი;

– 125 –

ვეფხის ტყავით მოსილი ყმა ცხენიდგან ჩამოხდა და
მწარე ოხვრა-ვიშით მოეხვია ქალს:

ერთმანეთსა ეხვეოდეს, ყმა ქალსა და ქალი ყმასა;
იზახდიან, მოსთქმიდიან, მოსცემდიან კლდენი ხმასა;
ავთანდილ ჰსჭვრეტს გაკვირვებით მათსა ეგრე ქცევა, ზმასა.

ქალმა ცხენი ქვაბს შეიყვანა, მერე მოძმესაც
იარალი შეჰხსნა და ორნივე გამოქვაბულში შევიდ-
ნენ. ამასობაში ღამემ მოატანა. როცა გათენდა, ქა-
ლი გამოვიდა გამოქვაბულიდგან, ტაიჭი გამოიყვანა,
ლაგამი აუდო, შეჰკაზმა. გამოვიდა თვით ვეფხის
ტყავიანი კაციც, შეჯდა ტაიჭზე, გამოვლო გუმინ-
დელივე გზა, ჩავლო და გაშორდა იქაურობას.
ავთანდილი შეჯდა ცხენზე და გამოქვაბულის კარს
მივიდა. იგივე ქალი, რომელსაც ასმათ ერქვა, გა-
მოეგება და, ნახარა უცხო კაცი, მოინდომა გაქცე-
ვა, მაგრამ ავთანდილი წინ გადუდგა. ასმათი ღრიალებ-
და და საშველად ტარიელს ეძახდა. ავთანდილმა და-
უწყო ხვეწნა, გაჩუმდით, უამბო თვისი ხანგრძლი-
ვი მგზავრობის მიზეზი და მოწიწებით სთხოვა, მით-
ხარ, ვინ არის ეგ ტარიელიო. ქალი დიდს უარზედ
იდგა და ავთანდილს ეუბნებოდა: ყმაო, რა გინდა,
შენ ერთხელ იტყვი „მითხარო“, მე ასჯერ გითხრობ
ვერასა. ავთანდილმა მუხლი მოუყარა და კვლავ იწ-
ყო ხვეწნა. მაგრამ ამოდ, ქალი ხმას არ იღებდა.
ავთანდილი გაგულისდა, „ადგა, თმითა წამოზიდნა,

ტარიელის ამბავს არ მეტყვი, ამავე წამს მოგკლავო“. ქალმა უპასუხა: „ჩალად მჩანს ყოველი სოფელი, მომკლავ და ტანჯვა-წვალებას მომაშორებ. ვიდრე ჩემი თავი მე მაბია, იცოდე, არას გეტყვი, ან როგორ გითხრა, რა ვიცი, ვინა ხარ“. ავთანდილი მწარედ ატირდა, შორს დაჯდა და ცრემლის ფრქვევით თავის საყვარელის თინათინის ამბავის მოთქმა იწყო და თანაც იგი ქალის წინაშე ბოდიშს იხდიდა და ეუბნებოდა: მომიტევე, რომ გაგარისხეო, შემინდევ დანაშაულიო, შენდობა შვიდგზის თქმულაო, მიჯნურს შებრალება უნდაო, მიჯნურს თვით მტერიც შეიბრალებსო, არა თუ მოყვარეო.

აწ, დაო, შენსა ხელსაა ჩემი საბელი ყელისა,
სხუად უღონოა უშენოდ ჩემგან აღპყრობა ხელისა,
რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა.

მიჯნურის ხსენებამ ასმათი მოაღბო, გული აუჩუყდა და ავთანდილს მოახსენა: «სამებარი გიპოვნია. ყმას, რომლის ამბავის შეტყობა გასურს, ტარიელი ჰქვიან, ხოლო მისი თავგარდასავალი ისეთი რთულია და გრძელი, რომ მისი მოთხრობა შეუძლიან მხოლოდ ტარიელს. ვეცდები, გაგაცნო იგი ყმა და მაშინ ყველაფერს შეიტყობ“. ავთანდილს დიდად გაუხარდა. ასმათის რჩევით იგი დაიძალა ერთ გამოქვაბულში, რომ ტარიელის დაბრუნების დროს, მოულოდნელად შეხვედრისა გამო, რამე უბედურება არ დატრიალებულიყო.

ტარიელი მალე დაბრუნდა. ასმათმა იარალი შეჰხსნა და შინ შეიტანა. მისი ცხენიც გამოქვაბულში შეიყვანა. ტარიელს ცეცხლის პირას დაუგო ვეფხის ტყავის ნატები. ტარიელი დაჯდა. იგი ფრიად დაღონებული იყო. სისხლის ცრემლი სდიოდა თვალთაგან, ბოღმა-ვარმისაგან ყელში არ ჩასდიოდა მწვადი, რომელიც ასმათმა მოართვა. ტარიელი იქვე მიწვა, ცოტა მიიძინა, მაგრამ ძილში შეჰკრთა, დიდი დაიზახა, ზეზე წამოვარდა და იწყო წუხილი. ასმათმა უთხრა: „რა არის, რომ ეგრე მარტოკა იარები, გულჩათხრობილი ხარ, არვინ გყავს ამხანაგად, რომ მას გაანდო შენი გულის დარდები, რატომ მეგობარს არ გაიჩენ?“ ტარიელმა უპასუხა „განა ვინ იქნება ისეთი კაცი, რომ წამლად გამომადგეს,

ჩემს ჭირსა და ვარამს ვინ გაუძლებს.“ ასმათმა უთხრა: შემომფიცე, რომ არ მოჰკლავ და მაგისთანა კაცს მე მოგიძებნი. ტარიელმა მიუგო, თუ სამეგობროდ ვისმე მომიყვან, დიდად გავიხარებო, უგემურს არას ვუზამო, არასდროს არ გავამწარებო, ვამებ და შევიყვარებო. ასმათი ადგა, ავთანდილთან მივიდა. ხელი მოჰკიდა მას და მოიყვანა. ტარიელი ადგა და მიეგება ავთანდილს. მათ აკოცეს ერთმანეთსა, ყელი ყელსა გარდააჭდეს, ერთმანეთსა აუტირდეს, ერთგან დასხდეს, დიდხანს იტირეს ცხარე ცრემლითა. ბოლოს ტარიელმა ავთანდილს ჰკითხა: „მიტხარ შენი დაფარული, ვინ ხარ ანუ სით მოსულხარ, სადაური, სით მოსრული?“

– 128 –

ავთანდილმა უამბო, ვინც იყო და ვინც უყვარდა, მოახსენა, თუ როგორ შეხვდენ მას წყლის პირს ნადირობის დროს, რაოდენი ეძებეს იგი და რა მიზეზითა და ვისი თხოვნით შესდგომოდა ტარიელის ძებნას და რაოდენი ხანი დაეყო მინდორველად.

ტარიელს დიდად ესიამოვნა ავთანდილის გაცნობა და შემდეგ უთხრა მას:

ისმენდი, მიეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა, საუბართა და საქმეთა, ვითა ძლივ ვათქმევ ენასა.

ინდოეთის შვიდის სამეფოს თვითმპყრობელ ხელმწიფედ იყო ფარსადანი, უხვი, მდიდარი, ძლიერი, ტანად ლომი, პირად მზე, მეფეთა ზედა მფლობელი. მეშვიდე სამეფოს ხელმწიფე იყო მამა ჩემი სარიდანი, რომელიც ფრიად ერთგული იყო ფარსადანისა. სარიდანს იგი თავის ძმად და მეგობრად სთვლიდა და მისთვის მიეცა ამირბარობა და ამირსპასალარობა მთელის ინდოეთის ლაშქრისა. ფარსადანს შვილი არა ჰყვანდა და მე მიშვილობილა: „ჩემივე გვარი არის, მეფედ გავზრდიო და მერე ინდოეთის ხელმწიფობასაც დავუმტკიცებო“. მასწავლებლად ბრძენი კაცები მომიჩინა. ხუთის წლისა რომ შევიქმენ, მაშინ დაორსულდა დედოფალი, ფარსადანის მეუღლე... და შობა ქალი, ნესტან-დარეჯანი რომელიც მაშინვე მზესა ჰგვანდა. მეფე დიდს სიხარულს მიეცა. მე და ნესტანს ერთად

– 129 –

გვზრდიდნენ. შვიდის წლისა რომ შეიქმნა, ნესტანი გახდა ქალი წყნარი და ცნობილი. მეფემ მას აუგო ტურფა სასახლე და გაუშენა ბაღი და მასში გაუმართა

ვარდის წყლის აუზები საბანლად, სიბრძნის სასწავლებლად მეფემ იგი მიაბარა თავის ქვრივს დას დავარს, რომელიც ქაჯეთს იყო გათხოვილი. დავარსა და ნესტანს ახლდნენ ასმათი და ორნი მონანი. თხუთმეტი წლისა რომ შევიქენ, მამა მომიკვდა. მთელი წელიწადი ბნელს ვიჯექ და ვიგლოვდი მშობელს. წლის დასასრულს ფარსადანმა კაცი გამომიგზავნა და შემომითვალა: „შვილო ტარიელ, ნუ ხარ შავითა ლებული“ ...მიმიწვია სასახლეში, დიდის ზეიმით მიმიღეს, მომეგებნენ მეფე-დედოფალი, გადამკოცნეს, თავისთან-დამსვეს და ჩემი მამის თანამდებობა – ამირბარობა მიბოძეს.

ერთ დღეს მე და მეფე ფარსადანი ნადირობიდგან მოვიდოდით. ხელი დამიჭირა და მითხრა: „შევიართო და ნესტანი ვნახოთო“. წავედით. ბაღსა გავიარეთ, სასახლეს მივუახლოვდით. მე გარეთ დავდეგ, მოფარდაგულს უკან. მეფე პალატში შებრძანდა. ხელში ნანადირევი დურაჯები მეჭირა. ასმათმა ფარდაგი აზიდა. ნესტანი დავინახე. მის დანახვამ გულს ლახვარი მცა... ასმათი მოვიდა და მთხოვა დურაჯნი. მივეც, მაგრამ ნესტანის სიმშვენიერემა და ელვარებამ სიყვარულის ცეცხლი ამიგზო, დავბნდი, თავს ბრუ დამეხვა, და ძირს დავეცი. გონს რომ მოვედი, ვნახე დარბაზში ვარ და ტურფა საგებელში ვწე-

– 130 –

ვარ. გავახილე-რა თვალი, მეფე მომეხვია და მითხრა: „შვილო, შვილო, ცოცხალა ხარ?“ მე ისევ გული წამივიდა და სამს დღემდის უსულო ვიყავ, ცეცხლნი უშრეტნი მწვიდიან. სამი დღის შემდეგ ცნობა მომივიდა. ყველას გაუხარდა. ცოტა მოვჯობინდი. წყლული გული გამირკინე. ცხენზე შევჯექ და ჩემს სახლს მიველ. მეფემ კარამდის მიმაცილა. შინ უფრო ცუდად შევიქენ: გული უფრორე დამიჭრა ათი-ათასმან დანამან.

ასრე ვიტანჯებოდი, როდესაც მოლარე შემოვიდა და მითხრა: „ასმათის მონა გიახლაო“. „რა იცისო, ჰკითხეო, ვუბრძანე“. მონა შემოვიდა და ნესტანის მიერ მოწერილი სააშიკო წიგნი მომცა. წავიკითხე, გამიკვირდა. საპასუხო წიგნი დავსწერე და გავუგზავნე. გავიდა იგი დღე. კიდევ მომივიდა სააშიკო წიგნი. მოვილხინე. მეფეს ვიახელ. გაუხარდა. მანადირა. პურობა გადიხადა. მუტრიბნი და მომღერალნი ამღერა. გასცა მრავალი. შინ დავბრუნდი მხიარული. ნესტანმა მომწერა: – ნუ დაიჩნევ, ლომო, წყლულსა, მე შენი ვარ, ნუ მოჰკვდები, სჯობს საყვარელსა აჩვენო საქმენი საგმირონია. შენგან შენისა ქმრობისა წინასაც ვიყავ მნდომია. წადი, ხატა-

ველთ, ჩვენს მტრებს, შეები, თავი კარგად მაჩვენე...
წავიკითხე-რა ეს წერილი, გული დამიწყნარდა, პი-
რი გამიბროლდა და დაწვი ლალისფერად მექცა.

გახარებულმა დიდხანს აღარ დავაყოვნე. ხატა-
ეთის მეფეს რამაზს შევუთვალე: «დამმორჩილდი, მო-

– 131 –

დი ინდოეთს მეფის კარს, თან მოიყვანე შენნი დი-
დებულნი, თუ არ მოხველ, ჩვენ მოვალთ და შეგა-
სმევთ შენსავე სისხლსა“.

ვიდრე მოციქულნი ხატავეთიდგან დაბრუნდე-
ბოდნენ, მე ვიყავ ჩემს სასახლეში, ვიშვებდი და ვი-
ხარებდი, რადგან ჯიბეში მედო საიმედო წერილი ნეს-
ტანისა. ერთხელ, სადამო ჟამს, ასმათის გამოგზავნი-
ლი კაცი მოვიდა და სასახლეში მიმიწვია. წაველ.
ბაღჩაში დამხვდა ასმათი და მითხრა: „მოდი, ნახე
ვარდი შენი უფრჭკვნელი და დაუმჭკნარი“. შევედ
პალატს. ლალითა და ბადახშით შემკულ ტახტზე
იჯდა ნესტანი, პირითა მზისებრ ელვა მკრთალითა.

მე შემომხედის ლამაზად მის მეღნის ტბისა თვალითა.
დიდხანს ვსდევ და არა მითხრა სიტყვა მისსა მონასურსა.
ოდენ ტკბილად შემომხედის ვითამცა რა შინაურსა.
ასმათ უხმო, მოიუბნეს, ქალი მოსდგა, მითხრა ყურსა:
«აწ წადიო, ვერას გითხრობს“. – მე კვლავ მიმცა აღმან
მურსა.

ძლიერ დავღონდი. წამოველ. ასმათი გამომეცა.
ჩავიარეთ ბაღსა. ასმათმა მითხრა: „ნუ დაღონებულ-
ხარო, გაიხარეო, ნესტანმა იმიტომ ვერა გითხრა-რა,
რომ სირცხვილი აქვს საუბრისა, მერმე თავსა კრძა-
ლავს ლალიო.

შინ დავბრუნდი, მაგრამ ჩემს თვალს ძილი არ
მიჰკარებია. თვალთაგან ცრემლთა ნაკადი მდიოდა,
ლილაზედ ულურჯესი გავხდი.

– 132 –

ამასობაში ხატავეთს წასული მოციქულები მო-
ვიდნენ. რამაზს შემოეთვალა: „როგორ გაბედე, რომ
მეფეს, რომელიც ვპატრონობ მრავალს ერს, მანდ
მოსვლას მავალეზო“. მეც ამის მდომი ვიყავი.
აღვმართე დროშა, ვიწვიე ლაშქარი, გამოვეთხოვე ნეს-
ტან-დარეჯანს და მივმართე ხატავეთს. რომ მივუახ-
ლოვდით ამ სამეფოს, მომეგებნენ მოციქულნი რამაზ
მეფისა, რომელიც შენდობას ითხოვდა. მაგრამ რა-
მაზს გავუგეთ ცბიერობა. მას სულაც არა სწადდა ჩვე-
ნი მორჩილობა. სამასი კაცი წავიყვანე და წინ წა-
ველ, ხოლო დანარჩენ ლაშქარს ვუბრძანე ფეხდაფეხ,

მოგვეყოლოდა. რა ჩემი მცირე რაზმი იხილეს, მოგვესივნენ. შეიქმნა ომი სასტიკი. რამაზი საშინლად დავამარცხეთ, დავიმორჩილეთ მისი სამეფო და დავბრუნდით დიდის დიდებით. წამოვიღეთ მრავალი სასუნჯე, ტყვეთ წამოვიყვანეთ ხატაველნი და თვით რამაზ მეფეც და მოვედით ინდოეთს. მეფე ფარსადან გამოგვეგება და დიდის დიდებით მიგვიღო, გამარჯვება მოგვილოცა. მეორე დღეს მეფე გამობრძანდა მოედანსა, ინახულა ყველა ტყვენი და აგრეთვე რამაზ მეფეც, რომელსაც უწყალობა მრავალი საბოძგარი და მისსავე სამეფოს განუტევა.

ამის შემდეგ ინდოეთის დედა-ქალაქში გაიმართა დიდი შვება-ლხენა. ჯერ დილითვე მეფემ სანადიროთ წამიყვანა. მოვინადირეთ მინდორი, ძირი მთისა და გორისა. დავბრუნდით. ჩემთა მჭვრეტელთა მოეცვა ქალაქი, შუკა და ბანი, ომ-გარდახდილსა მშვე-

– 133 –

ნოდეს ენიანი კაბანი, რიდენი, რომე მეშოვნეს ქალაქსა ხატაველთასა, იგი მეხვივნეს, მშვენოდეს. დარბაზს შევედით. შევხედე ნესტანს, დავკრთი ელვასა ღაწვსა ნათელთასა. ნესტანს ემოსა ნარინჯის ფერნი ჯუბანი, სრულად ნათლითა აევსო სახლი, შუკა და უბანი. დედოფალი ადგა, მომეგება, გარდამკოცნა. ახლოს დამისვეს. პირისპირ მიჯდა ნესტანი, მალვით ვუჭვრეტდი, მიჭვრეტდა, სხვას არას მეუბნებოდა. შეიქმნა დიდი სმა-პურობა, მღერა მგოსანთა. ძილისპირამდის სიხარული იყო. მიბოძეს ორი საჭურჭლე. გავიყარენით. შინ წაველ. იმავე საღამოს ნესტანმა გამომიგზავნა სამკლავე და მის მაგიერ ჩემგან ითხოვა ხატავეთიდგან მოტანილი რიდე. სიხარულით გავუგზავნე.

მეორე დღეს დილით მეფემ დამიბარა. ვიახელ. მეფემა და დედოფალმა სკამზე დამსვეს. მეფემ ბრძანა: «ვაჟიშვილი არა გვყავს. ჩვენის ქალისთვის ქმარი გვინდა, რომ მას მივსცეთ ტახტი ჩვენი. ხვარაზმშა თუ მოგვეცემს შვილსა საჩვენოდ, მისებრივ არ რომელია“. სჩანდა, რომ მათ წინათვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ეს საქმე. ჩემგან დაშლა აღარ იქნებოდა. მე სრულიად დავმიწდი. გული ჩემი მიდამო ჰკრთებოდა.

გაუგზავნეს მოციქული ხვარაზმშას. იგი დიდის სიხარულით დასთანხმდა და შვილი გამოისტუმრა ინდოეთს ნესტან-დარეჯანის საქმროდ. დიდად ვწუხდი და უფრო მეტად ნესტან-დარეჯანი, რომელმაც შე-

– 134 –

იტყო თუ არა ხვარაზმშას შვილი მოდისო, მიმიწვია,
სასახლეში. ვიახელ და ვნახე,

ქვე წვა, ვით კლდისა ნაპირსა ვეფხი პირგამეხებული,
გრემლისა ღვარსა მოეცვა პირი ელვათა მკროთომელი.
დამსვა შორს,
მერმე წამოჯდა წარბშერქმით, გამწყრალი, გარისხებული,

და მიბრძანა: „მიკვირს, რად მოხველ მშლელი პირისა მტკიცისა, გამწირავი და მუხთალი, გამტეხელი ფიცისა! შენ არ იცი ხვარაზმშასი საქმროდ ჩემად მოყვანება?! შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება, შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება!“ მოვახსენე „მე თუ, მზეო, შენთვის ფიცი გამეტეხოს, ღმერთმან აწვე რისხვა მისი ზეცით ჩემთვის გაამეხოს. მე მეფეთა დარბაზს მიხმეს, შეჰქმნეს დიდი ვაზირობა, მათ წინასვე დაეპირათ იმა ყრმისა შენი ქმრობა; დამეშალა, ვერ დავშლიდი, თავსა ვუთხარ, მიემოწმე, ჟამად გიჯობს გულმაგრობა“. მიბრძანა: „არ დავიჯერებ შენს ღალატს, ორგულობას. მე შენი ვარ, ხელმწიფედ დავსხდეთ, ყველას ჩვენი სიძე-სძლობა სჯობს“. ღმობიერად მიმიტკბა გამწყრალი, გამქისებული, ახლოს დამისვა, დამიტკბა და მითხრა: „თუ სასიძო არ შემოუშვი, მეფე გაგიწყრება, წაიკიდებით და ინდოეთი წახდება, ხოლო თუ შემოუშვი, შემირთავს, ერთმანეთს გავყვებით, სპარსნი გაგვიხასდებიან“. მე ვკადრე: „ღმერთმა აშოროს მას შენი ქმრობა. იმასაც ვნა-

– 135 –

ხავთ, თუ როგორ შემოვა იგი ინდოეთს, მე ვუჩვენებ მას ჩემს ძალგულობას, ამოვხოცავ სპარსელებს“. ქალმა მირჩია, მრავალთა სისხლს ნუ დააქცევო, მხოლოდ სასიძოს მიეპარე და მოჰკალ, და მერე მამაჩემს მოახსენე სპარსთა ვერ ვიქმ, თქო, ინდოეთისა ჭამასა.

სასიძო მოვიდა. მეფის ბრძანებით მივეგებე მას, მოედანს დავუდგი კარვები წითლისა ატლასისა. სასიძო ამ კარვებში დაბინავდა. ჯარიც დადგა დასდასად, თემთემად. შინ დავბრუნდი. ასსა მონას ვუბრძანე: „საომრად დაემზადენით“. შევსხედით ცხენებზე, გავვლეთ ქალაქი, არავის გავეცხადენით. კარავსა შეველ, სასიძო უსისხლოდ მოვკალ: ყრმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე. ცხენსა შევჯე და წამოველ. ხმა დამივარდა. შეიქმნა ძახილი. წევნა დამიწყეს. დავხოცენ ჩემი მდევარი. ქალაქი მქონდა მაგარი, მუნ შიგან შეველ მშვიდობით. ლაშქარს ვაცნობე: „ვინც ჩემი ერთგული ხართ, აქ მომმართეთ“. მეორე დღეს მეფემ სამი კაცის პირით შემო-

მითვალა: „თუ ჩემი ქალი გინდოდა, რატომ არ შემატყობინე და შენს გამზრდელს რათ გამიშხამე სიცოცხლე“. შევუთვალე: „ინდოეთის სამეფო მეტად დიდია. ყველანი ამოწყდნენ, მამული თქვენ დავრჩენიათ, მემკვიდრე მე ვარ, ინდოეთის ტახტი მე მეკუთვნის, ინდოეთი ჩემი არის, თუ გინდა, ქალი შენი გაათხოვე, ვიდრე ხმალი მარტყია, ვინ- გაბედავს ხელმწაფედ დაჯდეს ინდოეთს?“

– 136 –

მოგზავნილმა კაცებმა ეს პასუხი წაიღეს. მე კი გალავანზე გადმოვდეგ და მინდვრასაკენ ჰქვრეტა ვიწყე. დავინახე ჩემსკენ მომავალი სამი კაცი და მათ შორის თავგაწეწილი ასმათი. მოვიდნენ, მივეგებე და გონება გაშმაგებულმა ვკითხე ასმათს: რა ყოფაშია ჩვენი საქმე? ასმათი, ატირდა და მიპასუხა: „მეფემ, შეიტყო-რა ყოველივე შენ მიერ ქმნილი, გარისხდა და ბრძანა, ჩემს დას დავარს მოვკლავ, მე მას ქალი ჩავაბარე რომ საღვთო საქმეები ესწავლებინა, იმას კი იგი ეშმაკურს ბადეში გაუბამს და ტარიელის მიჯნურობა შთაუნერგავს მის გულშიო. დავარმა მისი მოკვლის ამბავი რომ სცნო, მიჰვარდა ნესტანს, ჯერ ტუქსვა დაუწყო და მერე ცემა:

ხელი მიჰყო, წამოჰზიდნა, თმანი გრძელნი დაუფუშნა.
დაალება, დაალურჯა, მედგრად პირნი მოიქუშნა.

და ორს მონას უბრძანა, კიდობანში ჩაესვათ ნესტანი და ქაჯეთს წაეყვანათ. მათაც ჩასვეს კიდობანში, წაიღეს, წავიდნენ, ზღვას მიჰმართეს. ხოლო თვით დავარმა სთქვა, ვიდრე მეფე მოვიდოდეს და მომკლავდეს, მე თვითონ მოვიკლავ ჩემს თავსაო. გამწარებული სიცოცხლე აღარ მინდაო. სთქვა და დანა დაიცა და მოკვდა. მე შენკენ გამოვიქე, რომ ყოველი ქმნილი მეცნობებინა.“

გავშმაგდი. თავზარი დამეცა. ცხრო და თრთოლა მომივიდა. სრულიად გავქვავდი, შემექნა გული ვითა სალია. იმავწამს გავიჭერ ნესტანის საძებრად.

– 137 –

ას სამოცი კარგი მოყმე და ასმათი თან წამომყვნენ, ზღვამდის მივაწიეთ, ნავით ზღვა გადავიარეთ, ყველა მიმავალ-მომავალი ნავები ვნახეთ. ოცი თვე ასე ვიარეთ, ნესტანის ამბავი კი ვერ შემიტყეთ. ამასობაში ყველა მხლებელნი, გარდა ასმათისა და ორის მონისა, სულ ამომიწყდნენ. ზღვა-ზღვა ცურვა მომეწყინა, ისევ ზღვის პირას გამოველ, გაშმაგებული უფრო გავშმაგდი

ტირილი მიწნდის ლხინად და მდინდიან ცრემლთა ფონანი.

ზღვის პირპირ მოვიდოდით, დავინახეთ ბაღჩანი, კლდიანი ადგილი, რომელიც ქალაქს ჰგვანდა. ხის ქვეშ ჩამოვხდით. მე იქვე მივიძინე. ჩემმა მონებმა პური სჭამეს. რა გავიღვიძე, მესმა ვიღაცის ძახილი, ყვირილი: მტერთა ექადდა, წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა. ფიცხლავ ცხენზე შევჯე, ჩავეგებე, ვკითხე; „რა გიჭირს, შენი ამბავი მითხარ?“ შემომხედა, მოვეწონე. იგი დაჭრილი, დაკოდილიყო. ერთი ჩემი მონათაგანი დოსტაქარი იყო. ამან წყლული შეუხვია. მერმე კვლავ ვკითხე: „ვინ ხარ?“ მითხრა: „ნურადინ-ფრიდონ მქვიანო, მეფე ვარ მულლაზანზარის, ეს საზღვარი, სადაც თქვენ ეხლა იმყოფებით, ჩემია, ცოტა მაქვს, მაგრამ ყოველგან სიკეთე მიუწოდომელი. მე და ჩემს ბიძაშვილს სადაოდ გვაქვს სანადირო ადგილი. დღეს გამოველ ზღვის პირს, ვინადირე. ბიძა და მისნი ძენი დიდის ლაშქრით თავს დაგვესხნენ, მრავალი მოყმე მომიკლეს, მეც დამჭრეს, ჩემს

– 138 –

შეპყრობას სცდილობდენ. ვიბრძოდი ძლიერად, ვიდრე ხმალი არ გამიტყდებოდა. მერე ცხენს მოვახტი და გამოვწიე. მაგრამ იცოდე, ჩემს სისხლს არ შევარჩენ მათ, ოხრად გავუხდი ყოფასა, ყვავსა და ყორანს შევაჭმევ მათ.“

მე ვუთხარ, მეც გიშველიო. მან მიპასუხა: „სიკვდილამდის მე შენი ერთგული ვიქმნებიო.“ და თავის ქალაქს მიმიწვია. ნურადინ-ფრიდონი რომ მოსჯობინდა, კარს მივადექით მის ბიძას, ამოვუხოცეთ ლაშქარი, დავიპყარით მთელი მისი სამეფო და თვით ბიძა-ძენიც დავატყვევეთ. ამის შემდეგ ლაშქარნი ფრიდონს მეფედ უწოდებდენ, ხოლო მე კი მეფეთ მეფეს. მაგრამ მე არ მახარებდა ესრეთი დიდება. გულს მიკლავდა კაეშანი და დაღრეჯით ვიყავ.

ერთს დღეს მე და ფრიდონ სანადიროთ გამოველით და ზღვასა ზედა წაწურვილსა ქედსა რასმე გარდავადექით. ფრიდონმა მითხრა: „ერთხელ ამ ქედზე ვიყავით და საკვირველი რამ ვნახეთ. შორს ზღვაში გამოჩნდა რაღაცა, რომელიც სწრაფად მოცურავდა. ჯერ ზღვის ფრინველს მივამსგავსე, მაგრამ იგი რომ მოგვიახლოვდა ცხადად გავარჩიეთ ნავი იყო, შიგ კიდობანი იდო და მასში მთვარესავით გაბადრული ქალი იჯდა. ნავი მოადგა ნაპირს, ორნი შავნი მონანი გადმოხტნენ და იგი ქალი გადმოსვეს, „მან განანათლა ქვეყანა, გაცუდდეს შუქნი მზისანი.“ ცხენი გავქუსლე, მსურდა მათი შეპყრობა, მაგრამ ვერ

– 139 –

მიუხსნარ, ჩემს მისვლამდე იგინი ისევ ნავში ჩასხდნენ და ნაპირს განშორდნენ".

ფრიდონის სიტყვამ დაჭრილი გული კვლავ დამიჭრა, ცეცხლი მომედო, ცხენიდგან გარდმოვიქერ, წუხილი ვიწყე. ფრიდონს გაუკვირდა და მიზეზი მკითხა. ვუამბე ყოველივე. იგი ფრიად შეწუხდა და მითხრა: „ჩემი ქალაქი მეზომირია ქვეყნის ოთხისავე კუთხისა. აქ დარჩი და იქნება ღმერთმა გვიშველოს და შენი მიჯნურის ამბავი შევიტყოთ.“ ფრიდონმა გაგზავნა მენავენი და უცნაურ ნავ-კიდობნით მოცურავენი აძებნინა, მაგრამ მენავეთ ვერა შეიტყეს-რა. მე ძალიან დავლონდი. ფრიდონს, რომელმაც მიბოძა ეს ჩემი შავი ტაიჭი, გამოვეთხოვე და წამოველ. კვლავ ვიარე ბევრი, ვძებნე ყველგან – ხმელეთზედაცა და ზღვაზედაც – , მაგრამ ვერსად ვერაფერი გავიგე. გული სრულიად გამიმშაგდა, მხეცს დავემგზავსე და მხეცებთან ერთად ცხოვრება ვარჩიე. ვპოვე ეს უკაცურნი ქვაბნი, რომელშიაც დევნი სახლობდნენ, შევები მათ. დევებმა მონები ამომიწყვიტეს და მეც იგინი ამოვხოცე. მას აქეთ აქა ვარ, აქა ვკვდები, ხან მინდორს გავიჭრები, ხან ვსტირი და ზოგჯერ ვზნდები. ვეფხის ტყავის კაბას ტანიდგან არ ვიშორებ, ამად რომ ვეფხი შევნიერი ნესტანის სახედ დამისახავს. ნესტან-დარეჯანის სახე ჩემს გონებას აღარ შორდება, ვარ ამ ყოფაში და სიკვდილს მოველი.

ტარიელმა დაასრულა თავისი თავგარდასავალის

– 140 –

მოთხრობა და სიმწარისაგან თავპირს მჯიღი შემოიკრა, ქარვასავით გაყვითლდა. ავთანდილს შეეცოდა და თვალთაგან ცრემლის ნაკადული წამოჰსქდა. ასმათმა ტარიელი დაამშვიდა. ღელვაგადაყრილ ტარიელმა ავთანდილს ურჩია დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო თავის ქვეყანაში და ენახა თვისი მიჯნური თინათინი. ავთანდილმა უთხრა, წავალო, ხოლო ვნახავ-რა ჩემს მიჯნურს, ისევ დავბრუნდები, მოვალ შენთან და ერთად ვძებნოთ შენი საყვარელი ნესტან-დარეჯანიო. ტარიელი დასთანხმდა.

იმ ღამეს ავთანდილი ტარიელთან დარჩა და მეორე დღეს როსტევან მეფის სამეფოს არაბეთისაკენ გამოემურა.

ავთანდილმა მოაწია იმ ციხემდე, საცა, სამის წლის წინად, დასტოვა შერმადინი და ლაშქარი. მცირე ხნის შემდეგ ავთანდილი აქედგან აიყარა და დიდის დიდებით სატახტო ქალაქს მიაშურა. მეფისათვის ამ ამბის სახარებლად წარგზავნილ იქმნა შერ-

მადინი. სასახლეში შეიქმნა დიდი სიხარული. დედო-
ფალმა მრავალი საბოძვარი უბოძა მახარებელს შერ-
მადინს. მეფე დიდის დიდებით გამოეგება ავთანდილს
და მიიწვია სასახლეში. ავთანდილმა მეფეს უამბო
ტარიელის ამბავი. თინათინი აღტაცებული იყო თვი-
სის საყვარლის ლომგულობით. ავთანდილმა თინა-
თინი რომ ინახულა, გაუმჟღავნა მას, თუ რა პირო-
ბა მიეცა ტარიელისათვის. თინათინი არათუ არ შე-

– 141 –

იქმნა ავთანდილის დაბრუნების წინააღმდეგი, პირი-
ქით, იგი თვითონვე აქეზებდა მას და ეუბნებოდა:

შენ არ გატება კარგი გჭირს ზენაარისა ფიცისა.

მეფის ნება დაურთველად ავთანდილის დაბრუ-
ნება არ შეიძლებოდა. ვეზირის სოგრატის პირით
ავთანდილმა მოახსენა მეფეს, ჩემი წაუსვლელობა არ
იქნებაო, ფიცი მიმიცია და ამ ფიცს ვერ გავტებო,
თუ ნებას არ დამრთავ, იძულებული ვიქმნები უდას-
ტუროდ წავიდეო. მეფემ არა თუ არ შეიწყნარა
ავთანდილის ხვეწნა, არამედ კინაღამ სოგრატს თავ-
პირი არ დააღწია, როგორ გაბედე და მაგ თხოვნით
მომმართეო, მე უავთანდილოდ როგორ გავძლებო.
მაგრამ ავთანდილს როგორ შეეძლო ძმად გაფი-
ცულისათვის ელალატნა და ფიცი გაეტება! ყოველი-
ფერი, რაც ებადა, შერმადინს ჩააბარა და გაემგზავრა,
ხოლო წასვლის წინად იმავე შერმადინს დაუტოვა
ანდერძი მეფისათვის გადასაცემად. ამ ანდერძში, სხვა-
თა შორის, ეწერა:

მაქვს საქონელი ურიცხვი ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები.
შენ გაამდიდრე ყოველი ობოლი, არას მქონები:
მიღვეწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

ამას გარდა იგი კიდევ სწერდა მეფეს: „გევედ-
რები, მეფეო, შერმადინს წყალობით ნუგეშინის-
სცეთ; ჩემო გამზრდელი, მოგშორდი, წაველ გახე-

– 142 –

ლებული გულითა, ნუ სჭმუნავთ ჩემთვის მეფენი,
სუფევეითმცა ხართ!“

ავთანდილის გაპარვის ამბავმა დიდად დაანაღვ-
ლიანა როსტევან მეფე და არათუ მარტო როსტევა-
ნი, არამედ მთელი სამეფოც. მაგრამ რაღა გაეწყო-
ბოდა, წასულს ვილა დააბრუნებდა. მეფემ ბრძანა

ვამლოცველნეთ დავრდომილნი, ობოლი და ქვრივნი
სხვანი,

შევეწივნეთ, მშვიდობისა ნუ თუ მისცეს ღმერთმან გზანი!

ავთანდილს ტარიელი გამოქვაბულში აღარ დახვდა. ასმათმა უთხრა, რომ შენი წასვლის შემდეგ ტარიელი უფრო დაღვრემილი შეიქმნაო, სულ გარეთ იმყოფება და იშვიათად შინ შემობრუნდება ხოლმეო. ავთანდილმა ბევრი ეძებდა თავისი ძმად გაფიცული და ბოლოს ერთ შამბნარში თვალი მოჰკრა მისს ტაიჭს. მივიდა და თვალწინ წარმოუდგა შემდეგი სურათი: ტარიელი იდვა მიწაზე გაშოტილი და მის აქეთ-იქით ეყარა დახოცილი ლომისა და ვეფხის ლეშები. ტარიელს გული წასვლოდა. ავთანდილი შეეცადა გონს მოეყვანა ტარიელი. იგი მალე მოჯობინდა. მეგობრის დანახვა იამა. ავთანდილმა სთხოვა შინ წავიდეთო. შესხდნენ ცხენებზე და წავიდნენ. გზადაგზა ტარიელმა თავის მეგობარს უამბო მოკლულ ლომისა და ვეფხის ამბავი. „ეს მხეცები ჯერ ერთმანეთს ეალერსებოდნენ; მე მეგონა, რომ მათი ალერსი სამიჯნურო ალერსი იყო, მაგრამ მოვტყუე-

– 143 –

დი. ლომი უცბად ეცა ვეფხს და თავისი კლანჭები გაუყარა. აღარ დავაყოვნე და ლომი მოვკალ. მერე ვეფხი შევიპყარ და კოცნა დავუწყე, ხოლო მან ღრენა მორთო და ბრჭყალით მაწყენინა, რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დავამშვიდე, გავგულისდდი, მოვიქნივე, ვკარ მიწასა, დავაწყვიტე: მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდე“.

ავთანდილმა ტარიელი მიიყვანა გამოქვაბულში და თითონ მარტოდ მარტო წავიდა ნესტან-დარეჯანის სამებრად. მიჰმართა ფრიდონის სამეფოს, რომლის გზა ტარიელმა ასწავლა.

გზა-და-გზა ავთანდილი იგონებდა თავის საყვარელს თინათინს, მას ადარებდა მზესა და სხვა-და-სხვა მნათობებს, ტკბილად მიიმღეროდა, თუმცა თვალთაგან ცრემლთა ნაკადული განუწყვეტლივ სდიოდა, მის მღერას სმენად გადაექცია არა თუ მხეცნი, არამედ ქვანიც:

რა ესოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან.
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ასტირდიან.
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან.

ამ ყოფით იარა ავთანდილმა 70 დღე და მიადგა ზღვის პირს, საცა შეხვდა მენავენი. იკითხა, ვინ ხართო და ეს სამეფო ვისიაო? მოახსენეს, აქ ნურადინ-ფრიდონი მეფობსო. მის სატახტო ქალაქის მულაზანზარის გზა ეს არისო (უჩვენეს იქით მიმავალი

გზა). მადლობა უთხრა მენავეთ და თვითონ მულღა-
ზანზარის გზას დაადგა. იარა ათი დღე და მიეახლა
ქალაქს. იქ ნახა დიდი ლაშქარი, რომელიც ნადი-
რობდა. შემოხვდა ერთი კაცი და მას ჰკითხა, რა
ამბავია, ვისია ეს ლაშქარი? მან მოახსენა, ფრი-
დონ მეფე ნადირობსო. ამ დროს გამოჩნდა ორბი,
რომელიც მონადირეთა ზე-მალლა მიფრინავდა ავ-
თანდილმა ცხენდაცხენ შესტყორცა ისარი და ჩა-
მოაგდო ორბი. ჩამოვარდნილ ორბს დასწვდა, აიღო
და ისევ გზა განაგრძო. ლაშქარი შემოეხვია და ჰკი-
თხა, ვინ ხარო? ფრიდონმა გაიგო თუ არა ვიღაც
უცხო ყმა მოდისო, შეჯდა ცხენზე და მიეგება. ტა-
რიელის მეგობარი მეგობრულად მოიკითხა და სასა-
ხლემი მიიწვია. ავთანდილმა უამბო თავისი და ტა-
რიელის ამბავი. ფრიდონმა დიდი პურობა გადუხადა
და მერე, ავთანდილის თხოვნისამებრ, წაიყვანა იგი
იმ ადგილას, საცა ენახა უცხო ქალი და ორი მო-
ნა ნავ-კიდობნით. აქ ძმად გაფიცულნი ფრიდონ და
ავთანდილ ერთმანეთს გამოეთხოვნენ. ფრიდონი შინ
დაბრუნდა, ხოლო ავთანდილ ნესტანის სამებრად წა-
ვიდა. მას გაჰყვა აგრეთვე ოთხი მონა ფრიდონისა.
ბევრი იარა, ბევრი სძებნა და ბოლოს შეხვდენ ბალ-
დადელი მოქარავენები, რომელნიც ზღვის პირს იდ-
გნენ. ავთანდილმა იკითხა მათი აქ დგომის მიზეზი.
მოქარავენეთა უფროსმა უსამმა მოახსენა, ეგვიპტით
მოვიდოდითო, ზღვაში რომ შემოვედით, მეკობრენი
დაგვიხვდნენ, გაგვძარცვეს და სახნისის ძელით და-

გვიშინესო და მათის შიშით აქ თავი შემოვაფარე-
თო. ავთანდილმა უთხრა მათ: „ნუ გეშინიანთ, მე გადა-
გარჩენთ მეკობრეთაგან და სამშვიდობოს გაგიყვანთ“.
ჩასხდნენ ნავში და შესცურეს ზღვაში. გაიარეს კარ-
გი მანძილი. მეკობრეთა ნავი გამოჩნდა და გამოექა-
ნა მათკენ. მეკობრენი ყიოდნენ, მოქარავენეთა გა-
წყვეტას იმუქრებოდნენ. მეკობრეთა ნავი მოუა-
ხლოვდათ. ავთანდილი გადუხტა მტრებს და დალე-
წა იგინი, ვინც გადურჩა, იგინიც იხვეწებოდნენ, ნუ
დაგვხოც, შენსა სჯულსაო. დაიმორჩილა და დაი-
მონა იგინი, მათი ნავები მოქარავენეთა ნავებს შეა-
ტყუბა. მოქარავენეთა სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონ-
და. ავთანდილს ულოცავდნენ გამარჯვებას, ჰლო-
ცავდნენ, აკოცებდნენ თავსა, პირსა, ფერხთა, ხელსა.
მეკობრეთ ჰქონდათ დიდი საუნჯე. ავთანდილმა ყო-
ველივე ეს ვაჭრებს აჩუქა, თვითონ ვაჭრული ტანი-

სამოსი ჩაიცვა და მოქარავნეთა სთხოვა, ჩემს ვინაობას ნუ გაამჟღავნებთო, ხოლო სთქვით, ჩვენი თავადიაო. გადასცურეს ზღვა და მის ნაპირას ნახეს ქალაქი. ავთანდილმა შეიტყო, რომ ამ ქალაქს გულანშარო ერქვა და ქვეყანა „ზღვის სამეფო“ იყო. ის ნაპირი და ბაღჩა, საცა მენავეები დგებოდნენ, ეკუთვნოდა ვაჭართა უფროსს უსენს. ეს უსენი შინ არ დახვდათ და მის მაგიერ ავთანდილი მიიღო მისმა მეუღლემ ფატმანმა. ეს დედაკაცი ძლიერ დაუმეგობრდა ავთანდილს, შეიყვარა იგი. ფატმანს გადაემტერა მისი ძველი საყვარელი ჩაჩნაგირი, რომელიც და-

– 146 –

ემუქრა ამ დედაკაცს შენსავე შვილებს შენისავე კბილით დაგაჭმევო. ფატმანმა თვისი ბოროტი მტერი ჩაჩნაგირი და ორი მისი მონა ავთანდილს მოაკვლევინა და მერე უამბო მას შემდეგი ამბავი:

ჩვენი დიდი დღესასწაული ნავროზობა იყო. ჩვენს ბაღში მოწვეული მყვანდა დიდ ვაჭართა ცოლები სალხინოდ. ლხინის შემდეგ სტუმრები წავიდნამოვიდნენ და მე ისევ ბაღში დავსეირობდი. უცბად ზღვაში რაღაცა გამოჩნდა. ნაპირს რომ გამოსცურა, ნავი აღმოჩნდა. იქიდგან ორი მონა გადმოხტა და ერთი მშვენიერი ქალი ნაპირას გადმოსვეს. მისმა ელვარებამ იქაურობა გაანათა. ოთხი მონა ჩავგზავნე, მათ შეიპყრეს იგი ქალი და მე მომგვარეს. შინ წავიყვანე და გამოვკითხე მისი ამბავი. მან მითხრა, ჩემი ამბავი დიდი ზღაპარიაო და რათ გინდა მისი მოსმენაო. ამის მეტი არა მითხრა. სახლი მოვუკმაზე, შიგ დავსვი და ერთი ზანგი მას ვამსახურე. იგი ტიროდა, ცრემლს აფრქვევდა. დიდხანს ვმალე და ბოლოს მისი აქ ყოფნა ჩემს ქმარს შევატყობინე. რა ნახა მან იგი ქალი, გაჰკვირდა.

უსენ გაჰკვირდა გაცაჰკრთა, რა შუქნი ჰნახა მზისანი;
სთქვა: „რა მიჩვენე, რა ვნახე, რანია ნეტარ რისანი?
თუ ხორციელი არისმცა, თვალნიმცა მრისხვენ ღვთისანი!

ერთს დღეს უსენი ეახლა ჩვენს მეფეს და დიდი ძღვენი მიართვა. მეფემ მოიკითხა იგი, მადლობა უთხრა და თავისთან დასვა სანადიმოდ. კარგა რომ

– 147 –

სვეს, ჭამეს, ილხინეს, უსენმა, დამთვრალმა და ჭკუა გამოლეულმა, მეფეს მოახსენა, რომ თქვენდა სასძლოდ, თქვენის შვილის შესართავად მყავს უცხო და უუღლამაზესი ქალიო. მეფემ გამოგზავნა მონათა უხუცესი და მასთან კიდევ სამოცი კაცი ქალის წა-

საყვანად. მე სრულიად დავმიწდი, თავზე ცანი და-
მატყედეს, ვინაიდგან ქალისათვის ფიცით აღმეთქვა,
არ გაგამხელო. რაღას ვიზამდი. ავდეგ, შეველ ქალ-
თან და მოვახსენე: „შემასმინეს, მეფე გითხოვს, ვარ
ამისთვის გულ-მოკლულად“. იმან- მითხრა: დაო,

ბედი უბედო ჩემზედა მიწყვი ავისა მქნელია;
კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რასაკვირველია!
სხვა და სხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია, ძველია.

მერე ადგა გულუშიშრად იგი ვეფხი ანუ გმი-
რი, მოიბურა ტანი, პირი; ავიღე თვალი და მარგა-
ლიტი, რომელთაგან თვითო-თვითო თვითოსა ქა-
ლაქსა ეფასებოდა, მივე და მივუძღვენ მას და ვუთ-
ხარ, ეს ძვირფასეული სადმე დაგპირდება, მოგეხმა-
რებაო, მერე იგი გამოვიყვანე სახლიდგან. მეფის მო-
ნებმა წაიყვანეს

სცნა მეფემან, მოეგება, ჰკრეს ტაბლაცსა, გაჰხდა ზარი.
იგი მივა თავმოდრეკით, წყნარი, არას მოუბარი.

მეფემან გვერდსა დაისვა, ეუბნა ტკბილითა საუბა-
რითა ქალმა პასუხი არ გასცა. ამ ხელმწიფეს კარ-

– 148 –

გი შვილი ჰყვანდა. იგი ახლა შინ არ იყო, სალაშ-
ქროდ იყო წასული. მეფემა ბრძან:

ღმერთმან ჰქმნას, შინა მოვიდეს მე ჩემი გამარჯვებული,
მე დავახვედრო ისი მზე და მისთვის დამზადებული.

მერე მოიტანეს შესამოსელი, ძვირფას თვლებით შემ-
კული, და ჩააცვეს, დაადგეს თავსა გვირგვინი ერ-
თობილისა ლალისა, მოუკაზმეს საწოლი უფლის-წუ-
ლისა, დაუდგეს ოქროს ტახტი და ზედ დასვეს იგი
მზე. მეფემ მცველად ქალისა დაადგინა ცხრა ხადუმი,
ხოლო თვითონ კი ისევ ნადიმად დაჯდა, უსენს
უბოძა მრავალი ძღვენი. ნადიმობა გააგრძელეს, სმა
შეიქმნა მეტად გრძელი. სცემდენ ბუკსა და ტაბ-
ლაცსა მოსამატებლად ზარისა.

იგინი რომ ნადიმობდნენ, ქალმა მიიწვია ხადუ-
მები და უთხრა: მე თავს მოვიკლავ და თქვენი მე-
ფის რძალი კი არ შევიქმნები. გირჩევთ, ჩემგან სა-
ბოძვრად ეს ძვირფასი თვლები მიიღოთ და მე
განმათავისუფლოთ. მათ ეგრე ჰქმნეს. ქალი ჩემ-
თან გამოიქცა. მისი დამალვა აღარ შეიძლებოდა.
ცხენი შევუკაზმე, ზედ შევსვი და იგი გამშორდა.
სასახლის კაცები მოცვიდნენ, სახლი გამიჩხრიკეს
და, რომ ვერა იპოვნეს-რა, უკანვე დაბრუნდნენ.

მეფე ფრიად დაღონდა. ჩემგან წასული ნესტან-დარეჯანი, როგორც შემდეგ შევიტყე შეეპყროთ ქაჯებს და წაეყვანათ ქაჯეთის სამთავროს. იქ ახლა მეფობს დულარდუხტი და მას იგი ქალი თავის ძმისწულის

– 149 –

როსანის საცოლედ დაუნიშნავს. ხოლო ქაჯთა ქალაქი მტერთაგან უძლეველია. იმ ქალაქში არის მაგარი, მაღალი და გრძელი კლდე, კლდესა აქვს ასაძრომელი გვირაბი, რომლის თავს კოშკია. ამ კოშკში მარტოდ მარტო იმყოფება იგი მნათობი – ნესტან დარეჯანი. გვირაბის კარს იცავს ათიათასიი ჭაბუკი, ხოლო ქალაქის სამთავე კარებს უდარაჯებს სამიათას სამიათასი მეომარი.

ავთანდილის თხოვნით ფატმანმა წერილი დასწერა, გრძნულს გაატანა და ნესტან დარეჯანს შეუთვალა, შენი ამბავი გვაცნობე, ტარიელის მეგობარი ჩემთან არის, შენ დაგემებსო. ნესტანმა მოსწერა, მე ცოცხალი ვარო, მაგრამ ჩემი აქედგან დახსნა ყოვლად შეუძლებელიაო, მაგარს კოშკში ვიმყოფები და მრავალი ლაშქარი მდარაჯობსო. მოგეწერა, რამე ნიშანი გამოგვიგზავნეო და აი წიგნთან ერთად გიგზავნი ნაკვეთს იმ რიდისას, რომელიც ტარიელმა მომიძღვნა. ამასთანავე ნესტანს გამოეგზავნა სხვა წერილიც თავის საყვარლის ტარიელისთვის გადასაცემად. მასში იგი, სხვათა შორის, სწერდა: „საყვარელო, ტანი კალმად მაქვს და კალამი ნაღველთა ამონაწები! ცოცხალი არ მეგონე, შენი სიცოცხლე მეყოფის, მომიგონებდე, გახსოვდე შენი ერთგული, სხვა რა მოგწერო, ენა დაშვრების, ჩემი ამბავი არვისგან დაიჯერების:

ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან;
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედან დგებიან,

– 150 –

დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან.
მათთა შემბრძოლთა დაჰხოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.

ამათ სხვა მებრძოლთ ნუ დაადარებო, ნუ მოხვალ, ნუ შეებმი, თორემ მოგვკლენ, მკვდარსა გნახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა; მოგშორდი დადამთმე კლდეზედაც უმაგრეს გულითა. ვინც უნდა მოისურვოს, შენს მთვარეს ვერავინ დამიპატრონდება, თუ გინდ მოვიდეს სამი მზე: აქ დიდი კლდეებია და თავს ზედ გარდვიჩეხავ. ღმერთს შეევედრე ჩემის სულისათვის, ნუღარ დამიტირებ, ნუ მითგლოვ, ნუღარ იყოვნი, წიაღი ინდოეთს, ჩემი მშობელი მტერთაგან შევიწროებულა, იმას მიეშველე,

იგი ანუგეშე, მეც მომიგონებდე მტირალსა, შენთვის ცრემლ შეუშრობელსა, ამასთან გიგზავნი რიდის ნაკვეთს

აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა.

ავთანდილს მეტად გაუხარდა. ფრიდონის მონები, რომელნიც თანა-ჰყვა, საჭურჭლით სავსე ხომალდში ჩასხა და ფრიდონისას გაისტუმრა. მათ გაატანა წერილიც, რომელშიაც ფრიდონის წინაშე ბოდიშს იხდიდა, ვედარ გნახეო, საჩქაროდ მივდივარ ტარიელთან, რომლის საყვარელი ქაჯებს შეუპყრიათო, მალე ტარიელს მოვიყვან და ძმებსა ძმურად დაგვიხვდი, რომ ნესტანი გამოვიხსნათო. ავთანდილი გამოეთხოვა ფატმანსა, უსენს და მისთა მონათა და ტარიელის გამოქვაბულებს მიაშურა.

– 151 –

ავთანდილმა პირმხიარულად გავლო ზღვა და გადავიდა ხმელეთზე; გადაიარა უგზო, უდაბური და უცხო არენი, გზადაგზა ჰხოცა ლომ-ვეფხი, ფეხ-აჩქარებით მიაცოროვებდა თავის ცხენსა. გაზაფხულის ჟამი იყო, ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა. მის გარეშემო ყოველივე ხარობდა, ხოლო ავთანდილს, თუმცა მისი საყვარლის მოგონება ანაღვლიანებდა, მაგრამ ტარიელის ნახვა ახარებდა. ბევრი იარა და ბოლოს დაინახა იგი კლდენი, საცა მისი ძმა და მოყვარე იყო, ვისთვისაც სასიხარულო ამბავი მიჰქონდა. მიუახლოვდა რა კლდე-ქვაბებს, ცხენი გააჩქარა, მხიარული გულით იწყო მღერა და ტარიელის ძახილი. ცოტა კიდევ რომ წარვლო, თვალი მოჰკურა ტარიელს, რომელსაც შამშნარის პირს ლომი მოეკლა და მომახული ხმლით მოკლულ მხეცს თავს ადგა. ტარიელს მიესმა ავთანდილის ყივილი, ძახილი მისკენ გაიქცა. ავთანდილი ცხენიდგან ჩამოხდა. მეგობრები ჩაეკონნენ ერთმანეთს, ერთმანეთი გადაჰკოცნეს. ავთანდილმა მიახარა, ვცანო ამბავი შენ რომე გიამებოდა. ტარიელმა არ დაიჯერა, ხუმრობა ეგონა. ავთანდილმა რიდის ნაკვეთი და წიგნი ამოიღო და გადასცა. ტარიელი უზომო სიხარულმა შეიპყრო,

წიგნი და კიდე რიდისა იცნა და გაცაშალა მან.
პირსა დაიდვა, – დაეცა, – ვარდმან ფერთა მკრთალმან.
სულნი გაექცნეს, მოსდრიკნა თავი გიშრისა ტალამან

– 152 –

ავთანდილ უჭკვრეტს ტარიელს, უსულოდ ქვემდებარესა.

შეჭფრინდა, შველად მიჰმართა მას ტკბილად მოუბარესა.
ვერა ვერ არგო დამწვარსა, სრულად ცეცხლ-ნადებარესა.

ტარიელს გული წაუვიდა მეტის-მეტი სიხარულისაგან. ავთანდილი შეშინდა, იფიქრა, ვაჲ თუ სული განუტეოსო, ეს რა მომივიდა, ასე უცებ რათ ვახარე ეს ამბავიო. ჩქარა წყალიო, აჩქარებდა იგი თავისთავს, მაგრამ წყალი არსად იყო. გაიქცა, ლომის სისხლი მოიტანა და დაასხა გულწასულს. ცივმა სისხლმა კარგად იმოქმედა, ტარიელი ნელ-ნელა გონს მოვიდა და წამოჯდა. კარგად რომ დამშვიდდა, გახსნა წერილი და წაიკითხა. ტარიელმა ხან იცინა, ხან იტირა. მერე ცხენებზე შესხდნენ და გამოქვაბულს მივიდნენ. ასმათსაც ახარეს დაკარგული მზის ამბავი. სიხარულისაგან ასმათი ფეხზე აღარ იდგა.

მეგომრემმა იმავე დღეს გადასწყვიტეს ტყვეობიდან გამოუხსნათ ნესტან დარეჯანი. ტარიელს ჰქონდა მრავალი საუნჯე და აბჯარი. რაც საჭირო იყო მათთვის, წაიღეს და წავიდნენ ფრიდონისას. ასმათიც თან წაიყვანეს. ფრიდონს მეტად გაუხარდა მეგობრების მოსვლა. ტარიელმა და ავთანდილმა ფრიდონს სთხოვეს დიდი ლაშქარი, მაგრამ ფრიდონმა უთხრა მათ, ქაჯთა ციხე მეტად მაგარია, მისი დაპყრობა ძალით არ შეიძლება, არამედ ხერხითო; სჯობია, ცოტა ლაშქარი წავიყვანოთ, რომ მტრებმა ვერ იგრძნონ ჩვენი მიახლოვებაო. სამასი რჩეული

– 153 –

მეომარი წაიყვანეს და წავიდნენ. იარეს ბევრი და ქაჯთა ციხეს მიადგნენ. შეუდგათ თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზით აიღონ მაგარი ციხე.

ფრიდონმა სთქვა: ვინც საგდებლის შეტყორცნა იცის, იმან გრძელი საბლის წვერი ციხის ბურჯს გადუგდოს, მე პატარაობიდანვე საბელზე სვლას ჩვეული ვარ, მის შემწეობით ავალ ბურჯის თავს, ციხეში ჩავხტები, ვეცემი მეკარეებს, დავხოც მათ და კარებს გაგიღებთო.

ავთანდილმა შენიშნა: შენ, ფრიდონ, რომ გულოვანი და ვაშკაცი ხარ, გვჯერა, მაგრამ თოკზე ასვლის დროს შენი აბჯრის ჩხარუნი გუშაგთ გააღვიძებს, თოკს გადასჭრიან და საქმე წახდება. გვირჩევნია, თქვენ აქ დაიმაღნეთ. ქაჯთა ციხეში შესვლა მგზავრთათვის აღკრძალული არ არის. ვაჭრულათ შევიკმაზები, ერთს ჯორს ავკიდებ მუზარადსა, ჯაჭვსა და ხმალს და შევალ ციხეში. მერე სადმე დაფარულ ადგილას შევისხამ იარაღს, მივადგები ციხის კარებს, მეკარეებს დავხოც, კლიტეებს დავლევ,

კარებს გავაღებ და თქვენც მომეშველენით გარედ-
განო.

ტარიელმა ორთავეს უთხრა: ლომგულები ხართ
და გინდათ ომი ფიცხელი, მაგრამ ჩემი თათბირიც
მოისმინეთ. ჩემი შერცხვენა იქნება, რომ თქვენ
ციხეში შეხვიდეთ და იომოთ, მე კი აქ ვიდგე და
ჩემმა ხელმძღვანელმა მიყუროს კოშკის წვერიდამ! სჯო-

– 154 –

ბია, ჩვენი რაზმი ას-ას კაცად გავიყოთ და ერთბაშად
სამგნით მივმართოთ ციხეს. ჩვენ ვემცრობით, მოგვე-
გებებიან, ფიცხლავ შევებნეთ, შევჯაროთ, ვერ მოგ-
ვესწრებიან კარებსა, სამთაგან ერთი შეუვალოთ, სხვე-
ბი გარეთ ვცემდეთ ბარებსა, შევუცვივდეთ ყველანი
და შიგნით შიგანი მივცეთ სისხლის ღვარებსა.

ტარიელის რჩევა მოიწონეს. მეორე დღეს, დი-
ლით, მიუფრინდენ ციხეს, დაღეწეს მისი კარები,
შეცვივდნენ შიგ, გაჟლიტეს მტრები. ტარიელმა
დიდი სიგმირე გამოიჩინა. შრავალი დახოცა და
მიაღწია თავის საყვარლამდის და ჩაეკონა მას. ავთან-
დილი და ფრიდონი ავიდნენ მაღლა და ნახეს, რომ
ტარიელსა და ნესტანდარეჯანს

მკერდი მკერდსა შეეწებათ, გარდაეჭდოთ ყელი ყელსა,
ეხვევოდეს ერთმანეთსა, აკოცნეს და ცრემლი ღვარნეს,
კვლავ შეეწებნეს ხშირ-ხშირად ვარდი ზაგეთათ პობილნი.

ნესტან-დარეჯანი მიეგება ტარიელის მეგობ-
რებს, მიესალმა და თავმდაბლად მაღლი უბრ-
ძანა სიტყვითა ნარნარითა. გამარჯვება მიულო-
ცეს ერთმანეთს, მერე მორეკეს ჯორი, აქლემი,
სამიათასსა აჰკიდეს დათლილი მარგალიტები, იაგუ-
ნდი და ლალები, რომელიც ქაჯთა ქალაქში იპოვეს,
ნესტანი შესვეს კუბოსა (ტახტზე) და ზღვათა სამე-
ფოს წავიდნენ. ქაჯეთის ციხის მცველად დასტოვეს
მხოლოდ სამოცი კაცი. ზღვათა სამეფოს რომ მივი-
დნენ, დიდი მადლობა გადუხადეს ფატმანს და

– 155 –

პატივისცეს. ტარიელმა მას აჩუქა ყოველივე, რაც
ქაჯთა ციხიდან წამოეღოთ. აქედგან წავიდნენ ფრი-
დონისას. ფრიდონმა ქორწილი გადუხადა ტარი-
ელსა და ნესტან-დარეჯანს და უბოძა მრავალი ძვირ-
ფასეული და გვირგვინები. ავთანდილმა ტარიელი
იწვია არაბეთს. წამოვიდნენ. გამოვლისას შეიარეს
ტარიელის ქვაბებში, საცა დაკრძალული ჰქონდა
უამრავი საჭურჭლე. ყოველივე წამოიღეს და მოვი-
დნენ არაბეთს. მათ დიდის ზეიმით მიეგება როსტე-

ვან მეფე, რომელმაც პატივით მოიკითხა ყველანი, მიიწვია თავის სასახლეში და დააქორწინა ავთანდილი და თვისი ასული თინათინი. მექორწინეთა სიხარული მეტის მეტი იყო, უზომო, უსაზღვრო. მეფე როსტევანმა მრავალი წყალობა გასცა, მრავალი საქურჭლე და საბოძვარი უძღვნა ავთანდილსა და ტარიელს. ამგვარ შვება-ლხენაში გაატარეს ერთი თვე. შემდეგ ამისა ტარიელმა დიდი მადლობა მოახსენა ყველას, გამოეთხოვა როსტევანსა და თინათინს და თავის მეუღლითურთ ინდოეთს წავიდა. ტარიელი გააცილეს ავთანდილმა და ფრიდონმა. ავთანდილს თან ახლდა ოთხმოცი ათასი მეომარი არაბთაგან. ტარიელი და ნესტან-დარეჯან გახელმწიფდნენ ინდოეთს. ყველა ინდონი ავთანდილსა და ფრიდონს მწედ ჰხადოდიან და „თქვენგან გვჭირს კარგი ყველაი,“ ამასა მოიტყოდნიან.

გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა, გარდახდეს, გავლეს სოფელი, – ჰნახეთ სიმუხთლე ჟამისა!

განყოფილება მესამე.

ღვთაება, ცხოვრება და ბუნება რუსთაველის
შეხედულობით.

ა) ღმერთი.

რომელმან შეჰქმნა სამყარო
ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა
ჰყვნა, ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, –
გვაქვს უთვალავი ფერითა;
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე,
სახითა მის მიერითა.

ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ
სახე ყოვლისა ტანისა!
შენ დამიფარე, ძლევა მეც
დათრგუნვად მე სატანისა;
მომეც მიჯნურთა სურვილი,
სიკვდიდმდე გასატანისა,
ცოდვათა შემსუბუქება,
მუნ თანა წასატანისა.

ვინ დამბადა, შეძლებაცა
მანვე მომცა ძლევად მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი,
შემწე ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს,
ჰზის უკვდავი ღმერთი ღმერთად, –
იგი გაჰხდის წამისყოფით
ერთსა ასად, ასსა ერთად.

ბ) თამარ დედოფალი.

ვის ჰშვენის ლომსა ხმარება
შუბისა, ფარ-შიშურისა,
მეფისა მზის თამარისა,
ღაწვ-ბადახშ, თმა-გიშურისა?
მას, არა ვიცი, შევკადრო
შესხმა ხოტბისა ხშირისა!
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა
მირთმა ჰხამს, მართ მშიურისა!
თამარს ვაქებდეთ მეფესა,
სისხლისა ცრემლ-დათხეული.

– 158 –

ვსთქვენით ქებანი ვისნიმე,
არ ავად გამორჩეული;
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა
და კალმად მინა რხეული.
ვინცა ისმინოს, დაესვას
ლახვარი, გულსა ხეული!
მიბრძანეს მათდა საქებრად
თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა,
თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბადახშისა თლილისა,
მით მიჯრით მიწყობილისა.
გასტეხს ქვასაცა მაგარსა
გრდემლი ტყვიისა ლბილისა!

ბ) რუსთველის დოცვა.

მაღალო ღმერთო, ხმელთა და ცათაო,
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა,
ზოგჯერ კეთილთა მზათაო,



თამარ დედოფალი.

– 160 –

უფალო უფლებათაო,
მომეც დათმობა სურვილთა,
მფლობელო გულისთქმათაო!

ღმერთო, ღმერთო, გიაჯები,
რომელი ჰფლობ ქვენათ-ზესა,
შენ დაჰბადე მიჯნურობა,
შენ აწესებ მისსა წესსა;
მე სოფელმან მომაშორვა
უკეთესსა ჩემსა ჩემსა მზესა, –
ნუ აღმოფხვრი სიყვარულსა,
მისგან ჩემთვის დანათესსა!

ღმერთო, ღმერთო, მოწყალო,
არვინ მივის *) შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ შეწევნასა,
რაზომსაცა გზასა ვვლიდე:
მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა,

ღამით მავნე განმარიდე,
თულა დავრჩე, გმსახურებდე,
შენდა მსხვერპლსა შევსწირვიდე.

*) მყავს

– 161 –

დ) სიმუხთლე სოფლისა.

ვაჟ, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლიმც შენი მონდობილი
ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა;
სად წაიყვან სადაურსა,
სად აღუფხვრი სადით ძირსა,
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს
კაცსა, შენგან განაწირსა!

ე) სიკვდილი სახელოვანი.

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან ყოველი გასწორდეს,
სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან
ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა
სიკვდილი სახელოვანი.

– 162 –

გ) კაცო, ძალსა ნუ იქადი.

კაცო, ძალსა ნუ იქადი,
ნუცა მოჰკვებ, ვითა მთვრალი,
არას გარგებს ძლიერება, თუ
არ შეგწევს ღვთისა ძალი;
დიდთა ხეთა მოერევის,
მცირე დასწვავს ნაბერწკალი;
ღმერთი გფარავს, სწორად გაჰკვეთს,
შეშა ვის ჰკრა, თუნდა ხმალი.
უგანგებოდ ვერას მიზმენ,

შეცამებნეს ხმელთა სპანი,
განგებაა, არ დავრჩები,
ლახვარნია ჩემთვის მზანი,
ვერ მიხსნიან ვერ ციხენი,
ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი, –
ვინცა იცის ესე ასრე,
ჩემებრვეა გულოვანი.

—
– 163 –

ზ) ქორწილი *)

დაიწყეს მორთმა პურისა
ლაშქართა მის მესავსისა;
ზროხა და ცხვარი დაკლული
არს უმრავლესი ხავსისა,
შეიქმნა ძღვნობა ძღვენისა,
მათისა შესამზავსისა,
მათ ყოვლთა შუქი ანათებს
პირისა, მზისა მზავსისა.

იაგუნდისა ჯამები
იყვის, ლალისა ჭიქები,
კვლავ უცხო ფერთა ჭურჭელთა
სხდის უცხო-უცხო სიქები; ¹⁾
მის ქორწილისა მაქები
კაცი ბრძენთაგან იქები;
მჭვრეტელო, გულსა ეტყოდი, –
ნუ აეხსნები, იქები!

*) ავთანდილისა და თინათინისა როსტევან მეფისას.

¹⁾ ფულისა ანუ ოქრო-ვერცხლის ბეჭედი.

²⁾ მეჩანგე ანუ მგოსანი ქალები.

– 164 –

ისმოდის ხმა წინწილისა,
შეყრით ძეს გორი ოქროთა
და ბადასშნისა ¹⁾ თლილისა,
მსმელთათვის წყარო ღვინისა
ასგან სდის. მზავსი მილისა,
ბინდით ცისკრამდის ხმა იყო,
გარდახდა ჟამი დილისა.

არა დარჩა უსაზოდგრო
არ კოჭლი და არ საპყარი,
მოდოდა მარგალიტი
მოფანტული, მონაყარი,
გაბედითდა წასაღებლად

ატლასი და ოქრო მყარი;
სამ დღეს იყო ინდოთ მეფე ²⁾
ათანდილის ვით მაყარი.

¹⁾ უმჯობესი ლალი.

²⁾ ტარიელი.

– 165 –

ფ) რუსთაველის იგავ-არაკნი.

ა) გაჭირებაში მყოფი კაცი.

ორნი კაცნი მოდიოდეს,
სადაური სადმე გზასა;
უკანამან წინა ნახა
ჩავარდნილი შიგან ჭასა;
ზედ მიადგა, ჩაჰყიოდა,
სტირს, იძახის ვაგლახ-ვასა.

ეგრე უთხრა: «ამხანაგო,
იყავ მანდა მომიცდიდე!
წავალ თოკთა მოსახმელად,
მწადსო, თუცა ამოგზიდე!»
მას, ქვეშეთსა, გაეცინა,
გაუკვირდა მეტად კიდე;
შემოჰყივლა «არ გელოდე,
სად გაგექცე, სად წავიდე!»

—
აწ, დაო, შენსა ხელსაა
ჩემი საბელი ყელისა,
სხვად უღონოა უშენოდ
ჩემგან აღპყრობა ხელისა,
რასაცა მიზამ, შენ იცი,
შენ ხარ წამალი კელისა.

– 166 –

ბ) ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებია.

ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა
რამან შეგქმნა ტანად, პირად?
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი,
პოვნა შენი რად არს ჭირად?“
მან სთქვა, ტკბილსა მწარით ჰპოვებ,
სჯობს, იქმნების რაცა ძვირად;
ოდეს ტურფა გაიფედეს,
აღარა ღირს არცა ჩირად“.

—
რადგან ვარდი ამას იტყვის

უსულო და უსაკო,
მაშა ლხინსა ვინ მოიმკის,
პირველ ჭირთა უმუშაკო!

გ) კაცის გული.

ზამთარი ვარდთა გაახმობს,
ფურცელნი ჩამოსცვივიან;
ზაფხულის მზისა სიახლე
დასწვავს, გვალვასა ჩივიან,
მაგრა მას ზედა ბულბულნი
ტურფასა ხმასა ჰყივიან.

– 167 –

სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს,
წყლულნი ორჯერვე სტკივიან.

აგრევე გული კაცისა
მოსაგვარებლად ძნელია:
ჭირსა და ლხინზედ ორზედვე
ზედან მართ ვითა ჳელია.

თ) შაირობა და მგოსნობა.

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი:
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი
მარგი; კვლავ აქაცა იამების, ვინცა ისმენს კაცი
ვარგი. გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია
ამად კარგი. ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოს-
ცდის დიდი რბევა (რბენა), მოზურთაღსა – მოედანი,
მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა, – მართ აგრევე მელე-
ქსეთა გრძელთა თქმა და ხევა, რა მისჭირდეს საუ-
ბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა. მაშინლა ჳნახეთ
მელექსე დი მისი მოშაირობა: რა ვეღარ მიჰხვდეს
ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა, არ შეამო-
კლოს ქართული, არა ჰქმნას სიტყვა-მცირობა, ხელ
მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა.

პირველი: მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე სთ-
ქვას ერთი, ორი; თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა

– 168 –

კარგთა სწორი, განაღა სთქვას ერთი, ორი, უმსგავსო
და შორიშორი, მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო,“
უცილობლობს, ვითა ჯორი.

მეორე: ლექსი, ცოტაი ნაწილი, მოშაირეთა,

არ ძალუმს სრულქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირ-
ეთა, – ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონა-
დირეთა: დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვსთ ხოცა
ნადირთა მცირეთა.

მესამე: ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერე-
ლად, სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრევე-
ლად; ჩვენ მათიცა გვიამების, რაცა ოდენ სთქვან
ნათელად. მოშიარე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა
გრძელად.

ჰხამს, მელექსე ნაჭივრებსა მისსა ცუდად არ
აბრკმევდეს: ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე
აშიკობდეს, ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას
აქებდეს, მას ამკობდეს, მისგან კიდე ნურა უნდა,
მისთვის ენა მუსიკობდეს.

თ) რუსთაველის სიბრნენი და თქმულობანი.

1. ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.
 2. არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა
თქმულსა.
- 169 –
3. ავად შეფერობს მიჯნურსა მიჯნურობისა მცხადება.
 4. ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ
იშობს.
 5. აღმასისა ჰხამს ლახვარი ლახვრად გულისა სალისა.
 6. ამაოა ჭვრეტა ტურფისა, სიახლე საყვარელისა.
 7. არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა.
 8. არ გარდავა გარდუვალად მომავალი, საქმე ზენა.
 9. არვის ძალუმს ხორციელსა განგებისა გარდავლენა.
 10. არ იხმარებ, რა ხელსა ჰყრი საუნჯესა დაფარულსა?
 11. ასიათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია.
 12. აწლა ვცან: საქმე სოფლისა სიზმარია და ჩმახია,
 13. არს პირველი მიჯნურობა არ დაჩენა ჭირთა, მალვა.
 14. არ დავთმობთ, რა ვქნათ, სევდასა, მითხარ, რა მო-
ვუგვაროთა?
 15. ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა,
თუ კაცი თითონ არ არი, ცუდია გვარიშვილობა!
 16. ასი გმართებს გაგონება, არ გეყოფის არ ერთხელი.
 17. არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია.
 18. აწ ზაფრანაა, ვის წინა ვერ ვარდი ჰგვანდეს, ვერ ია.
 19. აწ მივწურულვარ სიკვდილსა, დრო მომეახლა ლხენისა.
 20. ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა.
 21. ბრძენი, ვინ ბრძენი? რა ბრძენი! ჰელი ვითა იქმს
ბრძნობასა!
 22. ბინდის გვარია სოფელი.

23. ბოროტსა სძლია კეთილმა, – არსება მისი გრძელია.
24. ბროლ-ბადანშისა მძებნელმან სათნი დავკარგე, მინანი.

– 170 –

25. ბოლოდ ყოვლი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს.
26. გლახაკთა მიეც საქურჭლე, ოქრო, ვერცხლი და
რვალია.
27. გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი.
28. განგებით ქმნილსა რისხვასა ვერავინ დაჰრიდება.
29. გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.
30. განგებასა ვერვინ შესცვლის, არ საქმნელი არ იქმნების.
31. გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი.
32. გული, ცნობა და გონება ერთმანერზედა ჰკიდიან.
33. გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.
34. გონიერსა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა
ჰგმირდეს.
35. გულმან რა გლახ ჰქმნას უგულოდ, თუ გულსა გუ-
ლი ელია.
36. გული უნდა ფიცისა და პირისა გასრულებასა.
37. დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს.
38. დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაბერწკალი.
39. დიაცსა სამალავი არასოდეს არ ეთხრობის.
40. დიაცსა ვინცა უყვარს, გაექცის და მისცემს გულსა,
რაცა იცის, გაუცხადებს, ხვაშიადსა უთხრობს სრულსა.
41. დიადი სისხლი უბრალო კაცმანცა ვით იტვირთაო!
42. ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბადნაროსა.
43. ეგე ასე არ იქმნების, ვითა ჩიტნი არ გაქორდენ.
44. ერთსა რა გცემენ ათასნი, ეგრეცა მოგერევიან.

– 171 –

45. ერთგულთათვის კარგი ნუ გმურს, ორგულნიმცა
შენნი ჰკვდების.
46. ესე ასეთი სოფელი არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი;
რასა ვის ეძებთ, რას აქნევთ, – ბედია მაყივნებელი!
ვის არ შეუცვლის, კარგია ორისავ იყოს მხლებელი.
47. ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია.
48. ვარდი ამას ვით იაზრებს: «მზე მოშორდეს, არ
დავჰკნებო».
49. ვარდთა დ ნეხვთა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების.
50. ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.
51. ვის ძალაქვს პოვნა კაცისა თვით სოფლად არ მო-
სრულისა.
52. ვგმობ მუხთალსა საწუთროსა: ზოგჯერ უხვსა,
ზოგჯერ ძვირსა.
53. ვერას ვარგებ, გულსა დავდებ, ჩემი ფიცი არ გა-

ტყდების.

54. ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდო-
ვანი.
55. ვერ გამდა სოფელი, ვაჲ, სისხლთა ჩემთა ხვრეტითა.
56. ვერ იქმოდა, რად მიქადა, თუ მიქადა, რად მიტყუა?
57. ვინცა-ღა ჰკადრებს, მან აკადროს, რაცა ვსთქვი მას-
ცა ვინანი.
58. ვგმობ კაცსა უაუგოსა, ცრუსა და ღალატისა.
59. ვის ასმია პატრონისა ჭირსა შიგან ყმისა რიდი!

– 172 –

60. ვისთვის ჰკვდები, ვერ მიჰხვდები, თუ სოფელსა
მოიძულე.
61. ვინცა კაცმან ძმა ანუ თუ დაცა იდოს,
ჰხამს მისთვის სიკვდილსა დ ჭირსა თავი არ დარიდოს.
62. ვით მწვანელსა თრთვილისაგან პირსა ფერი მოაკლ-
დების.
63. ვის აქვს მინდობა კაცისა მომცქაფავისა?
64. ვაჲ, სოფელმა სოფელს მყოფი ყოვლი დასვა ცრემლ-
თა დენით.
65. ვაჲ, საწუთრო, სიცრუევით თავი სატანას ადარე,
შენი ვერავინ ვერა სცნოს, შენი სიმუხთლე სადარე?
პირი მზისაებრ საჩინო სად უჩინო ჰყავ, სად არე?
მით ვხედავ სოფელსა ოხრად ჩანს ყოვლი სადარე!
66. ვაჲ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა
ზნე გჭირსა!
ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა.
67. ზოგჯერ სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქე-
ბულსა.
68. ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმი-
თაც დაშავდების
69. თავია სიცრუვე ყოვლისა უბედობისა.
70. თავსა უთხრა: „მოჰკვე, გიჯობს სიცოცხლესა აუ-
გიანსა“.

– 173 –

71. თავისისა ცნობისაგან ჩავარდება კაცი ჭირსა.
72. თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რად
იწყლულე?
73. თვე ერთისა მოშორება მზისა ზამთრის გაგვაცივნებს.
74. თვით რაცა ბრძანოთ, მართალ ხართ: სსვა სხვისა
ომში ბრძენია.
75. თქმულა: ქრთამი საურავსა, ჯოჯოხეთსა დააურვებს.
76. თუ ლხინი გვინდა, ღვთისაგან ჭირნიცა შევიწყნაროთა.

77. თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია.
78. თუ არ მოგყვეს საყვარელი, შენ მას მიჰყევ რაცა
სწადდეს.
79. თუ მოყვარე მოყვრისათვის სტირს, ტირილსა ემართ-
ლების.
80. თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები.
81. იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია.
82. იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერცა მინა მინდა.
83. იადონი მაშინ მოჰკვდეს, ოდეს ვარდმან იდამჰკნა-
როს.
84. კაცსა მიჰხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა,
მაშინ მისგან აღარა ჰხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა.
85. კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურმე არ წახდების.
86. კაცსა ღმერთი არ გასწირავს.
87. კარგათ ვერას ვერ მოავლენს კაცი აგრე გულფიცხელი.
88. კაცი ბრძენი კერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა.
89. კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსელისა მბეჭ-
ველსა?

– 174 –

90. კაცი არ ყველა სწორია: დიდი კაცით კაცამდის.
91. კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვებ, ვითა მთვრალი,
არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღვთისა ძალი.
92. კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების.
93. კაცსა დაჰსვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი.
94. კაცსა ფიცნი გამოსცდიან.
95. კარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ წახდების.
96. კაცი ცრუ და მოღალატე ჰხამს ლახვრითა დასაჭრელად.
97. კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჰმუნვასა ესე სჯობდეს.
98. კაცმან ვით ჰპოვოს, ღვთისაგან რაც არა დანაბადია.
99. კაცი თუ ჭირსა ვერ დასთმობს, ლხინი რა დასათმობია.
100. კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია.
101. კარგი მიჯნური იგია, ვინც იქმს სოფლისა თმობასა.
102. კაცი კაცსა მოელოდეს, მოსვლა უცხოდ იამების.
103. ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო?
104. ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.
105. მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი.
106. მძულს უგულოდ სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლა-
შა-მტლუმი.
107. მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლო-უვაჭრე-
ლად.
108. მარტოობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი.
109. მამაცისა სიცრუესა ნეტარ სსგანი რამცა გვანდეს.
110. მიბრძანა თუ: „ჰხამს დიაცი დიაცურად, საქმე დედ-
ლად“.

– 175 –

111. მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომელ კაცი თავსა ივნებს.
112. მე თუ მოვკვდე, ჩემი კერძი სოფელიცა გარდიფხვრების.
113. მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არა მოვკრეფ კიტრსა ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად დ მიჩანს მღერად.
114. მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები.
115. მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა გასადებლად.
116. მაშ თუ დავთმობ სახლსა ჩემსა, ვეღარ დავთმობ ვისსა ვერად?!
117. მზისა შუქთა ვერ მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭკნების.
118. მზისა მუქთა მომლოდინე ვარდი სამს დღეს არ დას-ჭკნების.
119. მქნელი საქმისა ძნელისა კაციმცა იყო ცნობილი.
120. მას მკურნალმან როგორ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს.
121. მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწ-წყლულა.
122. მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია.
123. მზგავსი ყველაი მზგავსსა ჰშობს.
124. მოშორვება და მოყვრისა გაყრა კაცისა მკვლელია.
125. მას უშმაგო ვინ მიენდოს, ვინ მოყვარე გაამჟღავნოს.
126. მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე სთქვას ერთი, ორი.
127. მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.
128. მზესა მთვარე შეეყაროს, დაილევის, დაცასჭკნების.

– 176 –

129. მიმდომნი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან, იშვებენ, მაგრამ უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურ-ჩებიან.
131. მართლა უთქვამთ მეცნიერთა: „წყენააო ჭირთა ბადე“.
132. მთვარე მზესა მოემოროს, მოშორება განანათლებს.
133. მაშინ ვერ გავძლე სიახლე, აწ სიშორესა ვინანი.
134. მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა“.
135. მაშინდაა ღვინი ამო, რა გარდიხდის კაცი ჭირსა.
136. მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად.
137. ნახე თუ ოქრო რასა იქმს, – კვერთხი, ეშმაკთა ძირია.
138. ნეტა ყვავი ვარდს რას აქნევს ანუ რა მისი ფერია!
139. ნეტა მამაცი სხვა რაა, არ გასძლოს რაცა ჭირია!
140. ნუგემის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია.
141. ნურა ნუ გმურს საქონელი ჩემი ჩემთვის წასაგებ-ლად.
142. ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმენდ ამით სულსა.

143. ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი.
 144. ოდეს ტურფა გაიფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად.
 145. პატრონისა სამსახური არაოდეს არ წახდების.
 146. პატრონისა ვერა მჭვრეტმან ყმამან რამცა გაიხაროს.

– 177 –

147. რაღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია.
 148. რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას
 უბნობდეს.
 149. რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამკჷნაროსა,
 იგი წავა და სსვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.
 150. რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
 მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯისაცა შემტყობარი.
 151. რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-ლალსა თანა
 ახიოს,
 ანუ ბაღს ალვა საროსა ახლოს ჰრგოს, მორწყოს, ახიოს,
 მისსა მჭვრეტელსა ალხინოს, ვერ მჭვრეტსა ავაგ-
 ლახიოს, –
 ვად, მოყვრისა გაყრილსა, ახიოს, ეყოს, ახ იოს!
 152. რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტეხელსა!
 153. რა გინდა წაგეკიდოს. თავი დასდევ საწამებლად.
 154. რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების.
 155. რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მღმეჭელსა,
 შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!
 156. რა უამეა პირისპირ საყვარელისა ჭვრეტასა!
 157. რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგვცდების.
 158. რაცა მინდა, არა მაქვს, რაცა მაქვს, არ მომინდების.
 159. რაცა არ გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა
 ნებასა.
 160. რა გინდა მომცეთ, რას ვაქნევ, მე ვარ და ჩემი
 ნაბადი.

– 178 –

161. რა გავა, თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკინოს.
 162. რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია.
 163. რაცა იქმნების, იქმნების, ყოვლი თათბირი სწორია.
 164. რა ღრუბელი მიეფარვის, მზე ხმელეთსა დააჩრდილებს.
 165. რათ ემდური საწუთროსა: რა უქმნია საარაკო?
 166. რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა.
 167. რაცა მიწვრთიხარ, იწვართე; გკადრო: უწვრთელი
 ვირია.
 168. საბრალოა სიყვარული: კაცსა შეიქმს გულმოკლულად.
 169. საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს.
 170. სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.
 171. საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხდების:
 ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების.
 172. სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა და-

დება.

173. სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.
174. სიყვარული ალგვამაღლებს.
175. სცდების და სცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის
წამისად.
176. სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა.
177. სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასაგვანისა.
178. სდევეს მიჯნურსა ფათერაკი, საწუთროსა დაანადგ-
ლებს.
179. სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა.

– 179 –

180. სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა.
181. სჯობს უყოლობა კაცისა, მომდურავისა ყოლასა.
182. საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან.
183. სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელო-
ვანი.
184. სწყუროდეს, წყალსა ვინ დაჰღვრის კაცი უშმაგო,
ცნობილი.
185. სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა.
186. სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მო-
ყვარულნი.
187. საცა მე ხმალი არ მიკვეთს, არცა სივრცელე ენისა, –
მიჯობს მოლოდნა საქმისა მის განგებისა ზენისა.
188. სხვა და სხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია, ძველია.
189. სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს: წყლულნი ორ-
ჯელვე სტკივიან.
190. სიცოცხლე ანუ სიკვდილი გარდმიწყდეს ნეტარძი
ოდეს!
191. ტირილი არას მარგებს, ცუდათ ცრემლი რასა მდიან.
192. უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების.
193. უხვსა მორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია;
სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?
რასაცა გასცემ, შენია, რაც არა – დაკარგულია.
194. უხვად გავსცემდეთ, ვავსებდეთ, სიძუნწე უმეცრულია.
195. უხვად გასცემდი: ზღვათაცა შესდის და გაედინების.

– 180 –

196. უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან.
197. უცებნი მოსრნის მცოდნეთა ცოდნამან, ხელოვნებამან.
198. უმზგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია.
199. ფათერაკი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა
ასი.
200. ფილოსოფოსნი შემოკრბენ, ამაზედ ჰქონდათ ცი-
ლობა.
ბატონი კაცსა ასაქმებს და ჰკუჟას გამოცდილობა,
ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზდილობა.

- თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა *).
201. ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა
ნელლად.
202. ღმერთმან ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ
წაწყმიდოს.
203. ღმერთი შეუნდობს შეცოდებულსა.
204. ღმერთმან სიმრგვლე ცისა ჩვენთვის რისხვით წა-
მოჰგრაგნა.
205. ღმერთსა ვერას გკადრებ, რაცა სწადდეს, აგრე ვყოცა.
206. ღმერთმან მისგან ანთებული სანთელიმცა რად და-
გავსო?

*) იხ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი გვ. XXXIX.

– 181 –

207. ღმერთი გფარავს: სწორად გაჰკვეთს, შეშა ვის
სცე, თუნდა ხმალი.
208. ღმერთი ბოლოდ ლხინსა მისცემს, ვინცა პირველ
ჭირთა გასძლებს.
209. ღვარი რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წყნა-
რია.
210. ღმერთი კაცსა მოავლინებს, არ ბოროტსა არ და-
ჰზადებს.
211. ღმერთია მზრდელი ყოვლისა დანერგულ-დათესი-
ლისა.
212. ღმერთსვე მადლი: ესე იყო წადილი და მისი ნება.
213. ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გადუხდელი.
214. შეცოდება შვიდგზის თქმულა შესანდობლად.
215. შენ არ გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა ფიცისა.
216. შენსა მე ვემებ ნათელსა, შენ ხარ გულითა ბნელითა.
217. შმაგი არც ვეზირად არად ვარგხარ, არცა სხვად რად.
218. შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან
ქმნილი?
219. შიში შეიქმს სიყვარულსა.
220. შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა.
221. შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმო-
ბილი.

– 182 –

222. ჩალად მჩანს ყოვლი სოფელი, მისთვისვე შემიწონია.
223. ჩემგან იმედსა გარდასწყვეტს, მერმე დამიწყებს გმო-
ბასა.
224. ჩემი ჩემებრ არვინ იცის, რა მამწარებს, რა მატ-
კბუნვებს.
225. ჩემი ჭმუნვა ჭირსა ჩემსა არცა ჰმატს და არცა დიდობს.
226. ჩქარად ეცეს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა მეტის-

მეტსა.

227. ჩვენ, გლახ, რა გვერგების, რა ჩასვენდეს გორსა მზე!
228. ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყვი ავისა მქნელია.
229. ცოცხალვარ, საწუთრომან აწცა ჩემნი სისხლნი
 ჰხვრიტნა.
230. ცოტა მაქვს, მაგრა ყოველგან სიკეთე მიუწდომელი.
231. ცუდი არის დამზრალისა გასათბობლად წყლისა
 ბერვა.
231. ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა მზისა წვერვა.
232. ცუდთა კაცთა საუბარი კაცსა მეტად დააჰმუნვებს.
233. ცუდ-მაშვრალი და მტირალი ქვე ვზი პირითა მქი-
 სითა.
234. ცრუ კაცი კარგა ვერა იქმს საქმესა გამნელებულსა.
235. ძნელია პოვნა კაცისა ღვთივ ზეცით განაწირისა.
236. წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალეების.

– 183 –

237. წე სი არის მამათაგან მოჭირვება, ჭირთა თმენა.
238. წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დაყოვნება ხანისა.
239. წელულსა დანა ვერა ჰკურნებს: გაჰკვეთს ანუ გა-
 ამსივნებს.
240. წარხდა ჩემი ჭირნახული: ვერ მოვიმკე, რაცა ვთესი.
241. წყალსა სწრაფად ნუ დაასხამ ცეცხლსა ძნელად და-
 საშრეტსა.
242. ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა.
243. ჭირსა გადრეკა არ უნდა.
244. ხელმწიფე ჰხამს მქნელი სამართლისა.
245. ხსოვნა არა ჰხამს ჭირისა, ვით დღისა გარდას-
 რულისა.
246. ჰხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მა-
 მაცურად.
247. ჰხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს,
არ სიწყნარე გონებისა მოიძულოს, მოიძაგოს.
248. ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ და-
 მრიდად,
 გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და
 ხიდად.
249. ჰხამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული.
250. ჰხამს სიყვარული მოყვრისა უხვისა, უშურველისა.
251. ჰხამს მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ და-
 ლონდეს.